

# ქართული ვიზუალური ვარგაული

ქრებული

||

2011

ილიას უნივერსიტეტის პოლიტოლოგის ინსტიტუტი  
გიორგი მაჩაბლის ფონდი

## ქართული ემიგრაცია

### კრებული

II

თბილისი  
2011

უავ (УДК) 3252 (=353.1)

ქ-279



სამეცნიერო შრომების წინამდებარე კრებულში გაშუქებულია ქართული ემიგრაციის მოღვაწეობის სხვადასხვა ასპექტი. კრებული ეძღვნება გიორგი მაჩაბელს.

სარედაქციო კოლეგია: ოთარ ჯანელიძე (რედაქტორი),  
მალხაზ მაცაბერიძე, რუსულან  
დაუშვილი, პაატა ნაცვლიშვილი,  
ლაშა ბაქრაძე

გამომცემლობა „ახალი აზრი“, 2011

ქართული ემიგრაცია, კრებული II

ISSN 1987-9687

## შინაარსი

ოთარ ჯანელიძე.....	4
საქართველოს განთავისუფლების ქართულ-გერმანული პროექტი პირველი მსოფლიო ომის წლებში და გიორგი მაჩაბელი.....	4
Otar Janelidze .....	25
Georgian Liberation Georgian-German Project in the Years of World War I and Giorgi Machabeli.....	25
რუსუდან კობახიძე.....	26
გიორგი მაჩაბლის წერილები აკაკი ჩხერიძეს.....	26
Rusudan Kobakhidze.....	37
Letters of Giorgi Machabeli to Akaki Chkhenkeli .....	37
გიორგი მამულია .....	38
“თეთრი გიორგის” იდეოლოგიურ საწყისებთან: გიორგი მაჩაბლის და გიორგი კერძესელიძის ახლადაღმოჩენილი მიმოწერა (1923-1924 წ.წ.) .....	38
Georges Mamoulia.....	77
Genesis of the ideology of the Georgian émigré organization “Thethri Giorgi” Recently discovered correspondence of Giorgi Matchabelli and Giorgi Keresselidze (1923-1924).....	77
ირინა ასათიანი .....	78
გიორგი მაჩაბელი – პარფიუმერული წარმოების.....	78
პიონერი ამერიკის შეერთებულ შტატებში .....	78
Irina asatiani .....	85
George Matchabelli – The Founder of Perfume Industry in the United States of America.....	84

## ოთარ ჯანელიძე

# საქართველოს განთავისუფლების ქართულ-გერმანული პროექტი პირველი მსოფლიო ომის წლებში და გიორგი მაჩაბელი

გიორგი მაჩაბლის ბიოგრაფიაში პოლიტიკური აქტივობით, „დრამატიზმითა და ფათერაკიანი თავგადასავლებით ყველაზე მეტად პირველი მსოფლიო ომის პერიოდი გამოირჩევა. გერმანიაში უმაღლეს განათლებას დაუფლებული გიორგი ომის დაწყებას ბელგიაში შეხვდა. 1914 წლის ზაფხულში გაჩაღებულმა მასშტაბურმა სისხლისღვრამ, რომელიც 4 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა, კაცობრიობას თავს დიდი განსაცდელი დაატეხა. ომმა ძირეულად შეცვალა როგორც ცალკეული ადამიანების, ისე მთელი ხალხებისა და ქვეყნების ბედიც. დაწყებულ ომს უკავშირებდა საკუთარი სამშობლოს კოლონიური უღლისაგან განთავისუფლების იმედს არაერთი ქართველი პატრიოტიც, რომელთა შორის იყო გიორგი მაჩაბელიც. შემთხვევითი არ არის, რომ ომამდე ჯერ კიდევ 10 წლით ადრე, თბილისის ქართული სათავადაზნაურო გიმნაზიის მოსწავლე გიორგი მაჩაბელს მასწავლებლისთვის, რომელიც საქართველოს უკეთეს მომავალს სოციალიზმის დამყარებაში ხედავდა, მიუგია: „არა, ბატონო, ჩვენ სოციალიზმი კი არა, ომი გვიხსნის, დიდი სახელმწიფო უნდა შეებას რუსეთს, რომ დაამარცხოს, აი, თუნდაც გერმანეთი!“ (1,1).

რუსეთის 1905-1907 წლების სახალხო რევოლუციის წინ, როცა ჯერ კიდევ არ დამთავრებულიყო რუსეთ-იაპონიის სამხედრო შეტაკება, გერმანიასთან ომზე არავინ ლაპარაკობდა. მაგრამ ქართველი ყმაწვილის თვითდაჯერებულობა, რომ ვილჰელმ II-ს შეეძლო რომანოვთა იმპერიის დამარცხება, ეფუძნებოდა კაიზერული გერმანიის მაღალ ავტორიტეტს თანადროულ ქართულ საზოგადოებაში. გერმანული კულტურისა და მეცნიერული აზრის აღმავლობამ, გერმანიის მზარდმა პრესტიჟმა განაპირობა ის გარემოება, რომ XX საუკუნის პირველ ათწლეულში ათეულობით ქართველმა ახალგაზრდამ უმაღლესი განათლების მისაღებად ამ ქვეყნის უნივერსიტეტებს მიაშურა. ზოგიერთ მათგანს სწორედ მაშინ განუმტკიცდა რწმენა, რომ ევროპაში შეძენილი



ცოდნის გარდა საქართველოს სასარგებლოდ იმ არისტოკრატიული წრის წარმომადგენელ გერმანელთა მხარდაჭერის გამოყენებაც შეიძლება ბოდა, რომლებთანაც მეგობრობას სათავე სტუდენტურ აუდიტორიებში დაედო. ამ მხრივ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ყველაზე მეტად გიორგი მაჩაბელს გაუმართლა. ბერლინის სამთო აკადემიაში გეოლოგიის ფაკულტეტზე ჩარიცხული მაჩაბელი ჩაერთო ტეპტონური ორდენის წრეში, რომელიც ხსენებული სასწავლებლის პროფესორთა დიდ ნაწილსა და სტუდენტებს აერთიანებდა. როგორც გ. მაჩაბლის სტუდენტობის ამხანაგი დ. ღოღობერიძე იგონებს, გიორგი ამ წრის წევრ ბევრ გერმანელთან მეგობრობდა. „იქედან გაიჩინა მან ნაცნობობა, რომელიც გამოადგა ჩვენი დამოუკიდებლობისათვის“ (2, 14). ამასვე ადასტურებს გენერალი შალვა მაღლაკელიძეც. მისი სიტყვით: „გიორგი კარგი წარმოსადეგი კაცი იყო. თავადის გვარი ჰეონდა და გაერია პრინცებში, როგორც „ფიურსტი“ ... თავისი ღირსებით ყოველი მხრივ და მოხერხებით დაუახლოვდა გიორგი პრინცებს, ახალგაზრდა ჰოჰენცოლერნებს, ვიტელსბახებს ბავარიისა, დამეგობრდა მათთან“ (3, 34).

დაახლოებით ამავე ხანებში იკვეთება გერმანიის ძალუმი დაინტერესება სამხრეთ კავკასიით, კერძოდ კი საქართველოთი, რაც გამოწვეული იყო რეგიონის გეოპოლიტიკური მდგომარეობით და აქ უხვი წიაღისეული სიმდიდრის არსებობით. აღსანიშნავია, რომ დიდი ომისათვის მზადებისას გერმანიის პოლიტიკურ მისწრაფებებში საქართველოს დამატებითი დატვირთვაც დაეკისრა.

ვილჰელმ II-ის საიმპერატორო კარი კარგად იყო ინფორმირებული და ერკვეოდა რუსეთის შინა ცხოვრების სირთულეებში. ევრაზიის ვრცელ სივრცეზე გადაჭიმული რომანოვთა იმპერია დაპყრობილ და ძალით შემოერთებულ მრავალრიცხოვან არარუს ხალხებსაც აერთიანებდა. ცარიზმის კოლონიურ უღელქვეშ მოქცეულ ამ ხალხებში, მათ შორის საქართველოშიც, თავისუფლებისაკენ ლტოლვა შეიმჩნეოდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას ბზარი შეჰქონდა რუსეთის სახელმწიფოებრივ მთლიანობაში, ასუსტებდა მის საომარ პოტენციას. რუსეთის განაპირა, ნაციონალურ მხარეთა მოსახლეობის ეროვნული თვითგამორკვევისაკენ სწრაფვა გერმანიის ანტირუსული მიზნებისათვის ნოყიერ ნიადაგს ჰქმნიდა. ამიტომ, გერმანიის მესვეურებმა ამოცანად დაისახეს ამ მოძრაობის თანადგომა და წახალისება.

ჯერ კიდევ 1914 წლის სექტემბერში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და მთავარ შტაბში მომზადდა გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა დაპყრობილ მცირე ერთა მხარდაჭერას თვითმპყრობელობის ჩაგვრისაგან თავდასაღწევად გაშლილ ბრძოლაში. ნავარაუდევი იყო პოლონეთის, უკრაინისა და კავკასიის აჯანყება და ამ გზით მათი ჩამოშორება რუსეთის იმპერიისაგან. ჩანაფიქრის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, გერმანიასა და რუსეთს შორის წარმოიშობოდა ბუფერული სახელმწიფოები, რომლებიც გერმანიაზე იქნებოდნენ დამოკიდებულნი, განსაკუთრებით სამხედრო თვალსაზრისით. გეგმა მოიწონა რაიხსკანცლერმა ბეთმან ჰოლვეგმა და თვით იმპერატორმა ვილჰელმ მეორემ (4, 43-44).

რაც შეეხება საქართველოს, თუ იგი რუსეთს ჩამოცილდებოდა, კაიზერს შეეძლო ეს ქვეყანა თავისი პოლიტიკის ფორპოსტად გამოეყენებინა. როგორც ზურაბ ავალიშვილი წერდა, გერმანიას სამხრეთ კავკასია ახლო აღმოსავლეთში შეღწევის საერთო გეგმის განხორციელების კუთხითაც იზიდავდა (5, 68).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კონსტანტინე კანდელაკი შენიშნავდა: „გერმანელები საუკეთესოდ იცნობდნენ ჩვენს ქვეყანას, მის ეკონომიურ შესაძლებლობას და გეოგრაფიულ მგებარეობის მნიშვნელობას. ამიტომ ისინი ... დაინტერესებული იყვნენ საქართველოს და საერთოდ კავკასიის აღმომძინებით. რასაკვირველია, იმ ანგარიშით, რომ თვითონვე კარგად ისარგებლებდნენ, თუ ომიდან გამარჯვებულნი გამოვიდოდნენ“ (6, 39).

ძირითადად ეს მოტივაცია განსაზღვრავდა გერმანელ პოლიტიკოსთა თუ მაღალი თანამდებობის სამხედრო მოღვაწეების საქართველოსთან დაახლოების წადილსა და სახელმწიფოებრივ ნებას.

ზემოხსენებული გეგმის ასამოქმედებლად საჭირო იყო თვით საქართველოში მონახულიყო ქვეყნის დამოუკიდებლობის იდეის მატარებელი პოლიტიკური ძალა ან ჯგუფი ადამიანებისა, რომელზედაც დაყრდნობით გაიშლებოდა მუშაობა. კაიზერის შესაბამისი უწყებები დაემებდნენ ამგვარი სულისკვეთებით გამსჭვალულ პიროვნებებს, მაგრამ მალე თვით ქართველებმა მიაკითხეს გერმანელებს.

რუსეთის 1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხების შემდგომ ქვეყანაში გამეფებულ რეპრესიებს, გადასახლებებსა და საპყრობილეს ბევრმა ქართველმა პოლიტიკურმა თუ საზოგადო მოღვაწემ თავი ემ-

იგრაციაში გახიზვნით დააღწია. ქართველ ემიგრანტთა დიდმა ნაწილმა ბინა შვეიცარიაში დაიდო. მათ მჭიდრო კავშირი დაამყარეს უკრაინა პის უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე თანამემამულე სტუდენტებთან, რომელთა შორის ბევრი თანამგრძნობი და მხარდამჭერიც შეიძინეს. ქართველთა პოლიტიკური საქმიანობა უცხოეთში განსაკუთრებით გააქტიურდა 1910 წლიდან, როცა ამ მუშაობას უფრო ორგანიზებული ხასიათი მიეცა და მიზანსწრაფვაც დაეტყო. ხელმძღვანელისა და ორგანიზაციორის როლში პეტრე სურგულაძე მოგვევლინა.

პ. სურგულაძემ ნესტორ მაღალაშვილთან, ასევე მმებ ლეო და გიორგი კერესელიძეებთან და მიხეილ იშხნელთან ერთად 1910 წელს ჟენევაში ორგანიზაცია „თავისუფალი საქართველოს ჯგუფი“ ჩამოაყალიბა. ჯგუფი მიზნად ისახავდა საქართველოს სრულ ჩამოშორებას რუსეთის იმპერიისაგან და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნას.

რუსეთის პოლიციის დეპარტამენტის ცნობით, ხსენებულ ჯგუფთან დაკავშირებულნი იყვნენ: მიხაკო წერეთელი, ვარლამ ჩერქეზიშვილი, გერონტი ქიქოძე, ალექსანდრე (სანდრო) შანშიაშვილი და სხვ. (7, ფურც. 394).

ჯგუფის წევრები ქართველთა ფართო წრეებში თავიანთი იდეების გავრცელების მიზნით 1913-1914 წლებში გამოსცემდნენ უკრაილს „თავისუფალი საქართველო“, დაემცენ სამშობლოსთან კავშირის გაფართოების ფორმებსა და საშუალებებს.

ჟენეველებს საქართველოში ადრევე გამოუჩნდნენ თანამოაზრენი, უმთავრესად უკრაილ „კლდის“ ირგვლივ შემოკრებილ მოღვაწეთა სახით. ეს არ ყოფილა მრავალრიცხვოვანი გაერთიანება და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ასეთი. სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე საქართველოში იმხანად მხოლოდ ფიქრი თუ შეიძლებოდა. პრაქტიკული საქმიანობის გაშლას ამ ნიადაგზე მთელი თავისი შესაძლებლობებით (ჟანდარმერია, პოლიცია და ა.შ.) წინ ეღობებოდა ჯერ კიდევ ფეხზე მყარად მდგომი თვითმპყრობელური რეჟიმი. დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა ის საერთო ატმოსფეროც, რომელსაც ამგვარი სულისკვეთების საპირისპიროდ ჩვენში რუსეთის მთლიანობისა და განუყოფლობის ერთგული დამცველი სოციალ-დემოკრატების გავლენიანი პოლიტიკური მიმდინარეობა ამვიდრებდა და სხვ.

ჟენევაში მოქმედი ჯგუფის იდეებს საქართველოში იცნობდნენ და იმთავითვე იზიარებდნენ დავით ვაჩნაძე, შალვა ქარუმიძე, რევაზ

გაბაშვილი, შალვა ამირეჯიბი, სპირიდონ კედია, ლადო გარსევანიშვილი და სხვ. რომლებიც მეტნაკლები ინტენსივობით ახერხებდნენ ტაქტს უცხოეთში მოღვაწე თანამემემულებთან, მაგრამ დაწყებულმა მსოფლიო ომმა ქართული პოლიტიკური ემიგრაცია თითქმის სრულიად მოსწყვიტა სამშობლოს. ახლა მათ დამოუკიდებლად, საკუთრივ უნდა აერჩიათ სამომავლო მუშაობის გზა.

ომმა კორექტივები შეიტანა ქართველ პატრიოტთა გეგმებში. საქართველოს დამოუკიდებლობის იმედი ახლა მთლიანად ამ ომს დაუკავშირდა.

1914 წლის შემოდგომაზე „საქართველოს თავისუფლების ჯგუფი „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტად“ გარდაიქმნა. მის საქმიანობას კვლავ პ. სურგულაძე მეთაურობდა. კომიტეტის წევრები ბევრს ფიქრობდნენ, ეძიებდნენ პრაქტიკული მოქმედების გზებს, განიხილავდნენ სხვადასხვა ვერსიას. დიდი ბჭობის შემდეგ გაზიარებულ იქნა ლ. კერესელიძის წინადადება, რომ კომიტეტს მიეღო გერმანიის ორიენტაცია და საქართველოს განთავისუფლების საკითხში ხელშეწყობა კაიზერის მთავრობისათვის ეთხოვა. პირველი მოლაპარაკებაც გერმანიის შვეიცარიელ ელჩთან შვეიცარიის ყოფილი პრეზიდენტის ადრიენ ლაშენალის სარკვომენდაციო წერილით აღჭურვილმა ლ. კერესელიძემ გამართა (8).

გერმანიის სამთავრობო წრეებთან დაკავშირების აზრი ჟენევაში მოქმედ განთავისუფლების კომიტეტის წევრთაგან დამოუკიდებლად დაეხადა ბელგიაში მყოფ გიორგი მაჩაბელსაც. მალე გიორგი მაჩაბელი და მიხეილ (მიხაკო) წერეთელიც განთავისუფლების კომიტეტს შეუერთდნენ.

„ჩვენ ვიცნობთ საქართველოს იმ ქართველი პატრიოტების წყალობით, რომელნიც „საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის“ გარშემო იკრიბებოდნენ... მათმა თავგანწირულმა... მუშაობამ, როგორც იქ, ჩვენში, ისე აქ, საქართველოში ცხადყვეს ჩვენთვის ქართველი ერის პოლიტიკური ლტოლვილობანი“ – მიმართავდა გერმანიის საიმპერატორო მისიის მეთაური გენერალი ფონ კრესი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანიას, 1918 წლის ივნისში თბილისში შეხვედრისას (9).

მართლაც, საქართველოს თავისუფლების პრობლემა, რომელიც აქამდე რუსეთის იმპერიის შიდა პოლიტიკურ საკითხად მიიჩნეოდა, საერთაშორისო დონეზე განსჯის საგნად ხსენებულმა კომიტეტმა გა-



იტანა.

XIX საუკუნეში საქართველოში ცარიზმის კოლონიური კულტურის საგან თავდაღწევის მრავალი საშუალება მოისინჯა: მღელვარება და აჯანყება, შეთქმულება თუ მშვიდობიანი ევოლუციური ბრძოლის გზა, მაგრამ საბოლოო მიზანი – ქვეყნის „აღდგენა-გამოხსნისა“, მიუღწეველი დარჩა. ეროვნულ მოღვაწეთა ახალმა თაობამ ახლებურ ვითარებაში (მსოფლიო ომი) სამშობლოს განთავისუფლების განსხვავებული ტაქტიკა აირჩია და ორიენტაცია საგარეო ძალაზე აიღო.

სხვა ქვეყნის (საგარეო ძალის) გამოყენება დამპყრობლის წინა-აღმდეგ ჩვენს ისტორიაში უცხო არ არის, მაგრამ მას უმეტესწილად ქვეყნის წინამდლოლნი მიმართავდნენ ხოლმე. სახელმწიფოებრიობაწარ-თმეულ ერში, რომელსაც ასეთი წინამდლოლი აღარ ჰყავდა, ბრძოლის მოთავეობა ვინმე სხვას უნდა ეკისრა. ასეთ როლში საქართველოს გან-თავისუფლების კომიტეტი მოგვევლინა.

აღსანიშნავია, რომ თუ აღრე საქართველოს მისწრაფება – მოკავ-შირე ეპოვა დასავლეთის ქვეყნებში ამ უკანასკნელთა მხრიდან მხო-ლოდ მორალური თანადგომით იფარგლებოდა, კომიტეტმა შეძლო მო-ჯადოებული წრის გარღვევა და გერმანიასთან გაბმული კავშირი კონ-კრეტული შედეგების მომტან საქმიან ურთიერთობაში გადაზარდა.

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტთან თანამშრომლობას გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო წარმართავდა. ამ უწყებაში ქართული საქმეების წარმოება მინდობილი ჰქონდათ სამინისტროს მრჩეველს რუდოლფ ნადოლნსა და გენერალური შტაბის პოლიტიკუ-რი სექციის უფროსს, ლეგაციის მდივანს ოტო გიუნთერ ფონ ვეზენ-დოკს. მოლაპარაკების შედეგად, გერმანიის ოფიციალურმა წარმომად-გენლებმა მიიღეს კომიტეტის წინადადება, რასაც მალე ვილჰელმ მეორ-ის მთავრობასა და საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს შორის შეთანხმების (Abkommen) გაფორმება მოჰყვა. დოკუმენტი შეიცავდა „გერმანიის მიერ საქართველოს სუვერენობის ცნობის დაპირებას, თუ გერმანია გაიმარჯვებდა და საქართველოს მიეცემოდა შესაძლებლობა დამოუკიდებლობის გამოცხადებისა. იყო აღთქმული აგრეთვე ყოველ-ნაირი დახმარება კომიტეტის მუშაობისათვის“ (10, 17).

სამწუხაროდ, შეთანხმების უფრო ზუსტი შინაარსი ჩვენთვის უცნობია, რადგან მისი ტექსტი ჯერჯერობით მიკვლეული არ არის.

საინტერესოა, რომ უფრო მეტი კონკრეტულობით გამოირჩეოდა გიორგი მაჩაბლის გეგმა, რომელიც მან გერმანიის ხელისუფლებას მ.

წერეთელთან ერთად მანამდე წარუდგინა, ვიდრე ისინი განთავისუფლების კომიტეტის წევრები გახდებოდნენ. გიორგი მაჩაბლის ვარაუდით, საქართველო უნდა გამხდარიყო მონარქია, რომელიმე გერმანელი პრინცით სათავეში (4, 17).

გერმანიის მესვეურები მაჩაბლის წინადადებას ყურადღებით მოეკიდნენ. განიხილებოდა საკითხი, რომ რუსეთისაგან ჩამოცილებულ საქართველოში გაემეფებინათ ვილჰელმ მეორის მემკვიდრე, პრინცი იოაკიმ ჰოკენბოლერნი (11, 45; 12, ფურც. 3; 13, 51). იგი უნდა დაქორწინებულიყო ქართველ ქალზე, რითაც საქართველოში საფუძველი ჩაეყრებოდა ახალ დინასტიას. დედოფლად შერჩეული ყოფილა გ. მაჩაბლის ახლო ნათესავი, შემდეგში საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრის მიხეილ მაჩაბლის ქალიშვილი მარინე (14, 128-130).

ამ იდეით გერმანიის საიმპერატორო კარის დაინტერესებაზე დამატებითი წყაროც მეტყველებს: კაიზერის კართან დაახლოებული ქართველი თავადი ანდრონიკაშვილი, რომელიც ხშირად სტუმრობდა კრონპრინცის ოჯახს, გადმოგვცემს, რომ გერმანიის მეფის შვილებმა საქართველოს საკითხი კარგად იცოდნენ. ტახტის მემკვიდრის სასახლეში საქართველოს დიდი რუკაც კი ეკიდა თურმე (2, 15).

ერთი ქვეყნის დინასტიის წარმომადგენლის სხვა სახელმწიფოში გამეფება არ ყოფილა უჩვეულო მოვლენა. იგივე გერმანიის ისტორია იცნობს ამგვარ შემთხვევებს. მაგალითად, 1831 წელს საბერძნეთის მეფე გახდა ბავარიის პრინცი ოტონი (ვიტელსბახი). 1871-1918 წლებში გერმანიის იმპერატორთა დინასტიის შვაბის ხაზის წარმომადგელებს - ჰოკენბოლერნ-ზიგმარინგენებს ხანგრძლივად ეჭირათ რუმინეთის სამეფო ტახტი და სხვ.

მიუხედავად ამისა, საქართველოში გერმანელი პრინცის გამეფების საქმე ლოგიკურ დასასრულამდე ვერ მივიდა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებისას ვილჰელმ მეორეს აქ მონარქიის აღდგენის წინადადება აღარ წამოუყენებია. ამ საკითხზე მსჯელობა არც საქართველოს ეროვნულ საბჭოში გამართულა. შესაძლოა მიზეზი ისიც იყო, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის განახლების შემდეგ გერმანიის ჯარის ნაწილებმა ჩვენი ქვეყანა მალევე დასტოვეს. ამასთან, 1918 წლის ნოემბრის რევოლუციამ კაიზერის ხელისუფლება საერთოდ დამხო და მონარქიას თვით გერმანიაში მოუღო ბოლო. უფრო საგნობრივი და შინაარსიანი ქართულ-გერმანუ-

ლი პროექტის ის ნაწილი აღმოჩნდა, რომელიც საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლებისა და სუვერენიტეტის აღდგენის ითვალისწინებდა.

1914 წლის ოქტომბერში, გერმანელთა რჩევით, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრები ბერლინიდან სტამბოლს გაემგზავრნენ ოსმალეთის მთავრობასთან ანალოგიური მოლაპარაკების მიზნით. შუამავლად გერმანიის კონსტანტინოპოლელი ელჩი უნდა გამოსულიყო.

კომიტეტის წინადადების არსი სულთნის წარმომადგენლებთანაც ისეთივე იყო, როგორც გერმანელებთან მოლაპარაკებისას: ოსმალეთს, თუ იგი რუსეთს კავკასიას წაართვევდა, საქართველო თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ უნდა ეცნო. ასეთ შემთხვევაში ქართველი ერი მადლიერების ნიშნად თურქეთის მეგობარი გახდებოდა.

ქართველი დელეგატი ლეო კერესელიძე თურქ დიპლომატებს განუმარტავდა საქართველოს დამოუკიდებლობის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სარგებლიანობას; არწმუნებდა, რომ თურქთათვის რუსეთის სახელმწიფოსთან უშუალო მეზობლობა და საზღვრების არსებობა არ იყო სასურველი. უმჯობესი იქნებოდა, თუ რუსეთსა და ოსმალეთს შორის ბუფერულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდებოდა საქართველო; ამით თურქეთს შესაძლებლობა მიეცემოდა აქ თავისუფლად გაეყვანა გზები, რასაც მანამდე ვერ ახერხებდა და სხვა.

მოლაპარაკების მიმდინარეობისას ოსმალეთი ჯერ კიდევ არ ჩაბმულიყო ომში, მაგრამ უკვე ემზადებოდა საომრად. თურქები იოლად არ თანხმდებოდნენ ქართველთა წინადადებაზე, აცხადებდნენ: ჩვენ თავს მოვალედ არ ჩავთვლით საქართველო თავისუფალ ქვეყნად ვაღიაროთ, თუ რუსებს კავკასიას ქართველების დაუხმარებლად, საკუთარი ძალით წავართმევთო (15, 20 ოქტომბერი). ამ საკითხში საჭირო იყო გონიერება, სიფრთხილე და წინდახედულება. თუ საქართველოში ცარიზმის საწინააღმდეგო გამოსვლა მოწყობოდა, რაზეც არაორაზროვნად მიანიშნებდა თურქეთის წარმომადგენელი, ომში კი რუსეთი გაიმარჯვებდა, ეს ქართველი ერისათვის დიდი უბედურების მომასწავებელი იქნებოდა (ცოტა ხნის შემდეგ ოსმალეთში მცხოვრებ სომეხთა ამგვარ გაუაზრებელ მოქმედებას მათი სასტიკი დარბევა და დიდალი მსხვერპლი მოჰყვა, რაც სომხურ ისტორიოგრაფიაში სომეხთა გენოციდის სახელწოდებითაა შესული).

ხანგრძლივი დავა და კამათი დასჭირდა შეთანხმების მიღწევას მომავალი საზღვრების საკითხშიც. კომიტეტი მოითხოვდა საქართველოსთვის მის ისტორიულ მიწა-წყალს – როგორც საქრისტიანო ისე სამართლიანო საქართველოს გადაცემას. თურქებს ეს უკანასკნელი თავისად მიაჩნდათ და მის დათმობას არ აპირებდნენ. მოლაპარაკება ჩიხში მოექცა, მაგრამ თურქეთში გერმანიის ელჩის, ვანგენჰეიმის მეშვეობით, ბოლოს, ყველაფერი მოგვარებულ იქნა.

ელჩის რჩევით, საქართველოსა და ოსმალეთის საზღვრად რუსეთ-ოსმალეთის იმჟამინდელი (1914 წლის) საზღვარი უნდა დარჩენილიყო (ბათუმის ოლქი საქართველოს ფარგლებში მოიაზრებოდა). ხელშეკრულების ტექსტი მომზადდა, მაგრამ თურქები ხელმოწერას აჭიანურებდნენ, ვიდრე ომში ჩაბმული მათი არმია 1914 წლის სარიყამიშთან ბრძოლაში კატასტროფას განიცდიდა.

მოლაპარაკება განახლდა. მხარეებმა ხელშეკრულებაში ზოგიერთი შესწორება შეიტანეს და დეტალები დააზუსტეს. დოკუმენტი, რომელსაც ხელი მოაწერეს ერთის მხრივ, თურქეთის შინაგან საქმეთა მინისტრის მდივანმა ისმეთ ფაშამ (დედით ქართველი. იგი შემდეგში თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტიც იყო) და მ ეორეს მხრივ, ლეო კერესელიძემ, ძალაში შევიდა (16, 72; 17, 21).

ხელშეკრულების საფუძველზე, ოსმალეთის მთავრობას უნდა ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და უდაო უფლება მის ისტორიულ ტერიტორიაზე. საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი კი ვალდებულებას კისრულობდა, რომ ყოველგვარი საშუალებით დაქმარებოდა ოსმალეთის არმიას, გასწევდა რუსეთის საწინააღმდეგო პროპაგანდას, ეცდებოდა ანტირუსული აჯანყების მოწყობას და სხვ. (16, 70-71; 18, 46).

საყურადღებოა ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლი, რომელიც თურქეთში ქართული სამხედრო შენარჩუნების შექმნას შეეხება. „ოსმალეთის მთავრობა არ დაუშლის საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს, რომ მან შეადგინოს ოსმალეთის ტერიტორიაზე ქართული ლეგიონი და ჰპირდება გაუადვილოს საქმე“ (15).

ქართული ლეგიონის შესადგენად განზრახული იყო გამოეყენებინათ გერმანიასა და მის მოკავშირეთა ბანაკებში მოხვედრილი სამხედრო ტყვეები, ასევე ქართველი მუსულმანები, მოხალისე ქართველი ემიგრანტები, საქართველოდან გადასახლებული სამხედრო პირები და სხვ.

ხელშეკრულების მიხედვით, ყველა პირობა, რომელიც დადგებული იყო განთავისუფლების კომიტეტთან, უნდა გადასულიყო საქართველოს დროებით მთავრობაზე, როდესაც იგი გამოცხადდებოდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი ოსმალეთში რამდენადმე გაფართოვდა. მის თავდაპირველ წევრებს დაემატენენ აღექ-სანდრე გოზალიშვილი, მელიტონ ქარცივაძე, ზია ბეგ აბაშიძე და სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის წინამდღვარი შალვა ვარდიძე. აქვე საბოლოოდ ჩამოყალიბდა კომიტეტის წესდება და სამოქმედო გეგმა. ოსმალეთის მთავრობამ საქართველოს ეროვნულ კომიტეტს ექსტერიტორიალური სტატუსი მისცა და საქმინობაში დახმარება აღუთქვა.

კომიტეტის წევრები პირველივე სხდომის შემდგომ ქ. ტრაპიზონს გაემართნენ, სადაც ბერძნული ეკლესიის ეზოში დაკრძალული იყო უკანასკნელი ქართველი გვირგვინოსანი, იმერეთის მეფე სოლომონ II. გიორგი კერესელიძის სიტყვით, „მთელი კომიტეტი ვეახელით სოლომონ მეფის სამარეს, ვაწირვინეთ და მუხლმოდრეკილებმა შევფიცეთ სოლომონს, თავგანწირვით ვებრძოლოთ მტერს“ (19, 29).

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის მუშაობა სამი უმ-თავრესი მიმართულებით წარიმართა: 1. საქართველოსთან დაკავშირება, აქაური პოლიტიკური წრეების სულისკვეთების გაცნობისა და და-მოუკიდებლობის იდეის პროპაგანდის მიზნით; 2. პოლიტიკური საქ-მიანობა ევროპაში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან კონ-ტაქტში და 3. ოსმალეთში ქართული სამხედრო შენაერთის ჩამოყალი-ბება. კომიტეტის წევრთა ფუნქციები და ადგილსამყოფელიც ამის მი-ხედვით განისაზღვრა. გიორგი მაჩაბელს საქართველოსთან ურთიერ-თობის დამყარება მიენდო, რის შემდგომაც იგი უნდა შეერთებოდა ბერლინში დამკვიდრებულ მ. წერეთელს, გ. კერესელიძესა და ა. გო-ზალიშვილს. კომიტეტის სხვა წევრები თურქეთში დარჩნენ. ჩვენ მა-ჩაბლის კვალს გავყვეთ:

გიორგი მაჩაბელი რამდენჯერმე ესტუმრა საქართველოს. საარქი-ვო მასალებით ირკვევა, რომ მისი პირველი ვიზიტი თბილისში 1914 წლის შემოდგომაზე შედგა. ოსმალეთიდან სამშობლოში გამომგზავრებამდე მაჩაბელი ჯერ ოდესას ეწვია, სადაც ნოვოროსიის უნივერსიტე-ტის ქართველ სტუდენტთა წარმომადგენლებს შეხვდა და კომიტეტის გეგმები გააცნო. რუსეთის სხვა უნივერსიტეტებში მოსწავლე თანამემა-მულე ახალგაზრდობასთან დასაკავშირებლად გიორგიმ ოდესის ქარ-

თულ სათვისტომოს სათანადო ინსტრუქცია მისცა და გარკვეული თანხაც დაუტოვა (20, 12-13).

1914 წლის 21 ოქტომბერს გიორგი მაჩაბელი თბილისში ჩამოგვა და და შეუდგა ეროვნული კომიტეტის ფორმირებას, რომელსაც საქართველოში რუსეთის საწინააღმდეგო აჯანყება უნდა მოემზადებინა. უანდარმერიის ცნობით, იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა აგრეთვე თურქოფილური იდეების პროპაგანდაში (21, ფურც. 51).

სწორედ ამ პერიოდში, თბილისის სომხურმა გაზეთმა „ჰორიზონმა“ გამოაქვეყნა თურქეთიდან მიღებული ინფორმაცია, რომ „სტამბოლის ქუჩებზე გაჩნდენ ვიღაც საეჭვო პირები, ჩოხებში და ფაფახებში გ ამოწყობილნი, ხანჯლებით შეიარაღებულნი... ამოტივტივდა ზევით რამდენიმე „ხაჩაგოლი“, რომელთაც დუშეთის ხაზინა გაძარცვეს (იგულისხმებოდნენ მმები ლ. და გ. კერესელიძეები, – ო.ჯ.). ამათ საიდუმლო თათბირი ჰქონდათ სხვადასხვა პირებთან ქართველი ერის სახელით“ (22).

გიორგი მაჩაბლის საქართველოში ყოფნის პერიოდში, ოზურგეთის მაზრაში გავრცელდა პროკლამაცია, რომელიც მოუწოდებდა: „საჭიროა ქართველებმა ოსმალებთან მეგობრული განწყობილება იქონიონ და მათის დახმარებით, ჭანებთან და ლაზებთან ერთად საქართველოს დამოუკიდებლობა აღადგინონ“ (18, 96-97; 23, 11).

რუსეთის უანდარმერიის აგენტურული მონაცემებით, საქართველო თითქოს თანაგრძნობით ეკიდება კავკასიაში თურქთა შესაძლო შემოჭრას და ამ შემთხვევისათვის ძვირფასი ხმალიც კი აქვთ შეკვეთილი ენვერ-ფაშასათვის მისართმევად (24, ფურც. 1-2).

ამ საქმეებით, ბუნებრივია, დაინტერესდნენ უანდარმერიისა და პოლიციის ორგანოებიც (25, ფურც. 113). ორივე უწყებაში დაიწყეს ზრუნვა დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად, რათა მეფისნაცვლის კანცელარიისათვის სათანადო მოხსენებითი ბარათი წარედგინათ.

მიმდინარე ომის ვითარებაში, ყოველივე ეს მეტად სარისკო ჩანდა, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ 1914 წლის ნოემბერში, კავკასიის არმიის საბრძოლო მზადყოფნის დასათვალიერებლად, თბილისში ჩამოდიოდა იმპერატორი ნიკოლოზ II.

საჭირო იყო ენერგიული პროტესტი და გავრცელებული ხმების გაქარწყლება. ეს საქმე ქართულმა საქველმოქმედო საზოგადოებამ და პერიოდულმა პრესამ ითავა. უურნალ-გაზეთებმა სასტიკად დაგმეს

„ჰორიზონის“ გამოხდომა და მას „ნამდვილი დაბეზღება“ უწოდეს.

ქართულმა პრესამ ასევე წამქეზებლურ ნაბიჯად მიიჩნია უფშური მიმდევარებული გეთში გავრცელებული მოწოდებაც. გაზეთი „სახალხო ფურცელი“ წერდა: „ჩვენ არ ვიცით, იყო მართლა ასეთი ფურცელი თუ არა. არც ის ვიცით, როგორ და რანაირი საშუალებით ვრცელდება იგი ხალხში, ან ვინ არის მისი ავტორი და გამავრცელებელი. მაგრამ ასეთი ფურცელები მართლაც რომ არსებობდეს, იგი ოდნავადაც ვერ შეარყევს იმ საერთო სულიერ განწყობილებას, რომელიც დღიდან ომის გამოცხადებისა, ქართველ საზოგადოებაში დამკვიდრდა. რუსის ჯარს აქვს საკმაო ძალა, რომ ჩვენი ქვეყანა დაიფაროს და დაიცვას ყოველი შემთხვევისაგან. ეს რწმენა იმდენად დიდია და ერთსულოვანი, რომ ყოველი ცდა, რაიმე ეჭვი დაპატიოს ქართველ ხალხში და შეუცვალოს შეხედულება, უნაყოფოდ ჩაივლის“ (26).

მართლაც, ანტირუსული გამოსვლის იდეამ საქართველოში ვერ ჰქოვა მხარდაჭერა. იგი არ იქნა გაზიარებული არც ქართველ სტუდენტთა მიერ. უანდარმერიამ, რომლის აგენტურა საუნივერსიტეტო ქალაქებში თვალს ადევნებდა ქართველი ახალგაზრდობის განწყობილებებს, საგანგებოდ აღნიშნა, რომ ქართველი სტუდენტობა აჯანყების განზრახვას ყველგან უარყოფითად მოეკიდა.

ყოველივეს მიუხედავად, გიორგი მაჩაბელს არ შეუწყვეტია საქმიანობა. 1914 წლის ნოემბერში იგი განთავისუფლების კომიტეტის დეპუტაციასთან ერთად ვენაში ჩავიდა (18, 82-83; 20, ფურც. 2) და ავსტრიის ხელისუფლებასთან გერმანიაში დადებული შეთანხმების ანალოგიური დოკუმენტის გაფორმება შეძლო.

1915 წლის მეორე ნახევარში გ. მაჩაბელი ხელმეორედ ეწვია საქართველოს და თან ჩამოიტანა გერმანიასთან, ავსტრიასთან და ოსმალეთთან დადებული საბუთები. ეროვნულ-დემოკრატმა რ. გაბაშვილმა იგი კონსპირაციულად საქართველოს ძირითად პოლიტიკურ პარტიათა და მიმდინარეობათა წარმომადგენლებს შეახვედრა. თათბირი ქუთაისში, ვ. ფალიაშვილის ბინაზე გაიმართა. მონაწილეობას იღებდნენ: ნ. ქორდანია, ე. გეგმური (სოციალ-დემოკრატები), გრ. რცხილაძე, ს. ფირცხალავა (ფედერალისტები), რ. გაბაშვილი და შ. ამირეჯიბი (ეროვნულ-დემოკრატები) (28, 149). გიორგი მაჩაბელს აინტერესებდა შეეტყო, თუ როგორ უყურებდნენ მსოფლიო კონფლიქტს ქართველი პოლიტიკური წრეები, რა შეხედულებანი და მიზნები ჰქონდათ მათ საქართველოს მომავალზე.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს სრული ინფორმაცია საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის საქმიანობის თაობაზე და გაეცნენ ჩამოტანილ დოკუმენტებს. საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხმა მხარდაჭერა ჰპოვა, მოიწონეს გერმანიასთან და ავსტრიასთან დადებული შეთანხმებებიც, ხოლო ოსმალეთთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მიუღებლად მიიჩნიეს მუხლი საქართველოში აჯანყების მოწყობის შესახებ. ნ. ეორდანიამ განაცხადა: მართალია, ჩვენში გერმანოფილური აზროვნება სჭარბობს, მაგრამ რუსეთის ორგულობას ვერ გამოვიჩენთ. ჩვენი გზაა არა აჯანყება, არამედ რუსეთის შინაგანი რევოლუცია და დასძინა: ქართულმა კომიტეტმა იმუშაოს საზღვარგარეთ, შეიძლება ეს ხაზიც გამოგვადესო (29, 71-72).

ქუთაისის შეხვედრას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა: ჯერ ერთი, აქ საქართველოს სუვერენიტეტის საკითხზე პოლიტიკური პარტიების შეხედულებათა სოლიდარობა გამოიკვეთა და მეორე: ამ საიდუმლო განდობამ ქართული პარტიების წარმომადგენლებს ურთიერთნდობისა და თანაზიარობის გრძნობა გაუჩინათ, რაც ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მნიშვნელოვანი წინაპირობა იყო.

ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა და ფედერალისტებმა კომიტეტთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადეს. გიორგი მაჩაბლის ყველაზე აქტიური მხარდაჭერნი საქართველოში ეროვნულ-დემოკრატები აღმოჩნდნენ. სწორედ მათ წრეში დაარსდა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის ფარული ფილიალი დავით ვაჩაძის, რევაზ გაბაშვილისა და სპირიდონ კედიას შემადგენლობით (28, 157). შემუშავდა საქართველოს ტერიტორიაზე იარაღის საიდუმლოდ შემოტანისა და დაბინავების გეგმა, რის შემდეგაც გ. მაჩაბელი შორეული გზით (პეტროგრადი-ციმბირი-იაპონია-ამერიკა) ბერლინში დაბრუნდა. მან გერმანიის საზღვაო და სამხედრო შტაბებთან მოაგვარა საქმე და საქართველოსთან სტამბოლიდან წყალქვეშა ნავებით კავშირი გააძა (30, 123).

მართლაც, ამ გზით საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წარმომადგენლებმა საქართველოში რამდენიმე ექსპედიცია განახორციელეს და იარაღის შემოტანაც მოახერხეს. ამ საქმიანობაში მონაწილეობდნენ თვით გ. მაჩაბელი, ოფიცერი ლადო მძინარიშვილი, რომელიც განზრახ ჩაუვარდა გერმანელებს ტყვედ, რათა საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს დაკავშირებოდა, პ. სურგულაძე, მ. ქარცივაძე, კერესელიძე (სოციალ-დემოკრატი), ამაშუკელი და სხვა. იარაღის მიღება და შენახვა ასევე ეროვნულ-დემოკრატებს შ. ქარუმიძეს,

ს. გამყრელიძეს, კ. მისაბიშვილს, ს. ხოფერიას, შ. კალანდარიშვილს, ოფიცერ ტატიშვილს, ლ. გარსევანიშვილსა და კ. დადაიანს ჰქონდათ მინდობილი. ერთ-ერთი ბოლო ექსპედიციის დახვედრაში მონაწილეობა მიიღო აგრეთვე ნიკო ხორავამ (27, 239).

1917 წლის ოქტომბერში გერმანული წყალქვეშა ნავით – U-42 საქართველოში ფარულად ჩამოვიდა მიხაკო წერეთელი. ამჯერად იარაღთან ერთად გერმანიდან თანხაც გამოიგზავნა. გრ. ვეშაპელის მოწმობით, ეს ფული – 15 ათასი რუსული ოქროს მანეთის ღირებულებისა, საქართველოს ეროვნული საბჭოს შექმნის წინ ეროვნულ-დემოკრატებმა ნ. უორდანიას გადასცეს (31, 148) (გერმანული წყაროების თანახმად, მ. წერეთელს საქართველოში 370 ათასი მანეთი მოჰქონდა) (32, 119).

მიხაკო წერეთელი თბილისში მცირე ხნით დარჩა. იგი არალეგალურად ცხოვრობდა დავით ვაჩნაძის ბინაზე, სადაც, ნოე ჟორდანიას მეთაურობით, ქართველ მოღვაწეთა კიდევ ერთი კონსპირაციული შეხვედრა გაიმართა. მასში მხოლოდ 5 კაცი იღებდა მონაწილეობას. ესენი იყვნენ: ნ. უორდანია, ე. გეგეჭკორი, მ. წერეთელი, დ. ვაჩნაძე და ი. გედვეანიშვილი (33, 143).

ნოე ჟორდანიას სიტყვით, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებაში არავითარი აზრთა სხვადასხვაობა არ ყოფილა. საჭირო იყო მხოლოდ ისეთი ტაქტიკა, რომელიც მართლა მიგვიყვანდა ამ მიზანთან და თან ქართველი ერის ფიზიკურ არსებობას არ ემუქრებოდა (29, 72).

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრებს კავშირი ჰქონდათ არა მხოლოდ საქართველოსთან, არამედ რუსეთის მძლავრ ქართულ კოლონიასთან, განსაკუთრებით პეტროგრადსა და მოსკოვში მოღვაწე ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან. მიხაკო წერეთლის გადმოცემით, კომიტეტის დაარსებითა და მისი საქმიანობით აღფრთოვანებული ყოფილა მხცოვანი მეცნიერი ალექსანდრე ცაგარელი (შემდგომში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი), რომელსაც გიორგი მაჩაბელთან შეხვედრისას ბერლინში გამგზავრების სურვილიც გამოუთქვას – „გერმანიაში აუარებელი მეგობრები მყავს და დიდი სარგებლობის მოტანა შემიძლია თქვენთვისო“ (10, 20).

არსებობს დოკუმეტური წყაროც – საარქივო საბუთის სახით, რომელიც ევროპაში მოქმედ განთავისუფლების კომიტეტთან მეორე

ქართველი სწავლულის ივანე ჯავახიშვილის კონტაქტებს ცხადყოფს  
(34, 8-13).

ამ დოკუმენტის თანახმად, ივ. ჯავახიშვილი ინკოგნიტოდ იმყო-  
ფებოდა საზღვარგარეთ, კერძოდ სტოკჰოლმში, სადაც შეხვედრა პქონ-  
და გერმანიის ელჩთან. საიდუმლო მოლაპარაკება შეეხებოდა საქარ-  
თველოს საკითხს.


შეციის დედაქალაქში გერმანიის საელჩო, ისევე როგორც მსგავ-  
სი დაწესებულებები კოპენჰაგენში, ბერნსა და კონსტანტინოპოლში,  
პირველი მსოფლიო ომის წლებში მართლაც იყვნენ ანტანტის სახელ-  
მწიფოების, კერძოდ რუსეთის წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდის-  
ტული საქმიანობის ცენტრები (4, 50).

სტოკჰოლმშივე, გ. მაჩაბელისა და რუსეთის სამხედრო მინის-  
ტრის სუბომლინოვის თანაშემწის ვ. დუმბაძის შეხვედრისას, ჩაეყარა  
საფუძველი ერთ გახმაურებულ საქმესაც, რომლის დეტალები ამ საქ-  
მეზე საგანგებოდ მოწყობილ სასამართლოსთვისაც კი უცნობი დარჩა  
(35). რევაზ გაბაშვილის მოგონებებში აღწერილი და მიხეილ ჯავახიშ-  
ვილის რომანში „კვაჭი კვაჭანტირაძე“ მხატვრულად მოთხრობილი  
ხსენებული ამბის არსი ასეთია:

ომის დროს რუსეთის არმია აღჭურვილობისა და ყუმბარების  
ნაკლებობას განიცდიდა. სამხედრო უწყებამ გადაწყვიტა, ჭურვები ამ-  
ერივის შეერთებული შტატებისათვის შეეკვეთა და ამ მიზნით 15 მი-  
ლიონი ოქროს მანეთი გამოჰყო. შეკვეთის ოფიციალური რწმუნებულე-  
ბა ვ. დუმბაძეს გადაეცა. აღნიშნული თანხა, გ. მაჩაბლის გეგმის თა-  
ნახმად, ნაცვლად ამერიკისა, გერმანიაში აღმოჩნდა. ვ. დუმბაძემ თავის  
მინისტრს კი ყალბი საბუთები ჩააბარა. სამი თვის შემდგომ რუსეთმა  
„შეკვეთილი“ ჭურვები მიიღო, მაგრამ არც ერთი მათგანი სათანადო  
ყალიბისა არ გამოდგა და ფაქტობრივად გამოუსადეგარი დარჩა. ამ  
ამბავმა, – რ. გაბაშვილის სტყვით, „უდიდესმა ქართულმა პატრიოტ-  
ულმა საქმეშ“ – მთელს იმპერიაში ფართო გამოძახილი ჰპოვა. სუბომ-  
ლინოვი თანამდებობიდან გადააყენეს, ვ. დუმბაძე კი ციმბირში გადა-  
ასახლეს (28, 171-174).

აქვე უნდა ვახსენოთ 1917 წლის დეკემბერში კოპენჰაგენში გა-  
მართული ქართველ პატრიოტთა კიდევ ერთი შეხვედრა. მასში სპირი-  
დონ კედია და გიორგი მაჩაბლი მონაწილეობდნენ.

განთავისუფლების კომიტეტთან დასაკავშირებლად ევროპაში სა-  
განგებოდ გამგზავრებულმა საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული



პარტიის თავმჯდომარე ს. კედიამ უცხოეთში მყოფ თანამემამულეს ახალი, მეტად სასიამოვმო ამბავი ჩაუტანა. სახელდობრ, გააცნო თბილი ლისში მიმდინარე სამზადისი ეროვნული ყრილობის მოსაწვევად, ომ-მელიც სანიშანსვეტო მოვლენა უნდა გამხდარიყო საქართველოს თავი-სუფლების გზაზე. ამ ფაქტმა მაჩაბელზე დიდი შთაბეჭდილება მოახ-დინა. ქართულ პოლიტიკურ პარტიათა და მიმდინარეობათა გაერთი-ანება მან საქართველოს სახელმწიფო ბრიობის აღდგენის მოახლოებად მიიჩნია. გ. მაჩაბელი კმაყოფილებით შეხვდა ქართველი თავადაზნა-ურობის განზრახვას საკუთარი ქონების მთელი ერისათვის გადაცემის შესახებ. გიორგის მაძიებელ გონებაში მაშინვე დაიბადა ახალი გაბე-დული გეგმა. კერძოდ, განთავისუფლების კომიტეტს, ხსენებული ქო-ნების გარანტიით, გერმანიის მთავრობისათვის უნდა ეთხოვა სესხი, რომელიც ქართული სახელმწიფოს დაფუძნებას მოხმარდებოდა. „თუ საქართველოს ხელისუფლება ამაზე უარს იტყვის, არ ავიღებთ, მზად კი გვექნებაო.“ გიორგი მაჩაბელსა და გიორგი კერესელიძეს ამ სა-კითხზე მართლაც ჰქონდათ მოლაპარაკება გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც დახმარება აღუთქვეს (36, 81).

საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის საქმიანობის ერთი საყურადღებო სფერო, როგორც აღვნიშნეთ, საქართველოს სახელმწი-ფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის პროპაგანდა იყო, არა მხოლოდ გერმანიაში, არამედ ყველგან, სადაც ამის შესაძლებლობა და გარემოება გაჩნდებოდა. ამ კუთხით უაღრესად აქტუალური იყო წიგნების გა-მოქვეყნება ევროპულ ენებზე, პუბლიკაციები უცხოურ გამოცემებში, ქართული პრესის ორგანოების (გაზეთები „კავკასია“, „ქართული გაზე-თი“) დაარსება გერმანიაში და სხვა.

ქართველ მოღვაწეებს მონდომება არ დაუკლიათ, რომ საქართვე-ლოს საკითხს ინტერესი აღეძრა დასავლეთის სახელმწიფოთა პოლი-ტიკურ და საზოგადოებრივ წრეებში, მოეპოვებინა მას ევროპის საზო-გადოებრივი აზრის თანაგრძობა და მხარდაჭერა. საქართველოს გან-თავისუფლების კომიტეტის ძალისხმევით ბერლინში შედგა გერმა-ნულ-ქართული საზოგადოება, რომელშიც გერმანიის წამყვანი უნივერ-სიტეტების პროფესორები ლისტი, ლუშანი, მიგანი, ასევე გერმანული არისტოკრატიის არაერთი გამოჩენილი წარმომადგენელი და სხვა გა-ერთიანდა (24, საქმ. №5439, ფურც. 8-9).

განთავსუფლების კომიტეტის წევრებმა ფართო მუშაობა გასწიეს გავლენიანი გერმანული გაზეთების დასაინტერესებლად ქართული

პრობლემატიკით და, შეიძლება ითქვას, მნიშვნელოვან წარმატებასაც მიაღწიეს. ამის დასტურია პირველი მსოფლიო ომისდროინდელ გვრმანულ პრესაში გამოქვეყნებული სტატიები: „საქართველოს ტრაგედია“, „საქართველოს იმედი“, „საქართველოს საკითხი“, „საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა“, „იცნობთ თქვენ ქართველებს?“ და სხვ. (32).

ბერლინის ერთ-ერთ უდიდეს ყოველდღიურ გაზეთში – „ბერლინერ თაგებლატტ“ – 1918 წლის 15 მაისს დაიბეჭდა გ. მაჩაბლის წერილი „ამიერკავკასიის რესპუბლიკა“. პუბლიკაციაში მოთხოვბილია, თუ როგორ განვითარდა მოვლენები საქართველოში თებერვლის რევოლუციის შემდგომ. აღნიშნულია, რომ ამ პერიოდში ქართველებმა განახორციელეს რიგი თავიანთი მოთხოვნილებანი, კერძოდ: ეროვნული ჯარების შედგენა, სასწავლებლებში ქართულ ენაზე სწავლის შემოღება, ქართული უნივერსიტეტის დაარსება და სხვ. ნათქვამია, რომ გარდა ამიერკავკასიის საერთო მთავრობისა, არსებობს აგრეთვე საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ შექმნილი წმინდა ქართული მთავრობა. სომხებსა და თათრებს თავ-თავიანთ მიწა-წყალზე გააჩნიათ საკუთარი ეროვნული ორგანიზაციები.

„ბოლშევიკების ცდამ კავკასიაში გაბატონებულიყვნენ, უნაყოფოდ ჩაიარა და ადვილად დამარცხდნენ“, წერდა გ. მაჩაბელი და შენიშნავდა: „ყველაფერი სრულ განვითარების გზას ადგა, როდესაც ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკება დაიწყო. ამიერკავკასიის წარმომადგენლებმა ვერ შესძლეს ამ მოლაპარაკებას დასწრებოდნენ, რადგანაც მათი მხარე სრულიად მოწყვეტილი იყო რუსეთს, როგორც ხმელეთით, ისე ზღვით“ (37).

აქვე დავძენთ, რომ გიორგი მაჩაბელი თვითონ საგანგებოდ ჩავიდა ბრესტ-ლიტოვსკში, მაგრამ უმანდატოდ მოლაპარაკების მსვლელობაზე გავლენა ვერ მოახდინა. ამ მხრივ დიდად საყურადღებოა მისი ერთი, აქამდე უცნობი წერილი აკაკი ჩხერიშვილისადმი, რომელიც დაცულია ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის მუზეუმში და დათარიღებულია 1918 წლის 29 აპრილით.<sup>1</sup> გ. მაჩაბელი გადმოგვცემს: „... რუსეთთან ზავი არ

<sup>1</sup> გ. მაჩაბლის წერილზე მითოებისათვის დიდ მადლობას მოვახსენებთ ქართული ემიგრაციის მუზეუმის ხელმძღვანელს ქალბატონ რუსუდან კობახიძეს.

სრულდება და თურქები ცდილობდნენ ჩვენთან მაინც შეეკრათ ზავი და არაფერზე დავას არ გვიხდენდნენ. ... სამწუხაროდ, არ მქონდა აფერი ოფიციალური მინდობილობა ჩვენი მთავრობის, თორემ დღეს ზავი თურქებთან და ცენტრალურ სახელმწიფოებთან მზად იქნებოდა და არაფერი საჩხები და სადაო თურქებთან არ გვექნებოდა“ (38).

თავის საგაზეთო პუბლიკაციაში ქართვლი მოღვაწე კრიტიკულად აფასებდა ბრესტის საზაო ხელშეკრულების პირობებს, განსაკუთრებით მის მეოთხე მუხლს, რომლის მიხედვით, ქართული ისტორიული მიწა-წყლის დიდი ნაწილი ოსმალეთს მიეკუთვნა. გ. მაჩაბელი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ამგვარი გადაწყვეტილება „მეტად მწარედ მოხვდა ქართველთა გულს. ამ ტერიტორიის, მეტადრე ქალაქ ბათუმის წართმევა – შენიშნავდა იგი – არამც თუ საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის არსებობის შესაძლებლობას სათუოდ ჰქმნის“.

დასასრულს ნათქვამია, რომ ამჟამად ბათუმში მიმდინარეობს მოლაპარაკება ამიერკავკასიისა და ოსმალეთის მთავრობებს შორის და გამოთქმულია იმედი, რომ „მოლაპარაკება ორივე მხარეს დააკმაყოფილებს და შშვიდობიანად დასრულდება“ (37).

გიორგი მაჩაბელი გაზეთის მეშვეობით ოპერატიულად გამოეხმაურა საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ირგვლივ იმხანად შექმნილ მდგომარეობას, რომლის სიმწვავეს გერმანელი მკითხველი საზოგადოება ნაკლებად გრძნობდა, მაგრამ კაიზერის სახელისუფლებო წრეებისათვის ყველაფერი ნათელი და გასაგები იყო. მათი წარმომადგენლები თანამშრომლობდნენ საქართველოს განთავისუფლების კომიტეტთან და სრულად იყვნენ გარკვეული საკითხის არსში. ამიტომ, არც ის თანადგომა იყო შემთხვევითი, რაც გერმანიის დელეგაციამ ბათუმის მოლაპარაკებზე ქართველებს აღმოუჩინა.

აღსანიშნავია, რომ ბერლინში მყოფმა გ. მაჩაბელმა თავისი ზემოთ უკვე დამოწმებული წერილი ა. ჩხენკველს ჩვენს მიერ ნახსენები ოტო ფონ ვეზენდოკის ხელით გამოუგზავნა, რომელიც გერმანიის დელეგაციის სხვა წევრებთან ერთად კონსტანტინოპოლის გავლით საქართველოში მოემგზავრებოდა ბათუმის მოლაპარაკებში მონაწილეობის მისაღებად. დიდად საგულისხმოა ასევე ისიც, რომ ამ დელეგაციას მრჩევლის სტატუსით თან ახლდა განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარე პეტრე სურგულაძეც.

გიორგი მაჩაბელი აკავი ჩხენკველს თითქმის დეტალურად აღუწერდა განთავისუფლების კომიტეტის მიერ 4 წლის განმავლობაში გა-

წეულ საქმიანობას, აცნობდა ქართული კომიტეტის საერთაშორისო კონტაქტებს და განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა იმ ფუქტს, რომ „რამდენიმე თვის წინათ ... იყო გაცვლილი ოფიციალური ხორცა ცენტრალურ სახელმწიფოებსა და ოსმალეთს შორის, რომელსაც მიზნად ჰქონდა სრული გარანტია შეექმნა ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხში“ (38). გ. მაჩაბლის სიტყვით, „ამ ნოტას აქვს სრული ოფიციალური ხასიათი“ და ქართულ მხარეს იგი მოლაპარაკების პროცესში გამოადგებოდა. გიორგი მაჩაბლის რჩევით, აკაკი ჩხერიძელს შეეძლო ესარგებლა აგრეთვე ოტო ვეზენდოკისა და გერმანიის დელეგაციის საქართველოსადმი კეთილგანწყობით. მართლაც, საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის მიერ გერმანიის სახელისუფლო წრეებთან გამნტკიცებული კავშირები ჩენს ქვეყანას იმ გადამწყვეტ მომენტში დიდად დაეხმარა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ გერმანიის მხარდაჭერამ 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენასა და გამოცხადებაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა.

განთავისუფლების კომიტეტის საქმიანობა საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენის შემდეგ დიდხანს აღარ გაგრძელებულა. 1918 წლის ივნისში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამთავრობო დელეგაცია საგარეო საქმეთა მინისტრის აკაკი ჩხერიძელის მეთაურობით ბერლინს ეწვია. კომიტეტმა თავისი ფუნქციები ამოწურულად ჩათვალა და ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ საქართველოს ოფიციალური მთავრობის წარმომადგენელს ჩააბარა.

ა. ჩხერიძელმა განთავისუფლების კომიტეტის მოღვაწეობას მაღალი შეფასება მისცა და მის წევრებს მადლობა გადაუხადა, ხანგრძლივი და სასარგებლო შრომისათვის.

გიორგი მაჩაბელი და მიხაკო წერეთელი გერმანიაში მყოფი ქართული დელეგაციის მუშაობაში ჩაებნენ და ქართველ დიპლომატებს დიდი დახმარებაც აღმოუჩინეს. კომიტეტმა ასევე წარმატებით განახორციელა თავისი ერთ-ერთი ბოლო ღონისძიებაც ქართველი ტყვეების სამშობლოში დაბრუნების სახით და 1918 წლის ივლისში არსებობა შეწყვეტა. კომიტეტის დავალებით, გიორგი მაჩაბელმა და მიხაკო წერეთელმა გერმანიის მთავრობას მიართვეს მემორანდუმი, რომელშიც გამოთქმული იყო განსაკუთრებული მადლიერება გერმანიის მხრიდან საქართველოს თავისუფლების მოპოვებაში გაწეული დიდი დახმარების გამო (24, საქმ. 5432, ფურც. 25).

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. შ. ქარუმიძე, თავადი გიორგი მაჩაბელი, გაზ. „კლდე“, ბერლინი, 1935, №9/10.
2. დ. ღოღობერიძე, მემუარები, ჟურნ. „ივერია“, პარიზი, 1980, №23.
3. შ. მაღლაკელიძე, მოგონებები, ჟურნ. „განთიადი“, ქუთაისი, 1991, № 2.
4. S. Zeterberg, Die Liga der Freiwilligen Russlands 1916-1918, Helsinki, 1978.
5. ზ. ავალიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში, თბ., 1926.
6. კ. კანდელაკი, საქართველოს ეროვნული მეურნეობა, წგნ. II, პარიზი, 1960.
7. საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი (სცსსა), ფ. 94, ანაწ. 1, საქმ. № 433.
8. ლ. ბაქრაძე, თითქოს ყველაფერი დღეს არის დაბეჭდილი, გაზ. „7 დღე“, 1991 წ., 29 მარტი.
9. შ. ქარუმიძე, საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი (მოგონება), გაზ. „კლდე“, 1918 წ., 22 სექტემბერი.
10. კ. სალია, დამოუკიდებლობის კომიტეტი პირველი მსოფლიო ომის დროს, ჟურნ. „ბედი ქართლისა“, პარიზი, 1962, № 39-40.
11. ვ. თევზაძე, განვლილი გზა, ჟურნ. „ივერია“, პარიზი, 1988, № 32.
12. ქართული ლიტერატურის მუზეუმი, შ. ამირეჯიბის ფონდი, საქმ. № 26960/20.
13. Д. Сейдаметов и Н. Шляпников, Германо-австрийская разведка в царской России, М. 1939.
14. ო. ჯანელიძე, გერმანული ფურცლები საქართველოს ისტორიაში, ჟურნ. „ცისკარი“, 1998, № 2.
15. ბ. მაღალაშვილი, ოსმალეთთან შეთანხმება, გაზ. „კლდე“, 1918 წ., 27 ოქტომბერი.
16. მ. სვანიძე. 1914 წელს ოსმალეთსა და საქართველოს განთავისუფლების კომიტეტს შორის დადებული საიდუმლო ხელშეკრულება, წიგნში – ქართული დიპლომატია, წელიწდეული, II, თბ., 1995.

17. სპირიდონ კედია. მასალები პირადი არქივიდან, თბ., 2007.
18. მ. სიორიძე, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, „ბა-  
კართველი შიგნიველების გამოცხადების სამინისტროს აუგისტი, 1998.
19. გ. კერესელიძე, სოლომონ მეფის ნეშტის შესახებ, ჟურნ. „ბედი  
ქართლისა,“ პარიზი, 1951, №9.
20. სცსსა, ფ. 153, ანაწ. 1, საქმ. №3024.
21. საქართველოს პრეზიდენტის არქივი (ამჟამად შს სამინისტროს  
არქივი), ფ. 8, ანაწ. 3, საქმ. № 205.
22. გაზ. „ახალი ივერია,“ 1914 წ., 14 ოქტომბერი.
23. ჟურნ. „კლდე,“ 1914, №34.
24. სცსსა, ფ. 153, ანაწ. 1, საქმ. № 2850.
25. სცსსა, ფ. 13, ანაწ. 27, საქმ. №3167.
26. გაზ. „სახალხო ფურცელი,“ 1914 წ., 14 ოქტომბერი.
27. ო. ჯანელიძე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატი-  
ული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002.
28. რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, წიგნში – დაბრუნება, ტ. 3, თბ.,  
1992.
29. ნ. ჟორდანია, ჩემი წარსული, თბ., 1990.
30. გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. 3, თბ., 1993.
31. გ. ვერაპელი, ახალი საქართველო, თბ., 1928.
32. ლ. ბაქრაძე, გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი  
მსოფლიო ომის დროს, დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდი-  
დატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 2001 (ხელნაწერი).
33. დ. ვაჩნაძე, სამშობლოს სამსახურში, ჟურნ. „ივერია,“ თბილი-  
სი-პარიზი, 1992, №1,
34. ო. ჯანელიძე, ივანე ჯავახიშვილი, თბ., 1996.
35. გაზ. „საქართველო,“ 1917 წ., 18 აგვისტო.
36. ო. ჯანელიძე, სპირიდონ კედია. პოლიტიკური პორტრეტი,  
თბ., 2002.
37. გაზ. „ქართული გაზეთი,“ ბერლინი, 1918 წ., 30 მაისი.
38. ქართული ემიგრაციის მუზეუმი, ფ. M, ანაწ. 5 – ხ-1.

Otar Janelidze

## Georgian Liberation Georgian-German Project in the Years of World War I and Giorgi Machabeli

### Summary

The article discusses a remarkable period of a famous public person Giorgi Machabeli's biography. Giorgi Machabeli was a significant public figure who fought for the liberty of Georgia. Particularly, his participation in the affairs of the Georgian Liberty Committee that worked in Europe during the years of World War I.

The committee drafted the Georgian Liberation project together with the German governmental circles in October, 1914. According to the plan of Giorgi Machabeli, Georgia should have been a monarchic state. The reign of the state would have been the German Prince who would have married to the Georgian aristocrat lady Marine Machabeli. So, a new monarchic dynasty would have established in Georgia.

A proper agreement was signed between the Keiser government and the Georgian Liberty Committee.

Though Giorgi Machabeli's idea was not realized completely, but the part of the project that reasoned to achieve national-political liberty of Georgia succeeded and it resulted in the restoration of the country's sovereignty on May 26, 1918. Germany kept the promise and took responsibility to protect the sovereignty of Georgia.

## რუსუდან კომახიძე გიორგი მაჩაბლის წერილები აკაკი ჩხერიმელს

„კავკასია არის ხიდი ევროპის და  
აზიის შორის... ეს ხიდი უნდა იყვეს  
თავისუფალი...“ (1, 2)

გ. მაჩაბელი

1935 წლის 31 მარტს ნიუ-იორკში გარდაიცვალა გიორგი მაჩაბელი - „ძველი ქართველი არისტოკრატი და განათლებული ევროპიელი“ (2, 2) - როგორც მას მიხაკო წერეთელი უწოდებდა. გ. მაჩაბლის გარდაცვალება მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო ქართული ემიგრაციისათვის. „ვინც მას იცნობდა, ძნელად დაიჯერებს ამ სიცოცხლით სავსე ადამიანის სიკვდილს. კარგი ქართველი, თავდადებული მებრძოლი თავის ქვეყნისათვის...“ (3, 12) - წერდა გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“ ამავე წლის აპრილის ნომერში და იქვე: „გიორგი მეტად აღგზნებული პატრიოტი იყო, მაგრამ ეს არ უშლიდა აბომაქტრებული გრძნობები გონიერისათვის დაემორჩილებინა“.

გაზეთ „კლდეში“ (№9-10, 1935 წ.) შალვა ქარუმიძე ამგვარად იხსენებს გ. მაჩაბელს: „იშვიათი ამხანაგი, ავისა და კარგის გამრჩევი, რაინდობით სავსე... მისი სტიქია - დიპლომატიური წარმომადგენლობა იყო. საამისოდ მას ყველა თვისებები ჰქონდა: მიმზიდველი გარეგნობა, აღზრდა და საქციელი, ჭკვიანი, დალაგებული. აწონილი და რწმენით სავსე სიტყვა-პასუხი“ (4, 1).

გაზეთ „საქართველოს გუშაგში“ (№15, 1935) სპირიდონ კედია არაჩვეულებრივად ხსნის გიორგი მაჩაბლის ფენომენს: „რაღაც კულტია დასადგურებული მის გარშემო, ნამდვილი კულტი. ეს მოვლენა ბევრის მთქმელია და ღირსი საგანგებო დაფიქრებისა. იგი მოწმობს, რომ გიორგი მაჩაბელი იშვიათად გამორჩეული პიროვნება იყო და რომ მისი დაკარგვა დიდხანს დარჩება აუნაზღაურებელი.“

რამ შეჰქმნა ეს საერთო გატაცება და სიყვარული? ყოველ ეჭვს გარეშეა - გიორგის უაღრესად ქართულმა იერმა. მასში გამოთქმული იყო მრავალი ტრადიციული თვისება ჩვენი ერისა. იგი იყო თბილი და ნაზი; გულადი და მტკიცე; ჩვილი და უშიშარი; სამშობლოს მოყ-

ვარული თავდადებამდე; მომხიბლავი, თავაზიანი და კეთილშობილი“  
(5, 1).

თითქმის მთელი წლის მანძილზე იბეჭდებოდა ქართულ ემიგრანტულ პრესაში მასთან გამოსამშვიდობებელი წერილები. გ. მაჩაბლის გარდაცვალებიდან 6 თვის თავზე უსრნალი „სამშობლო“ (№17-18, 1935) წერდა: „ამ რამოდენიმე თვის წინად გარდაიცვალა ამერიკაში საქართველოს დიდი პატრიოტი, ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიაში აღზრდილი და გერმანიაში უმაღლეს სწავლა დამთავრებული, უშიშარი რაინდი - გიორგი მაჩაბელი. მისი მოკლე, მაგრამ გასაოცარი ღირსებებით დაჯილდოვებული სიცოცხლე მტკიცედაა ჩაქსოვილი საქართველოს განთავისუფლებასთან“ (6, 55).

გიორგი მაჩაბელს გამოეთხოვა ქართული ემიგრაცია, მისი ღირსეული წარმომადგენლები - ზურაბ ავალიშვილი გაზეთ „თეთრ გიორგიში“, რევაზ გაბაშვილი თავის მოგონებათა წიგნში „რაც მახსოვს“. და მაინც, რა იყო გ. მაჩაბლის ცხოვრების მთავარი მიზანი? საქართველოს გათავისუფლება, დახსნა რუსული იმპერიის კლანჭებიდან! მისი ბრძოლა ამ წმიდათა წმიდა იდეისათვის აქ, სამშობლოში დაიწყო და შემდეგ ევროპასა და ამერიკაში გაგრძელდა.

მიხაკო წერეთელი 1955 წელს გაზეთ „ქართველ ერში“ წერდა, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობის ორგანიზაციის“ ჯგუფი რეპრესიებისა და გაუსაძლისი მდგომარეობის გამო უცხოეთში გადაიხვეწა და იქ განაგრძო მოქმედებაო. ეს ის ეროვნული ძალაა, რომელსაც საქართველოში ჰქონდა ფარული ორგანიზაცია და საკუთარი ორგანო „ერი“. ეს ის ჯგუფია, რომელმაც უზარმაზარი როლი ითამაშა რუსეთის იმპერიისგან საქართველოს გათავისუფლების საქმეში.

I მსოფლიო ომის დაწყებამ ქართველ პატრიოტებს დიდი იმედი ჩაუსახა. იმედი რუსეთის იმპერიის დამარცხებისა და საქართველოს გადარჩენისა. „უნევის ქართველ სეპარატისტთა ჯგუფს“, რომელიც პეტრე სურგულაძემ ნესტორ მაღალაშვილთან, ლეო და გიორგი კერესელიძებთან ერთად დაარსა, მალე უცხოეთში გაფანტული ქართველობა შეუერთდა და ომის დაწყებისას იგი უკვე „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტად“ გადაკეთდა. „დამოუკიდებლობის კომიტეტთან“ აქტიურად თანამშრომლობდნენ ლონდონიდან მიხაკო წერეთელი და ბელგიიდან გიორგი მაჩაბელი.

„საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს“ შემუშავებული ჰქონდა „რუსეთისგან ამიერკავკასიის ჩამოცილებისა და შემდგომი

პოლიტიკური მოწყობის“ გეგმა. მ. წერეთელმა და გ. მაჩაბელმა გეგმა  
საბოლოოდ დასამტკიცებლად წარუდგინეს გერმანიის საგარეო საქმე-  
თა სამინისტროს.

გიორგი მაჩაბლის, მიხავო წერეთლის, პეტრე სურგულაძის, ნეს-  
ტორ მაღალაშვილის, ლეო და გიორგი კერესელიძების და სხვათა  
და სხვათა - ქართველ მამულიშვილთა შეუპოვარ ბრძოლას შედეგი  
მოჰყვა! მათ ღვაწლს არაერთი ნაშრომი და წიგნი მიუძღვნეს ქარ-  
თველმა მეცნიერებმა, მკვლევრებმა და მათგან ერთ-ერთი პირველთა-  
განი გახლდათ ბატონი გურამ შარაძე, რომლის პირად კოლექციაში,  
აკაკი ჩხერიმელის არქივში არის დაცული ჩვენთვის ძალზე და საინტე-  
რესო მასალა - გიორგი მაჩაბლის წერილები აკაკი ჩხერიმელისადმი.  
ერთ-ერთ მათგანს უფრო ვრცლად განვიხილავთ და დავინახავთ ერ-  
თი ღირსეული ქართველის, მამულიშვილის, მებრძოლის, დიპლომა-  
ტის და უბრალოდ პიროვნების შთამზეჭდავ პორტრეტს.

გიორგი მაჩაბლის პირველი წერილი დათარიღებულია 1918 წ.  
29 აპრილით და იგზავნება ბერლინიდან. წერილი დიდ ინფორმაციას  
გვაწვდის. ჯერ საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადებული არ  
არის, მაგრამ სულ შვიდი დღის შექმნილია ამიერკავკასიის ფედერა-  
ციული რესპუბლიკა და ამიერკავკასიის ახალი მთავრობის თავმჯდო-  
მარედ არჩეულია აკაკი ჩხერიმელი: „მმაო აკაკი, ამ წერილს ვატან გერ-  
მანიის საგარეო სამინისტროს მოხელეს ოტო ფონ ვეზენდოკს – დიდ  
მეგობარს ქართველებისას და უფრო დიდ მომხრეს დამოუკიდებელ  
საქართველოსას და კავკასიისას. ეს ოთხი წელიწადია ამას აბარია  
ჩვენი საქმის დამუშავება სამინისტროში და მართლაც დიდის თავდა-  
დებით და ერთგულებით ეკიდებოდა ყველა უბრალო საკითხებსაც  
კი“ (1, 1).

ასე იწყებს თავის პოლიტიკურ წერილს გიორგი მაჩაბელი და  
უპირველეს ყოვლისა, ვრცლად საუბრობს ვეზენდოკის როლზე და  
დამსახურებაზე, მის წვლილზე ქართველ ტყვეთა საკითხის გადაწყვე-  
ტასა და მათთვის ნორმალური პირობების შექმნაში.

გიორგი მაჩაბელი დიდ ყურადღებას უთმობს ქართველი ტყვე  
ჯარისკაცების საკითხს, ცდილობს შეკრიბოს ისინი და პირველივე შე-  
საძლებლობის შემთხვევაში შავი ზღვის რომელიმე პორტიდან სამ-  
შობლოში გადაიყვანოს. იგი თხოვნითა და მუდარით მიმართავს აკა-  
კი ჩხერიმელს და ამ საქმის მოგვარებისათვის რჩევასაც აძლევს: „ეს სა-  
კითხი რომ საბოლოოდ გადაწყდეს, საჭიროა თქვენ მანდ მოუყაროთ

თავი გერმანელ და ავსტრია-უნგრეთის ტყვეებს და ოფიციალურად მოსთხოვოთ აქაურ მთავრობებს, რომ ჩვენი ტყვეები გადმოტყვანონ მანდ და თავიანთები უკან წაიყვანონ... ძალიან გთხოვთ, პირდაპირ გემუდარებით, ამ საკითხს თქვენც მეტად სერიოზული ყურადღება მიაქციოთ“ (1, 4).

გ. მაჩაბელი მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს საუბარს ვეზენდოკის კონკრეტულ მისიაზე იმ საზავო მოლაპარაკებების დროს, რომელიც თურქეთის მხარესთან უნდა გამართულიყო.

1918 წლის 3 მარტს ბრესტ-ლიტოვსკში დადებული ხელშეკრულების თანახმად, საბჭოთა რუსეთმა ამიერკავკასიის დაუკითხავად თურქეთს დაუთმო ყარს-არდაგან-ბათუმის ოლქები. ამის გამო ჯერ კიდევ მარტში გაემგზავრა ტრაპიზონში ამიერკავკასიის საზავო დელეგაცია აკ. ჩხერიმელის ხელმძღვანელობით, რათა პროტესტი გამოეთქვათ და თურქეთის საზავო დელეგაციასთან მოლაპარაკებები გაემართათ. თურქეთის მხარემ ხელშეკრულების შესრულება და აღნიშნული ტერიტორიების მათთვის გადაცემა მოითხოვა. ამაზე აკ. ჩხერიმელმა და ამიერკავკასიის დელეგაციამ უარი განაცხადა, რასაც თურქთა მხრიდან ამიერკავკასიაში შემოჭრა და ბათუმის დაკავება მოჰყვა. სწორედ ეს იყო წინაპირობა, მიზეზიც და საბაბიც იმისა, რომ 1918 წლის 22 აპრილს ამეირკავკასიის სეიმს მიეღო გადაწყვეტილება: „აღიარებულ იქნას ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერატიული დემოკრატიული რესპუბლიკა“. მხოლოდ ამის შემდეგ ეძლეოდა შესაძლებლობა ამიერკავკასიის მთავრობას საბჭოთა რუსეთისაგან დამოუკიდებლად ეწარმოებინა მოლაპარაკებები თურქულ მხარესთან. 1918 წლის მაისში გაიმართა ამიერკავკასია-ოსმალეთის ბათუმის საზავო კონფერენცია, რომელშიც უშუალოდ მონაწილეობდა გერმანული მხარე და კერძოდ, სხვებთან ერთად ოტო ფონ ვეზენდოკი: „ეხლა ვეზენდოკი მოდის კონსტანტინოპოლში, რომ იქიდან თქვენთან სხვა გერმანელ წარმომადგენლებთან ერთად ზავის მოლაპარკებაში მიიღოს მონაწილეობა. გთხოვთ ამ კაცს ყურადღებით მოექცეთ და გარწმუნებთ შეგიძლიანთ იქონიოთ მასთან სრული ნდობა, რომ ის რა წერტილამდისაც კი იქნება დაიცავს ჩვენს ინტერესებს“ (1, 1), – წერს გ. მაჩაბელი. როგორც ცნობილია, ბათუმის საზავო კონფერენციაში მონაწილეობდა სპირიდონ კედია, საიდანაც იგი გაიგზავნა გერმანიაში ოფიციალური პოლიტიკური მისიით.

გიორგი მაჩაბელი პროფესიონალურ რჩევებს აძლევს აკაცი ჩხენ-კულს და მისი სახით მთელ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბათუმისა და რკინიგზის საკითხებს: „...მოელაპარაკეთ მას და აუხსენით ჩვენი სურვილები, მეტადრე ბათუმის შესახებ, რომ ჩვენ უბათუმოდ ვერ ვიარსებებთ. გარდა მაგისა თურქებს თვალი უჭირავთ რკინის გზაზედ (ბათუმ-თბილისი, თბილისი-ყარსი). არაფერს კომბინაციებზედ ამის შესახებ არ დასთანხმდეთ, გერმანელები მხარს დაგვიჭრენ“ (1, 1).


ხოლო უმთავრესი და უპირველესი პრობლემა, ყველა დიდი მამულიშვილის, ჭეშმარიტი ქართველისა და კავკასიელის ნააზრევნაფიქრალი და რაც მთავარია, მიზანი იყო, არის და ჯერ კიდევ რჩება ის, რაც გიორგი მაჩაბლის მიზანი გახლდათ მთელი მისი მოღვაწეობის მანძილზე – დამოუკიდებლობის კომიტეტიდან დაწყებული, ოფიციალურ დიპლომატიურ მისაში გაგრძელებული და მაშინაც კი, როდესაც საქართველოს გადასარჩენად ცნობილი მეწარმე გახდა ამერიკაში. „საერთოდ მაგრა იდეგით და სულ ეცადეთ დაარწმუნოთ გერმანელები ... კავკასია არის ხიდი ევროპის და აზის შორის, ეგ არის შემაერთებელი ძარღვი ამ ორთა ქვეყნების შორის, როგორც კულტურულ, ისე ეკონომიკურ და პოლიტიკურ მხრივ. ამიტომ ეს ხიდი უნდა იყვეს თავისუფალი, დაცული საერთაშორისო ხელშეკრულებით და უზრუნველ ყოფილი ყველა მომავალ საფრთხეებისაგან“ (1, 2), – წერს გიორგი მაჩაბელი. ვფიქრობთ, პრობლემა აქტუალურია დღესაც.

აქვე გავიხსენოთ გრიგოლ რობაქიძის ცნობილი გამონათქვამი: საქართველო არც ევროპა და არც აზია. იგი კავკასიაა, გზაჯვარედინი ევროპასა და აზიას შორის, საიდუმლო ქორწილი ევროპასა და აზიას შორის.

სწორედ ამაშია კავკასიის და კერძოდ, საქართველოს განსაკუთრებულობა.

ჩვენს ხელთ არსებული პირველი წერილი ფაქტობრივად არის „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მიერ გაწეული მუშაობის ანგარიში და რჩევები საქართველოს მთავრობის მომავალი ქმედებებისათვის.

„ეხლა მინდა მოკლედ გაგაცნოთ ის ხელშეკრულებანი, რომელიც მოხდა ჩვენ ეროვნულ კომიტეტის ინიციატივით ან იყო შეკრული ჩვენი კომიტეტის რომელიმე წარმომადგენლის და ამა თუ იმ მთავრობის შორის. ზოგიერთს მათგანს აქვთ საერთაშორისო ხასიათი



და ჩვენთვის მეტად საყურადღებოა და თუ ზოგიერთს მათგანს ეს ხასიათი არა აქვს, მაინც მორალურად ჩვენთვის მნიშვნელოვანია „და შეიძლება როგორც არგუმენტი გამოიყენოთ მოლაპარაკების დროს“ (1, 2), – წერს გიორგი მაჩაბელი ამიერვავასიის მთავრობის თავმჯდომარეს.

შემდეგ ამას მოჰყვება ჩამონათვალი ამ „საერთაშორისო ხასიათის“ მქონე თუ „მორალურად ჩვენთვის მნიშვნელოვანი“ ხელშეკრულებებისა:

,ხელწერილობითი განცხადება გერმანიის ელჩის კონსტანტინოპოლში ბარონ ვანგენჰაიმის მიერ 14 სექტემბერს 1914 წელს თვით ელჩის ხელმოწერილობით. ამ დოკუმენტში ელჩი გვარწმუნებს, რომ ზავზედ მოლაპარაკების დროს გერმანიის მთავრობა დაიცავს დამოუკიდებელ საქართველოს იმ ფარგლებში, რომელიც კუთვნის ისტორიულად და ეტონგრაფიულად საქართველოს. საზღვრები დაწვრილებით არის მოყვანილი, ოსმალეთთან რჩება რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი ამ ომის წინ“ (1, 2).

აქ, როგორც ვხედავთ, აქცენტი გაკეთებულია საქართველოს საზღვრებზე, ისტორიულ-ეთნოგრაფიულ კუთვნილებაზე და ამის აღიარებაზე. ამ ისტორიული მნიშვნელობის წერილით ვეცნობით ბევრ მნიშვნელოვან ფაქტსა და პოლიტიკურ ფიგურას, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს ჩვენი სამშობლოს ბედის ასე თუ ისე გადაწყვეტაში.

განსაკუთრებით საინტერესოა ოსმალეთის მთავრობის წევრთა დამოუკიდებულება საქართველოს ტერიტორიის ხელშეუხებლობისა და დამოუკიდებლობის გამოცხადების შემთხვევაში მისი აღიარებისადმი. ოსმალეთის მთავრობის ამ განცხადებას ხელს აწერს ოსმედ ბეი – ოსმალეთის გენერალური შტაბის ერთი სექციის უფროსი. განცხადება 1915 წლის 16 სექტემბრით თარიღდება: „ოსმალეთის მთავრობა გვპირდება აღიაროს საქართველო და ხელშეუხებლობა საქართველოს ტერიტორიისა, იმ მომენტში, როდესაც საქართველო თავის დამოუკიდებლობას აღიარებს. აქ საზღვარი ჭოროხით თავდება, ყარსი და არდაგანის სამხრეთი ნაწილი გარეთ რჩება“ (1, 2-3).

გიორგი მაჩაბელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრების წერილობით განცხადებებს 1915 წლის დეკემბერში: „ორთავე მთავრობანი ყველა დახმარებას გაუწევენ კავკასიელებს მათ დამოუკიდებლობის განხორციელებაში“ (1, 3).

ოფიციალურ დიპლომატიურ კორპუსს შეშურდებოდა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მიერ გაწეული სამუშაოები. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მათ არ ჰქონდათ ოფიციალური მანდატი და ამის თაობაზე გიორგი მაჩაბელი თავადვე წერს. „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ თხოვნითა და მცდელობით მოხდა, რომ ოფიციალური ნოტა გაიცვალა ცენტრალურ ევროპულ სახელმწიფოებსა და ოსმალეთს შორის, ამ დოკუმენტის მთავარი მიზანი საქართველოსათვის დამოუკიდებლობის საკითხში სრული გარანტია იყო. „ამ ნოტას აქვს სრული ოფიციალური ხასიათი და ამის სისრულეში მოყვანისათვის ბევრი შრომა და ენერგია მიუძღვის ფონ ვეზენდოკს“ (1, 3), - წერს გ. მაჩაბელი.

1918 წლის 4 თებერვალს გიორგი მაჩაბელს ქ. ვარშავაში მოლაპარაკება ჰქონია ოსმალეთის დიდ ვეზირთან თალაათ ფაშასთან და ოსმალეთის მთავრობის სხვა წარმომადგენლებთან, რომელთაც დაურწმუნებიათ საქართველოს უმანდატო ელჩი, „რომ ოსმალეთი მოსურვებულია იყოს აღდგენილი დამოუკიდებელი საქართველო, ბათუმი და ბათუმის ოლქი უნდა შედიოდეს საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში“ (1, 3). ამ მნიშვნელოვანი მოლაპარაკების ოქმიც ხელთ ჰქონია გიორგი მაჩაბელს, მაგრამ მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მთავრობის ოფიციალური მინდობილობა არ ჰქონდა, „თორემ დღეს ზავი თურქებთან და ცენტრალურ სახელმწიფოებთან მზად იქნებოდა და არაფერი საჩხუბარი და სადაო თურქებთან არ გვექნებოდა“ (1, 3). ვინაიდან რუსეთ-თურქეთის ზავის დადება არ ხერხდებოდა, თურქებს განსაკუთრებული მცდელობა ჰქონდათ საქართველოსთან მაინც დაედოთ ზავი და ფაქტობრივად, ქართულ მხარეს არაფერზე ედავებოდნენ. ამიერკავკასიის სეიმს ბრესტ-ლიტოვსკში ოფიციალური წარმომადგენელი არ წარუგზავნია, რასაც გ. მაჩაბელი წერილში მწუხარებით აღნიშნავს და „ვერც ჩვენ ვინმეს მოგვაწოდეთ ოფიციალური მანდატიო“ (1, 3), - ფრთხილად შეახსენებს აკავი ჩხენკელს ამ ფაქტს, მაგრამ ამის თაობაზე საუბარს მომავლისთვის გადადებს.

საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ეს ხუთგვერდიანი წერილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, არის ერთგვარი ანგარიში „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ მუშაობისა ევროპაში. თუმც ერთიცაა, ისინი არანაირად არ იყვნენ ანგარიშვალდებულნი იმდროინდელი საქართველოს ოფიციალური ხელისუფლების წინაშე. სწორედ აქ ჩანს პირადად გ.

მაჩაბლისა და „კომიტეტის“ სხვა წევრთა დამოუკიდებულება საქართველოს, ქართველი ერისა და ხელისუფლებისადმი – ისინი კალდებულად თვლიდნენ თავს ეკეთებიათ ქართული საქმე, ებრძოლათ სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, მათთვის მთავარი იყო აღსრულებულიყო ის დიდი მიზანი, რაზეც ყოველი ქართველი ოცნებობდა და რასაც ეწირებოდა თაობები.

აკი, წერს კიდეც გიორგი მაჩაბელი: „ჩვენ კომიტეტს ჰქონდა მხოლოდ პოლიტიკური მიზანი - საქართველოს დამოუკიდებლობა, კავკასიის კონფედერაციის წინააღმდეგაც, რომლის ერთ ნაწილს საქართველო შეადგენდა - არაფერი გვქონდა. დღეს ჩვენი მიზანი აღსრულდა. ჩვენს მუშაობას თუ დღევანდლამდის რევოლუციონური, არა ლეგალური ხასიათი ჰქონდა, ეს ხასიათი მოისპო, ჩვენ ვართ ეხლა საზღვარ გარეთ მყოფი ქართველების ერთი ჯგუფი, რომელიც მთელი თავისი არსებით თქვენ გვერდში გიდგიათ და მოსურვებულია ყოველის ღონისძიებით დაგეხმაროთ და თქვენ ძნელი მუშაობა გაგიადვილოთ. ჩვენ ველით თქვენ ყურადღებას, თქვენ ინსტრუქციებს, თქვენს ბრძანებას“ (1, 4).

საერთოდ, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ არ იბრძოდა მხოლოდ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის. ამის თაობაზე გიორგი მაჩაბელი წერილის პირველივე აზზაცში წერს, როდესაც ოტო ფონ ვეზენდოკს უწოდებს „დიდ მეგობარს ქართველებისას და უფრო დიდ მომხრეს დამოუკიდებელი საქართველოსას და კავკასიისას“. „კომიტეტის“ წევრთა მთელი დიპლომატიური ნიჭი, შესაძლებლობები, მათი დაუღალავი ბრძოლა მთლიანად მიმართული იყო იმისკენ, რომ დაერწმუნებინათ ევროპის სახელმწიფოთა ოფიციალური პოლიტიკური წრეები, მთავრობები, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს „დამოუკიდებელ საქართველოს ანუ კავკასიას“ ევროპისათვის, რადგან, როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, „კავკასია არის ხიდი ევროპის და აზიის შორის... ამიტომ ეს ხიდი უნდა იყვეს თავისუფალი...“ (1, 2).

გიორგი მაჩაბლის წერილი აკაკი ჩხენკელისადმი ფაქტობრივად პოლიტიკური დოკუმენტია - ანგარიში, რჩევები, სამომავლო გეგმები. და რაც მთავრია, „დამოუკიდებლობის კომიტეტის“ წევრები ანუ „ეხლა საზღვარგარეთ მყოფი ქართველების ერთი ჯგუფი“ - როგორც ამას თავად გ. მაჩაბელი უწოდებს, მზადაა დამოუკიდებელი საქართველოს, კავკასიის სამსახურისათვის. „ამ ოთხი წლის მუშაობის წყალო-

ბით ჩვენ შევიძინეთ ერთგვარი გამოცდილება და არც პატივს ვართ მოკლებულნი აქაურ მთავრობების წინაშე“ (1, 4), - წერს გ. მაჩაბელი და მოკრძალებულად თხოვს აკავი ჩხენკელს: „კარგი იქნებოდა ერთ-ერთ ჩვენგანს ოფიციალური მინდობილობა გამოუგზავნოთ“ (1, 4). ამ ერთ წინადადებაში იხატება მისი, როგორც მოკრძალებული და საქმი-სადმი ერთგული ადამიანის პორტრეტი. მან არაჩვეულებრივად იცის „კომიტეტის“ წევრთა ღირსებები და შესაძლებლობანი, მან იცის, რომ მთავრია რომელიმე მათგანს ჰქონდეს ოფიციალური სტატუსი ოფიცი-ალურ მთავრობებთან შეხვედრისას, რათა მათთან მიღწეული შეთან-ხმებები გაფორმდეს სრულფასოვანი პოლიტიკური დოკუმენტის სა-ხით. უპირველეს ყოვლისა კი, მათ იმ კონკრეტულ ვითარებაში ოფ-იციალური სტატუსი ქართველ ტყვეთა გადასარჩენად და სამშობლო-ში დასაბრუნებლად ესაჭიროებოდათ.

გიორგი მაჩაბლის წერილის განხილვის დროს ვერანაირად გავე-ქმიდით იმ თანმიმდევრობას, როგორსაც თავად ავტორი იცავს და ეს ლოგიკურიცაა. საქმე გვაქვს მნიშვნელოვან პოლიტიკურ დოკუმენ-ტთან და არა უბრალოდ წერილთან, სადაც ქვეყნის სატკივარზეა სა-უბარი. წერილში მოტანილი ყველა უკვე გადაწყვეტილი საკითხი თუ მომავალში გასაკეთებელი საქმე, ძალზედ აქტუალურია დღესაც. აქტუალურია საქართველოს, კავკასიის დამოუკიდებლობა, კავკასიური ერთიანობა, რაც თაობათა ოცნებად რჩება. კავკასიურ ერთიანობაში, რასაკვირველია, ერთ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება არ იგულისხმება და დამატებით განმარტებებს ეს საკითხი არ საჭიროებს.

ხოლო წერილის დასკვნითი ნაწილი, სადაც გ. მაჩაბელი „დამო-უკიდებლობის კომიტეტის“ წევრთა მოსაზრებებს აცნობს აკავი ჩხენ-კელს, დღესაც საყურადღებოა როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო-თავდაცვითი მნიშვნელობით: „ეხლა მინდა ჩვენი აზრიც გაგაცნოთ იმის შესახებ, რომ თუ კავკასიელმა თათრებმა ან სომხებმა გაგვიძნე-ლონ ზავის ჩამოგდება, ჩვენთვის არა ხელსაყრელი საკითხები წამო-აყენონ, მაშინ საქართველომ კერძოთ შეჰვრას ზავი და გამოეყოს კავ-კასიის კონფედერაციას, თუმცა ამას დიდის სიფრთხილით უნდა მო-ვეკიდოთ, რომ ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობა არ გაძნელდეს. ეს თქვენ უკეთ იცით, როგორც გადაწყვიტოთ. ჩვენ სამხედრო ძალას დიდი ყურადღება ჰქონდეს მიქცეული. მაგაზედ არის დამოუკიდებუ-ლი ჩვენი პრესტიჟი კავკასიაში და ჩვენ მეზობლების წინაშე. არ შეაჩ-ეროთ ამაზე ზრუნვა ერთი წუთიც. სამწუხაროთ, ბევრს რამეს ამ წე-

რილში ვერ გწერ, რაც მინდოდა კიდევ მეთქვა, მაგრამ თუ მოისურ-  
ვებთ მზათა ვარ ჩამოვიდე და რითიც კი შემეძლება დაგეხმაროთ“ (1  
5).

ამ წერილის დაწერიდან ძალიან მალე, 1918 წლის 26 მაისს სა-  
ქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა – „საქართველოს დამო-  
უკიდებლობის კომიტეტის“ წევრთა ოცნება ახდა. გიორგი მაჩაბელი  
დიპლომატიურ სამსახურში აგრძელებს მოღვაწეობას საქართველოს  
ინტერესების დასაცავად - იგი დამოუკიდებელი საქართველოს ელჩია  
იტალიაში.

1921 წლის თებერვალ-მარტში ბოლშევიკურმა რუსეთმა დაიპ-  
ყრო საქართველო, დავკარგეთ დამოუკიდებლობა.

გიორგი მაჩაბელი 1921 წლის 4 მარტს რომიდან წერს აკაკი  
ჩხენკველს პარიზში: „რა დაგვემართა, რა ღვთის რისხვა დაგვატყდა  
თავზედ. პირდაპირ გონზედ ვერ მოვსულვარ. თბილისის აღების ამ-  
ბავი და ჩემი მმის ნიკოს სიკვდილი ერთად გავიგე. არ ვიცოდი რა  
დამეტირა, საერთო ჩვენი უბედურება, თუ კერძო მწუხარება. სულით  
და გულით ვიტანჯები, მაგრამ მაინც ვერაფერი მოჰკლავს ჩემში,  
ვიბრძოლო უფრო თავდადებით, უფრო მეტის ენერგიით ჩვენი საერ-  
თო საქმისათვის, ჩვენი ერის ამ საშინელ მდგომარეობის დახსნისა-  
გან“ (7, 1). ამ იმედითა და რწმენით, ამ შემართებით იღვწოდა გიორ-  
გი მაჩაბელი საქართველოს გადასარჩენად ემიგრაციაში. იგი მაშინაც  
კი ამ მიზანს ემსახურებოდა, როდესაც ამერიკაში ცნობილი მეწარმე  
გახდა: „ქართული საქმე და ეროვნული მიზანი მაშინ შეგვიძლია და-  
ვაყენოთ მტკიცე საფუძველზე, როცა მოვახერხებთ ფინანსური სამირ-  
კვლის ჩაყრას, თორემ მარტო მემორანდუმების წერით ბევრი არაფე-  
რი გამოდის. როცა ნივთიერი საყრდენი გვექნება, მაშინ მემორანდუ-  
მებსაც საჭირო ძალა შეემატება და იმოქმედებს“ (2, 3), – უთქვამს  
მას მიხაკო წერეთლისათვის.

და ბოლოს: „ვინ იცის, იქნებ უკანასკნელად ვიდგე შენი ძვირ-  
ფასი საფლავის წინ და ეს იყოს ჩემი შენთან სამუდამო გამოთხოვება!  
ამ გაყრის ჟამს მინდა განუგეშო – ვიცი, რომ ღელავ და არ გიყვარს  
ეს უცხო მიწა. შენი მეგობრები – და თუ ამათაც ბედმა უმუხლალა და  
შენსავით უცხო მიწაში თავიანთი ძვლები ჩაყარეს, – მაშინ თვით  
ქართველი ხალხი, მუდამ უკვდავი და ერთ დღეს თავისუფალი, მო-  
ვა, მოგძებნის და რომ ანდერძი შეგისრულოს, მისთვის თავდადებულ  
შვილს, საყვარელ სამშობლოში გადაგასვენებს!..

სამშობლოსათვის განვითანტენით, იქნებ სამშობლომ კვლავ მოგვაროვოს...“ (5, 2), – ასე დაემშვიდობა ძვირფას მეგობარსა და თანამებრძოლს ცნობილი ქართველი პოლიტიკური მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პირველი თავმჯდომარე სპირიდონ კედია.

ჯერჯერობით, არც ეს სურვილი ასრულებიათ ქართველ მამულიშვილებს. მათი დიდი უმრავლესობა ლევილში, ქართველთა საძვალეში განისვენებს, მაგრამ გიორგი მაჩაბელი ამერიკაში, ნიუ-იორკის მიდამოში, ლონგ-აილანდის ერთ-ერთ სასაფლაოზეა მიბარებული უცხო მიწას.

### გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. გ. მაჩაბელი, თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გურამ შარაძის კერძო კოლექცია, ფ.М-ა5 – ხ. 1-10, 1918, ბერლინი.
2. გაზ. „თეთრი გიორგი“, პარიზი, 1935, №86.
3. გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“, პარიზი, 1935, №112.
4. გაზ. „კლდე“, ბერლინი, 1935, №9-10.
5. გაზ. „საქართველოს გუშაგი“, პარიზი, 1935, №15.
6. ჟურნ. „სამშობლო“, პარიზი, 1935, №17-18.
7. გ. მაჩაბელი, თსუ ქართული ემიგრაციის მუზეუმი, გურამ შარაძის კერძო კოლექცია, ფ.М-ა5 – ხ. 1-10, 1921, რომი.
8. გურამ შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, ტ. 3, თბ., 1993. 119-131
9. გიორგი შარაძე, საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკა და საგარეო პოლიტიკა, თბ., 2003.
10. გიორგი შარაძე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დასავლეთევროპული ცენტრი ჟენევაში და პოლიტიკური ბრძოლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ევროპაში, თბ., 2006.
11. ო. ჯანელიძე, სპირიდონ კედია – ივერიის ერთგული გუშაგი, წიგნში: „სპირიდონ კედია, მასალები პირადი არქივიდან“, თბ., 2007.
12. გაზ. „ქართველი ერი“, ნიუ-იორკი, 1955-1956, №1.

## Letters of Giorgi Machabeli to Akaki Chkhenkeli

### Summary

The topic is about the significant period of Giorgi Machabeli's life who was one of the famous emigrant political figure, diplomat and the outstanding member of "The Independence Committee of Georgia". The period includes the years from 1910 to May 26, 1918 – fight for the independence of Georgia of the Georgian patriots emigrated to foreign countries and the date of the declaration of independence.

The letters of Giorgi Machabeli to Akaki Chkhenkeli are written in 1918-1922 and the theme of all letters is politics. The most significant among them is the letter date back to April 29, 1918. The letter is sent from Berlin and in fact, is the report of the work done by "The Independence Committee of Georgia".

The letter of Giorgi Machabeli is a valuable informative document. It consists of some pieces of advice of the experienced people fought for the independence of Georgia to the new government of the country and makes the Independence Fight History even more important.



## გიორგი მამულია

**"თეთრი გიორგის" იდეოლოგიურ საწყისებთან: გიორგი  
მაჩაბლის და გიორგი კერესელიძის ახლადაღმოჩენილი  
მიმოწერა (1923-1924 წ.წ.)**

1921-1924 წლები შეადგინდა განსაკუთრებულად საინტერესო პე-  
რიოდს ქართული ემიგრაციის ისტორიაში. ამ დროს, როგორც დასავ-  
ლურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს, ისე ქართველ ემიგრანტებს  
ჯერ კიდევ ჰქონდათ ილუზიები ბოლშევიკური რუსეთის მომავალი  
სწრაფი კრახის შესახებ. გასაგები მიზეზების გამო, დასავლეთის პო-  
ლიტიკური მოღვაწეები, ისე როგორც 1917 წლის ოქტომბრის გადატ-  
რიალების შემდეგ ყოფილი რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე მოვლე  
ხნით აღ მოცენებულ სა ხელმწიფოთა წ არმომადგენლები, ბოლომდე  
ვერ აცნობიერებდნენ ვერც ბოლშევიზმის უპრეცენდენტოდ სასტიკი  
რეჟიმის ბუნებას, ვერც თავად ბოლშევიკთა სურვილს, შეინარჩუნონ  
ხელისუფლება ნებისმიერი სახის დანაშაულებრივ ქმედებათა შედე-  
გად, მილონობით უდ ანაშაულო ად ამიანის სი ცოცხლის გ აწირვის  
ხარჯზე.

თანდათანობით, ემიგრანტთა იმედებს თან ერთვოდა სულ უფ-  
რო და უფრო მზარდი გულგაცრუების გრძნობა, ბოლშევიკური რუსე-  
თის მიმართ პირველი მსოფლიო ომის შედეგად დაუძლურებული  
დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა სუსტი, უპრინციპო და, ხშირ  
შემთხვევაში, უბრალოდ შემრიგებლური პოლიტიკის გამო. ამგვარ არ-  
ასახარბიელო პოლიტიკურ ფონზე, ეს ტენდენცია განსაკუთრებით შე-  
ინიშნებოდა ქართული ემიგრაციის მემარჯვენე ბანაკის წარმომადგე-  
ნელთა შორის, რომლებიც, 1921 წლის თებერვალ-მარტში წითელი  
მოსკოვის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაციის და ანქ-  
სიის ფაქტს, სამართლიანად უკავშირებდნენ ქვეყნის სოციალ-დემოკ-  
რატიული მთავრობის მიერ ჩადენილ მძიმე და მრავალრიცხოვან შეც-  
დომებს. მათი აზრით, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდ-  
ებლობის აღდგენისათვის ბრძოლას მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებო-  
და პერსპექტივა, თუ კი ამ მიზნით მოხდებოდა ემიგრაციაში მყოფი  
ყველა არასოციალისტური პარტიების და დაჯგუფებების ერთ მთლი-

ან ორგანიზაციაში გაერთიანება, რომლის შედეგად ბოლო მოეღებოდა საქართველოს ემიგრანტულ მთავრობაში სოციალ-დემოკრატთა კონფედერაცია პოლიურ მდგომარეობას. პირველ ეტაპზე, ქართველი მემარჯვენები აყენებდნენ მხოლოდ ემიგრაციული მთავრობოს რეორგანიზაციის საკითხს, სადაც, პარიტეტულ საწყისებზე, იგვემებოდა ყველა არასოციალისტური მემარჯვენე პარტიის წარმომადგენელთა შეყვანა. ხსენებული კომპრომისული ფორმულა აიხსნება იმ გარემოებით, რომ 1921 წლის 27 იანვარს ანტანტის უმაღლესი საბჭოს მიერ დე იურედ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შედეგად, საფრანგეთში 1933 წლამდე ფუნქციონირებდა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობა, ლეგაციის სახით<sup>2</sup>, რაც, ობიექტურად, აძლიერებდა სოციალ-დემოკრატთა პოზიციებს ემიგრაციაში. ქართველ მემარჯვენებს არ შეეძლოთ ანგარიში არ გაეწიათ იმ გარემოებისთვისაც, რომ მათ ბრძოლას სოციალ-დემოკრატთა წინააღმდეგ, ამავე დროს, არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეელახა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი ქვეყნის საერთაშორისო სტატუსი, რომლითაც ის 1921-1933 წლებში სარგებლობდა საფრანგეთში<sup>3</sup>.

ასეთი იყო ისტორიული კონტექსტი, რომელშიც ვითარდებოდა ქართული ემიგრაციის ორი თვალსაჩინო მოღვაწის გიორგი მაჩაბლის (1885-1935) და გიორგი კერესელიძის (1885-1960) 1923-1924 წლების მიმოწერა, რომლის პუბლიკაციასაც ვთავაზობთ ქართველ მკითხველს.

ძირითადი ლეიტონტივი ამ მიმოწერისა იყო გიორგი მაჩაბლის, გიორგი და ლეო კერესელიძების და მიხაკო წერეთლის განზრახვა აღედგინათ ემიგრაციაში საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი, რომელიც, მათი ხელმძღვანელობით, ფაქტობრივად სათავეში ედგა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას პირველი მსოფლიო ომის დროს<sup>4</sup>. ძირითადი ყურადღება, წინამდებარე მიმოწე-

<sup>2</sup> დაწვრილებით ამის შესახებ იხ.: G. Mamoulia. Les combats indépendantistes des Caucasiens entre URSS et puissances occidentales. Le cas de la Géorgie (1921-1945). Paris, L'Harmattan, 2009, p. 26, 87, 89.

<sup>3</sup> სპირიძონ ქედია. მასალები პირადი არქივიდან. შესავალი წერილები, შენიშვნები და კომენტარები დაუკრთო ო. ჯანელიძემ. თბილისი, „ბონა კაუზა“, 2007. გვ. 28-31, 32-33, 37-38, 40-41.

<sup>4</sup> დაწვრილებით საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის მოღვაწეობის შესახებ პირველი მსოფლიო ომის დროს იხ.: ლ. ბაქრაძე. გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს. ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918 წ.წ. თბილისი, პეგასი, 2009.

რაში, ექცეოდა მთავარ პრინციპებს, რომელთა საფუძველზეც უნდა ემოქმედა ხსენებულ ორგანიზაციას, გასული საუკუნის 20-იანთა წლებში ში არსებული საერთაშორისო რეალიების რთულ და ცვალებად კონტექტსტში. თუმცა, 1924 წლის ივლისის ბოლოს გიორგი მაჩაბელმა, ხოლო შემდეგ კი ყოფილი საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის სხვა წევრებმაც საბოლოოდ არაპერსპექტიულად ცნეს ხსენებული სტრუქტურის აღდგენა.

წინამდებარე დოკუმენტებს ისტორიული ინტერესი აქვს სხვა მხვრივადაც: - სწორედ ამ წერილების ფურცლებზე გამართული დისკუსიის შედეგად გამოიკვეთილი პრინციპები მოგვიანებით, საფუძვლად დაედო საქართველოს ახალგაზრდა პატრიოტთა ორგანიზაციის “თეთრი გიორგის” იდეოლოგიას, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ ლეო და გიორგი კერესელიძეები და მიხაკო წერეთელი. თავად ამერიკაში გადასახლებული გიორგი მაჩაბელი, რომელიც, თანამედროვეთა ცნობით, ასევე ირიცხებოდა “თეთრი გიორგის” რიგებში, სიციცხლის, ბოლომდე უწევდა ამ ორგანიზაციას მნიშვნელოვან ფინანსურ მხარდაჭერას. “თეთრი გიორგის” ერთ-ერთი წევრის თქმით, მაჩაბელი ყოველთვიურად რიცხავდა ამ ორგანიზაციის ანგარიშზე 50 ამერიკულ დოლარს<sup>5</sup>, რაც, იმ დროისათვის, საკმაოდ მნიშვნელოვან თანხას წარმოადგენდა.

წინამდებარე დოკუმენტები, ისევე როგორც თავად გიორგი კერესელიძის არქივის მნიშვნელოვანი ნაწილი, ინახება მისი შვილის-შვილის, ქალბატონ ნინო ბადუალ-კერესელიძის ოჯახში, ქალაქ ექს-ანპროვანსში (საფრანგეთი).

დოკუმენტის ტექსტებს თან ვურთავთ ისტორიული ხასიათის მოკლე მოკლე კომენტარებს. წერილების სტილი და ორთოგრაფია ძირითადში დაცულია.

<sup>5</sup> პ. გ. გიორგაძის საქმე. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი, ფ. 6. ს. 4377. ფ. 111.

ლოზანა, 5. VI. 1923.

ძმაო გოგია,

პირდაპირ გაკვირვებული ვარ, რომ ჩემი წერილი 25 მაისიდან მიღებული არ გქონდა 29-ში, როდესაც მწერდი. მივიღე ეს შენი წერილი და აგრეთვე მიხაკოც, მე და ლეო ეს 5 დღეა ერთად ვართ. დღეს წავიდა ის სახლში და მე ამაღამ ვბრუნდები პარიზში. თურქებთან არაფერი არ გამოვიდა. არ უნდათ დღეს ჩვენთან ლაპარაკი. მოიცალეთ რამდენიმე თვეო, ჯერ ადრეაო. რას იზამ, ყველასთან ისეთი სუსტი დამოკიდებულება აქვს ჩვენს მთავრობას, რომ არავის არ სურს მასთან ლაპარაკი<sup>6</sup>. ჩვენ ახლა ჯერ-ჯერობით მხოლოდ ის დაგვრჩენია, მოვაწყოთ ჩვენი შინაური მაგარი ორგანიზაცია. ყველა დიდ ცენტრებ-

<sup>6</sup> იგულისხმება მდგომარეობა შექმნილი ლოზანის სამშენებლო კონფერენციაზე (1922 წლის ნოემბერი-1923 ივლისი, წყვეტილებით), სადაც ხელმოწერილ იქნა სამშენებლო ხელშეკრულება ანგარიშის სახელმწიფოებრივ და ქემალისტურ თურქეთს შორის. კონფერენციის შედეგები გარკვეულწილად ითვალისწინებდა საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს. კერძოდ, დასავლეთის მოკავშირეებმა უარი უთხრეს ქართველ ბოლშევკებს დასწრებოდნენ კონფერენციას როგორც საქართველოს კანონიერი წარმომადგენლები, ხოლო თავად საქართველოს, რომლის ანგესიას სსრკს მიერ 1933 წლამდე არ ცნობდა საფრანგეთი, გამოიყო ადგილი სრუტების საერთაშორისო კომისიაში. დაწერილებით იხ.: G. Mamoulia. Les combats indépendantistes des Caucasiens entre URSS et puissances occidentales. Le cas de la Géorgie (1921-1945), p. 69-75.

ამასთან ერთად, საქართველოს დევნილი მთავრობა იმედოვნებდა, რომ ლოზანის სამშენებლო ხელშეკრულების დადებას, თან მოყვებოდა თურქეთის დაახლოება ანგარიშის სახელმწიფოებთან, რაც, თავისმხვრივ, შესაძლებელს გახდიდა როგორც ქართველ უმიგრანტთა მიერ სადაზევრვო და პარტიზანული ოპერაციების ჩატარებას კავკასიაში თურქეთის ტერიტორიიდან, ისე ზოგადად, საქართველოს და მთლიანად კავკასიის დამოუკიდებლობის აღდგენის საქმისადმი ანკარის მიერ მხარდაჭერას. სწორედ ამ მიზნით, საქართველოს ემიგრანტული მთავრობის მიერ ლოზანაში მივლინებულ იქნა გიორგი მაჩაბელი, რომელიც ჯერ კიდევ 1914 წლიდან იცნობდა ოსმალური იმპერიის რიგ სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეებს, რომელთა ნაწილი, შემდგომში, მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქემალისტურ თურქეთშიც. იხ.: სპირიდონ კედია. მასალები პირადი არქივიდან, გვ. 29, 31-32.

მაჩაბლის ამ მისამ მარცხი განიცადა, რადგან ლოზანის კონფერენციამ ვერ შეძლო გადაეჭრა მთელი რიგი წინადაღმდევობები თურქეთსა და ანტანტის სახელმწიფოებს (განსაკუთრებით დიდ ბრიტანეთს) შორის. ამის გამო, ანკარა განაგრძობდა კრემლის მიმართ ნეიტრალიტეტის პოლიტიკის გატარებას, რაც, თავის მხრივ, გამორიცხავდა თურქეთის მიერ ქართველი და კავკასიელი ემიგრანტების მოქმედებათა მხარდაჭერას.

ში ევროპისა უნდა გვქონდეს ადგილობრივი ორგანიზაციები თავიან-თი ადგილობრივი კომიტეტებით. სათავეში იქნება უმაღლესი სამსახური კავშირისა. მე და ლეომ<sup>7</sup> შევიმუშავეთ [და] მივიღეთ ამ ორგანიზაციის პროექტი. ერთ ასლს თქვენ გიგზავნი, რომ გადიკითხოთ, თქვენი აზრი გამოთქვათ და მერე მანდ რომ ჩამოვალ, შევასწოროთ. პარიზში დავიწყები ათ დღემდის, მერე ორი-სამი კიდევ ბაზელში ჩემი ცოლის ნათესავებთან და მერე ბერლინში წამოვალ. თუ ლეოსაც მოუხერხე ამ დროისთვის ვიზა, მაშინ ხომ ერთად ჩამოვალთ. ამ წერილს მიხას<sup>8</sup> წერილში ვდებ რომ კიდევ არ დაიკარგოს, რადგან მას ჩემი წერილები ყველა მოსვლია. თუ ჩემი წერილი 25-დგან აქედან არ მოგივიდა (ლეოც აქ იყო, ფოსტის ყუთში რომ ჩავაგდე), მომწერე და პარიზიდან ახალს გამოგიგზავნი. ჩემი მისამართი პარიზში არის: Hotel Rond Point des Champs Elysées, 10, rue Ponthieu. ველი საჩქაროდ შენს წერილს და აგრეთვე შენს აზრს და შესწორებებს შესახებ ჩვენი პროექტისა, რადგან მინდა შენი აზრითაც ვიხელმძღვანელო, თუ მოხერხდა პარიზის ორგანიზაციის მოწყობა. შენ და მიხამ ამაზედ ერთად მოილაპარაკეთ და მოიწერეთ. საჩქაროდ კი. მაშ ნახვამდის. გულწრფელი სალამი შენ და თამარს<sup>9</sup>.

შენი გიორგი მაჩაბელი

აქაურ ამბებს მანდ დაწვრილებით გიამბობთ. სასიამოვნო ჯერ არაფ-ერია<sup>10</sup>.

<sup>7</sup> აქ და შემდგომ იგულისხმება გიორგი კერესელიძის ძმა, ქართული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ლეო კერესელიძე (1894-1943), რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს გიორგი მაჩაბელთან ერთად იყო გერმანიის და ოსმალეთის ტერიტორიაზე მოქმედი საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრი, ხოლო 1915-1916 წლებში, ხელმძღვანელობდა თურქეთის ტერიტორიაზე გერმანული არმიის ეგიდით შექმნილ ქართულ ლეგიონს.

<sup>8</sup> ამ და შემდგომ წერილებშიც იგულისხმება ქართული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და იდეოლოგი, 1914-1918 წლებში საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის წევრი მიხეილ (მიხა-კო) წერილელი (1878-1965).

<sup>9</sup> იგულისხმება გიორგი კერესელიძის მეუღლე, - თამარ კერესელიძე.

<sup>10</sup> გიორგი მაჩაბლის ამ წერილს თან ერთვის გიორგი კერესელიძის შემდეგი კომენტარები: “ჩემი დამატება: გიორგიც და ლეო მალე ჩამოვიდნენ ბერლინში. ხშირად ეხვდებოდით, ჩემს ბინაზედ ერთმანეთს. შევიმუშავეთ გეგმა მოქმედებისა, – თუმცა დიდი ილუზიები არა გვქონდა. დარჩა ჩვენი პროექტი ლამაზ პროექტად; – უშედეგოთ.

ქ. ბერლინი, 10. VI. 1923.

ძმაო გიორგი,

დღეს მიხამ გადმომცა შენი წერილი და შენ და ლეოს მიერ შედგენილი სქემა ჩვენი მომავალი კონსტიტუციისა.

შენი წერილი 25 VI-ისა დღემდის არ მიმიღია, - თუ საჭიროდ იცნობ და პირს გამომიგზავნი კარგს იზამ. ხოლო თუ მნიშვნელობას არ აძლევ, - მაშინ ნუ შესწუხდები.

ძალიან სამწუხაროა, რომ ჯერ თურქებთან არაფერი არ გამოდის. რა უყოთ. გულს ნუ გავიტეხთ, - ჩვენ ჩვენი გავაკეთოთ, საბოლოოთ ოსმალებმა უნდა ჩვენთან იმუშაონ, - არც მაგათ აქვთ უკეთესი გზა და არც ჩვენ. სამწუხაროა იმიტომ, რომ როგორც სჩანს, ჯერ რუსეთის ჩვენიდან განდევნის საკითხი არ მომწიფებულა. ჩვენი ერისთვის კი ყოველი მეტი დღე რუსის ჩვენში ყოფნისა გამანადგურებელია.


ძალიან გამეხარდა, რომ შენ გადაგიწყვეტია აქეთ წამოსვლა. საერთოდ სახარებელია, რომ ჩვენ კიდევ ერთად გვიხდება მუშაობა, ვიცნობთ ერთმანეთს და გამოგვიცდია ერთი მეორე, - ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

გამიხარდა აგრეთვე, რომ შენს მეუღლესაც გადაუწყვეტია აქეთ წამოსვლა. გადაეცი ჩემი და თამარის გულითადი სალამი (თუმცა თამარი არ იცნობს). მოგიკითხა აგრეთვე ლორენცის ქალმა.

ეხლა გადავიდეთ გეგმაზედ. მე ჩემი აზრი მიხასაც გავუზიარება და ჩვენ დაახლოებით ერთნაირად უცქერით საკითხს.

გიორგი, შენ ჩემზე კარგად იცნობ ჩვენს პარტიებს და განსაკუთრებით ჩვენ სოციალ-დემოკრატიას. იცი რა იეზუიტი და არასანდო ხალხია. ყოველ ორგანიზაციას, რომელიც მაგათ პარტიის ფარგლებს გარეთ არსდება და მაგათ დირეკტივებით არ მუშაობს, ეგენი არღვევენ. და როგორ? რა საშუალებით?

როგორც გიორგი მაჩაბლის ამ წერილიდან ნათლადა სჩანს: - გიორგის განწყობილება ლეოსთან ისეთივე გულწრფელი და მეგობული იყო როგორც ჩვენთან, - და ეს თანამებრძოლთა ურთიერთის ნდობა და ერთგულობა გიორგის გარდაცვალებამდე ურყევად დარჩა. გიორგი კერძესელიძე".



მაგათი ერთგული წევრები ეწერებიან წევრებათ იმ ორგანიზაციას, რომლის დარღვევაც სურთ და როდესაც ფეხს მოიკიდება. მაგარდებიან, კენჭის ყრის საშვალებით ააფეთქებენ. ეს მაგათი მუდმივი საშვალება იყო.

ის პუნქტი, რომ არც ერთ პარტიას არ უნდა ეკუთვნოდესო, ამ პარტიებისგან ვერ დაგვიცავს, ვინაიდან თავიანთი მიზნის მისაღწევად, ეგენი ფიცსაც დადებენ და პირველ ხანებში ერთგულადაც მოგაჩვენებენ თავს.

მეორე მხრივ, – პირობა რომ ჩვენთან მხოლოდ უპარტიოს შეუძლიან მუშაობა, – ძალიან შეავიწროებს ჩვენს ფარგლებს. საქმე ის არის, ისე მოვაწყოთ, რომ ცენტრში არ იყვეს პარტიის წევრი, დამხმარე ორგანიზაციებში, კი ჩემის აზრით, საჭიროც არიან პარტიის წევრები. ცენტრი კი უნდა აუცილებლივ დაცულ იყვეს პარტიის წევრებიდან.

გარდა ამისა, როგორც სჩანს შენ და ლეოს გეგმიდან, თქვენ ამორჩევის სისტემაზე სდგეხართ. ჩემის რწმენით, ეს მეტად ხელს შეუშლის მოქმედებას. ჩვენ ვაარსებთ, ასე თუ ისე რევოლუციურ ორგანიზაციას, და ისეთს, რომელმაც უნდა არა მარტო გამონახოს გზები საქართველოს განთავისუფლებისათვის, არამედ კიდევ განსწმინდოს საქართველო მყრალი ჩვეულებებიდან.

საჭიროა განსაკუთრებით ცენტრი იყოს მძლავრი, და მთელ თავის დროს საქმიანობას ანდომებდეს. ამორჩევნების სისტემა კი ჯერ ერთი მეტად ტლანქია, მეორე უძრავი და მესამე ძვირი.

გარდა ამისა, ამორჩევნის სისტემა ჰქმნის ინტრიგებს, ამლევს ინტრიგანს საშვალებას ინტრიგების მოწყობისასა და ჰქმნის დემაგოგიას.

ჯერ ერთი, გამარჯვებული გამოვა ყოველთვის დემაგოგი, და ნამდვილი საქმის კაცი კი დაიჩრდილება.

მეორე, – ცენტრის წევრები იძულებულნი იქნებიან იმუშავონ ისე, როგორც ამას მოითხოვს მასის აზრი, და მესამე, – მასის აზრი კი ცვალებადია და უფრო ხშირად შედეგი დემაგოგის ნამოქმედარისა. გარდა ამისა, ჩემის რწმენით საჭიროა ცენტრი თითქმის უცვლელი იყოს, რადგან მისი არამცთუ შეცვლა, არამედ რამდენიმე ახალი წევრით მველების შეცვლაც საქმეს დააბრკოლებს. რასაკვირველია, ამით მე ის არ მინდა ვთქვა, რომ ცენტრში არასდროს არ უნდა გამოიცვალოს ან წევრი, ან არ უნდა შეივსოს ხოლმე, დრო გამოშვებით, საჭი-

როების მიხედვით. მე მხოლოდ ვგონებ, რომ ამორჩევნის სისტემა /  
საქმეს წაახდენს. მით უმეტეს, გიმეორებ, – ამორჩევნების სისტემით  
უმძლავრესი პარტია დაგვამარცხებს და მთელ ჩვენ გულწრფელ და  
უპარტიო ქართულ მუშაობას ძირს დაამხობენ.

ჩემის აზრით, ცენტრის წევრების გადაყენება უნდა შეეძლოს  
მხოლოდ ცენტრის დანარჩენ წევრებს, აგრეთვე ახალი წევრების შეყ-  
ვანა ცენტრში და სხვა ცვლილებები.

ცენტრის რეგლამენტსაც და კანონებსაც თვითონ ცენტრი უნდა  
იმუშავებდეს, რადგან მას პრაქტიკით ეცოდინება, რა საჭიროა. მაშინ,  
როდესაც, თუ ეს საკითხი კენჭის ყრით ცენტრის გარეშე მყოფ ჯგუ-  
ფებზე იქნება დამოკიდებული, გაიმარჯვებს მშრალი თეორია, რომე-  
ლიც ვერას დროს ვერ უდგენა ხოლმე განსაზღვრულ პირობებს.

რასაკვირველია, მე გწერ ჩემს აზრს, ამავე აზრისა არის მიხაც.  
საბოლოოთ კი, რასაკვირველია, როცა შევიკრიბებით მაშინ გადავ-  
წყვიტოთ, – გაუცვლით ერთი მეორეს აზრებს, ავწონ-დავწონოთ და  
უფრო ცოცხალი იქნება შემუშავებული სტატუტი.

გიორგი, იქნებ როგორმე იშოვნო ფაშისტების სტატუტები. შეიძ-  
ლება გაგვიწიოს სამსახური.

გიორგი, დიდი ფიქრი და შესწავლა უნდა ჩვენს ორგანიზაციის  
მოწყობას, ვინაიდგან ნახევარი გამარჯვება ამაზედ არის დამოკიდე-  
ბული.

უმთავრეს საკითხში ჩვენი აზრი იცი. კიდევ ვილაპარაკებთ, რო-  
ცა შევხვდებით ერთმანეთს.

რასაკვირველია, საჭიროა ფართო წრეების მოწყობა. საჭიროა  
სხვა და სხვა კატეგორიის ჯგუფები, მიხედვით, როგორც შენ იწერე-  
ბი.

საჭიროა ორგანოს დაარსება და სხვა.

რაც შეეხება ეხლა სახსარს. მე მგონია, ქართველთა შორის ჩვენ  
ფულს ვერ ვიშოვით. და თუ ვინმე, ამა თუ იმ მოღალატე ბურჟუამ,  
ფული მოგვცა, – მეტად შეავიწროებს ჩვენს მუშაობას. არ ვიცი, მან-  
დეთკენ რა ტიპის ხალხია, აյ კი, უნდა გითხრა, მეტად ბილწი და  
არა სანდო პირები არიან. ყველა მათგანს, უმთავრესად ყოვლისა,  
თვალი გამდიდრებისაკენ უჭირავთ და პოლიტიკა და საქართველოს  
საკითხი მათთვის წყდება პირად ჯიბის ინტერესის მიხედვით.

ეგეც რომ არ იყვეს, ფულს ან არ მოგვცემენ, და ან მოგვცემენ  
სრულიად უმნიშვნელო რამეს.

ისევ უცხოელთა შორის უნდა ვეძებოთ მეგობრები; – დავაარ-  
სოთ საქართველოს მეგობართა ჯაფუები სხვა და სხვა ქვეყნებში და  
ასე ვიშოვოთ რამ. ძნელია, მაგრამ თუ გამოვფხიკეთ, მოვნახავთ.

წარმოდგენები და სხვა კარგია, რასაკვირველია, უნდა მოვაწ-  
ყოთ, მაგრამ ეს მეტად ცვალებადია.

ერთი სიტყვით, საჭიროა ზომების გამონახვა. უფლოთ კი შე-  
უძლებელი არის მუშაობა.

რაც მეტია ფული, მეტის გაკეთება შეიძლება.

საერთოთ უნდა გითხრა, რომ ვნახე შენი წერილებიდან თუ რა  
ენერგიით შესდგომხარ შენ საქმეს, მეც მომემატა ენერგია.

იცოდე გიორგი, ბევრი ვეძებე, ბევრი ვიფიქრე, მაგრამ მე ვერ  
ვხედავ ხალხს, ვინც ჩვენსამებრ ერთგულათ და დაუინტერესებლათ  
შეუდგება მუშაობას.

ჩვენი მოვალეობა არის ვიმუშაოთ. საქართველოს სპობენ. სისტე-  
მით არუსებენ არა მარტო ხალხს, არამედ ტერიტორიას. თუ ხან-  
გრძლივ გასტანა რუსის ბატონობამ, სამუდამოდ მოკვდება საქართვე-  
ლოს აღდგენის შესაძლებლობა. შენ ჩემზე კარგათ გეცოდინება, თუ  
რა ხდება ჩვენში.

მოიწერე თუ დრო გაქვს: G. Keresselidse. Brückenallee 30. Berlin-  
Moabit.

მალე ჩამოდით. ლეოს პასპორტზე რაც შემიძლია ვცდილობ.

შენი გოგია

### 3

21. VII. 1923.

მმაო გოგია,

ჩვენ მივემგზავრებით გერმანიაში მხოლოდ ორშაბათს დილით  
Winterthur<sup>11</sup>-იდგან 9:15. საღამოს 5 საათზედ მიუნხენში ვიქწებით, სა-  
დაც სამშაბათს საღამომდის ან ოთხშაბათამდის დავრჩებით. ასე რომ  
ოთხშაბათ-ხუთშაბათამდის ბერლინში ვერ ვიქწებით. ჩვენი მიუნხენის  
მისამართი, ნამდვილად არ ვიცით, მაგრამ ოტელ Regima-ში ეცოდინ-  
ებათ და ფოსტაც იქ დავუკეთეთ. თუ რომ მოიწერები შენ და ლეო

<sup>11</sup> Winterthur – ქალაქი შვეიცარიაში.

თუ როდის აპირებთ და რა გზით ჩამოსვლას კარგი იქნება, თუ არა  
და ბერლინში (Hotel Adlon).

მმურის სალამით. მომიკითხე ლორენცის ქალი.

შენი გიორგი მაჩაბელი

#### 4

სამშაბათი. დილის 10 საათი. 7. VIII. 1923.

ძვირფასო გოგია,

დღეს დილით თითქმის 20 წუთი ვურეკე მიხას, მაგრამ პასუხი არავინ გამდა. საქმე იმაშია, რომ 11 საათზედ იტალიის საელჩოში უნდა ვიყო, რომში რუსებისაგან ხელ-მოწერის საკითხის შესახებ. გუშინ ახმეტელმა<sup>12</sup> გვიან გამომიგზავნა დოკუმენტები და ვეღარ მოვასწარ. ამიტომ გთხოვთ მე ნუ დამიცდით, დაიმუშავეთ გეგმა უჩემოთ, მერე ერთად წავიკითხოთ. რაჟამს საელჩოდგან გაცნთავისუფლდები, მაშინ-ვე მოვალ თქვენთან. ალბათ 12 საათისათვის. დიდ ბოდიშს ვიხდი, მაგრამ სხვანაირად არ შეიძლება. რომის საკითხიც საჩქაროა.

მმური სალამი სამთავეს

თქვენი გიორგი მაჩაბელი<sup>13</sup>

#### 5

რომი, 18. IX. 1923.

მმაო გოგია,

დღეს ველაპარაკე ერთ ჩამოსულ ქალს თბილისიდგან, რომელ-მაც საშინელი ამბები მიამზო, თუ როგორ აწვალებენ ჩვენს ხალხს დღეს გაბატონებული იქ მხეცები. აუწერელია ჩვენი ქვეყნის მდგომა-

<sup>12</sup> იგულისხმება საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესანი გერმანიაში 1918-1922 წლებში ვლადიმერ (ლადო) ახმეტელი (XIX საუკუნის 80-ანი წლები-1943).

<sup>13</sup> გიორგი მაჩაბლის ამ წერილს თან ერთვის გიორგი კერესელიძის შემდეგი კომენტარი: “ჩემი განმარტება: ლეო კერესელიძე და გიორგი მაჩაბელი ბერლინში ჩამოვიდნენ. ვიკრიფებოდით ჩემს ბინაზედ: Brückenallee, 30, Berlin – Moabit. 7. VIII. 1923 უნდა მიგვედი პროექტი შესაქმნელ ორგანიზაციისა, – მიხა წერეთელს, ლეო კერესელიძეს, გიორგი მაჩაბელს და მე, - გიორგი კერესელიძეს. გ. პ.”.

რეობა და საშველი არსაიდგან. გაზეთებიდგან გაიგებდი, თუ როგორ  
იშლებიან ყველა დღევანდლამდის არსებული პოლიტიკური ორგანიზაციის  
ზაფიები და როგორ გადადიან ბოლშევიკებისაკენ მასსიურად (რო-  
გორც ჩვენი მენშევიკები) და ზოგნიც პასსიურად ურიგდებიან შექ-  
მნილ პირობებს (ნაციონალ-დემოკრატები). ამ უკანასკნელთა საქციელ-  
მა ძალიან დამაფიქრა და თუმცა ზოგიერთი ჩემი მეგობრები ამარ-  
თლებენ ამ ფაქტს, როგორც ნაძალადევს, მაგრამ მე მათ ამისთანა გა-  
მოსვლებს ვერ ვაპატიებ, ე.ი. ამისთანა სულმოლე ხალხისაგან უნდა  
განწმენდილ იყოს ის მომავალი ჯგუფი, რომელზედაც ჩვენ მანდ  
გვქონდა ლაპარაკი. შენ ალბათ წაკითხული გექნება გაზეთებში პ. გო-  
თუას, ლორთქიფანიძის, მაჭავარიანის და სხვ. ეროვ. დემოკრატების  
დეკლარაცია. მეორე ჯგუფი (სტუდენტები) საქართველოში უკეთ მუ-  
შაობენ, მაგრამ ჩემის აზრით, ვიდრე არ შეიქმნება მაგარი ცენტრი,  
რომელსაც უქნება საერთო ორგანიზაცია აქა და ჩვენში, მანამდის ყვე-  
ლა მუშაობა უნაყოფოა და ზედმეტი მსხვერპლის გამომწვევი. ამიტომ  
არის საჭირო უსათუოდ ვისმეს გაგზავნა ჩვენში, მაგრამ ვინ? მე ჯერ  
ჯერობით ვერავისზედ ვერ გავჩერებულვარ, მით უმეტესად ჩვენი  
ორგანიზაცია აქ, – საზღვარ-გარეთ, – არ მიმაჩნია ჯერ გამაგრებუ-  
ლად და მომწიფებულად. უკვე მომდის პარიზიდან ცნობები (ეს ჩვენ-  
ში დარჩეს), რომ დაწყებულან ინტრიგები და აშლილან ერთმანეთში.  
სამწუხაროდ, აქედგან ძალიან მნელია კაცმა გაიგოს ვინ არის მართა-  
ლი და ვინ მტყუანი, მაგრამ ამას კი გეტყვი, რომ ჩემ ჩამოსვლისთა-  
ნავე თუ დავინახე, რომ კერძო ინტერესებს მაღლა აყენებენ ვიდრე  
საერთოს, ბევრს ლაპარაკს არ დავიწყებ და ცალკე დეკლარაციით გა-  
მოვალ. მე დარწმუნებული ვარ, უმეტესი ნაწილი ორგანიზაციისა მე  
გამომყვეს. სამწუხაროდ აქაური საქმეები წებას არ მაძლევენ ოქტომ-  
ბერზედ ადრე პარიზში მოვხვდე და იმ დრომდე არა იქნება რა. –  
მომწერეთ თქვენი ამბავი, რას შვრებით და როგორა ხართ? აგრეთვე  
პოლიტიკურად შენ და მიხამ თუ რაიმე ნაბიჯი გადადგით, თუ ელ-  
ით პარიზიდგან ჩვენ ამბავს. სად არის ლეო? ძალიან სამწუხარო იქ-  
ნება, თუ მას პარიზში არ მოუხერხდა ჩამოსვლა. მე აქ ოსმალებთან  
ვმუსაიფობ. იქნებ რამე გამოვიდეს. ინგლისელებთან ჯერ არ დამიწ-  
ყია, ველი ოსმალებთან რამეს გავხდე და მერე მეორებთან. – ჩემი  
ცოლი დეკემბერში ამერიკაში მიდის. მე ჯერ არ ვიცი გავყვები თუ  
არა, ეს იმაზედ არის დამოკიდებული, ჩვენი საქმე როგორ წავა. ამერ-  
იკაში უნდა ვეცადოთ ფული ვიშოვოთ; თუ ჩემმა ცოლმა მოახერხა,

მოაწყობს ერთ წარმოდგენას ჩვენი პარტიის სასარგებლოთ. რამდენიმე  
ათასი დოლარიც დიდი საქმეა. Je vous tiens toujours au courant<sup>14</sup> ჩვენი  
საქმეებში და თქვენც მწერეთ მანდაური ამბები და თქვენი აზრი. ასე  
არ შევწყვიტოთ ერთმანეთში კავშირი. დიდი მოკითხვა ჩვენი ოჯახ-  
ისგან შენ და შენს ოჯახობას.

მმურად შენი გიორგი მაჩაბელი<sup>15</sup>

6

რომი, 19. IX. 1923.

ჩემო გოგიაჯან,

დამავიწყდა გუშინდელ წერილში რამდენიმე თხოვნა. ჯერ ეს  
ერთი, როგორც ჩემი თამარის დიპლომი<sup>16</sup>, აგრეთვე სუფთა ცალი  
(ხელმოწერილი) ფინლანდიის ელჩისათვის, შენთან დამრჩა და ძალიან  
გთხოვ, გამომიგზავნო. ორ მაგარ კარტონის ქაღალდის შუა კი ჩადე,  
რომ გზაში არ დაშავდეს. მეორე თხოვნაა შესახებ ქართული ანბანისა.

<sup>14</sup> მე თქვენ ყოველთვის მეყოლებით საქმის კურსში (ფრანგ.).

<sup>15</sup> გიორგი მაჩაბლის ამ წერილს თან ერთვის გიორგი კერესელიძის შემდეგი  
კომენტარი: “ჩემი განმარტება: ბერლინში ჩვენ თოხმა დავიმუშავეთ  
მოქმედების საჭირო გაგმა. გიორგი რომს წავიდა. იტალიაში მას კარგი  
კავშირები ჰქონდა, – ჯერ იმიტომ, რომ მისი მეუღლე ნორინა, – სინემის  
ფსევდონიმი არია ჩარმი, იყო იტალიელი, თავის დროის ერთი უდამაზეს  
ქალთაგანი, ჭეკიანი, განათლებული, – სრულიად თავისუფლად ფლობდა  
იტალიურ, ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებს, - მასთან დიდი  
მოყვარული ქართველობისა.

ესეთი იყო გიორგის მეგობრული განწყობილება ლეო ერესელიძისად-  
მი. გაბაშვილი კი (იგულისხმება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული  
პარტიის ერთ-ერთი ლიდერი რევაზ გაბაშვილი და მისი მემუარები “რაც  
მახსოვე”. მიუნენი, 1959, - გ. მ.) ათქმევინებს ამ პატიოსან, ვაჟაც კაცს,  
გიორგი მაჩაბელს, – ლეოს შესახებ ტყუილს და ცილისწამებას, – შეურა-  
ცხეყოფს ორივე ხსოვნას. გ. კ”.

<sup>16</sup> იგულისხმება 1916 წლის დასაწყისში საქართველოს განთავისუფლების კო-  
მიტების მიერ ქართული ლეგიონის წინაშე დამსახურებისათვის დაწესებული  
სამხედრო საპატიო და მოსაგონი ნიშნის “თამარ მეფის ორდენის” (1917  
წელს გადაკეთდა ჯილდოდ როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პირები-  
სათვის საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში მათი დაწესებულის  
აღსანიშავად) მინიჭების სიგელი. დაწერილებით “თამარ მეფის ორდენის”  
შესახებ იხ. ლ. ბაქრაძე. გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი  
მსოფლიო ომის დროს. ქართული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918  
წ.წ., გვ. 161-163.

გეთაყვა, შემიტყე რამდენი დაჯდება მანდ რომ გადავასხმევინოთ (იანგარიშონ ან დოლარით, ან შვეიც. ფრანკით). რამდენს იწონის საქართველოს მთავრობის მისი გაგზავნა მაგ. შვეიცარიაში. გასატანი ბაჟიც ხომ არ არ-ის გადასახდელი. სულყველაფერი გამიგე დაწვრილებით და მომწერე. მანდ ეხლა იმისთანა პირობებია, რომ ყოვლად შეუძლებელი იქნება გაზეთის გამოცემა. ერთად ერთი ალაგია, - პარიზი. მერე კარგი იქნება ბაჟელა დიდ ცენტრებში ევროპისა იყოს ქართული ანბანი. თუ იაფ-ად გადაგვისხამენ და უბაჟოთ გაგვატანინებენ, მაშინ კარგი იქნებოდა რომისათვისაც ერთი ცალი დაგვეკვეთა. ვატიკანის სტამბას ვაყიდვი-ნებდი. აი ეს ორი თხოვნა ჯერ ჯერობით, და მესამეც, უფრო ადვი-ლი. ლ. ახმეტელთან იმყოფება ქართ.-გერმ. საზოგადოების წიგნები. მიხა იცნობს მათ. როგორც მიხამ მითხრა, უკვე გაუტანიათ რამდენი-მე წიგნი. მეტი ნაწილი ამ წიგნებისა მეკუთვნის მე, - პირადათ, ჩემი საკუთარი ფულით არის ნაყიდი, ტრიჩმა<sup>17</sup> იცის ეს და არ მინდა 'და-იკარგონ, მით უმეტეს, რომ ზოგი მეტად იშვიათი ეგზემპლარია. მე ლადოს ვუთხარი, რომ წიგნები ჩემია და მინდა წავიღო. ძალიან გთხოვ მიხვიდეთ შენ და მიხა საელჩოში, გამოიტანოთ ეს წიგნები. ვითომ მე მიგზავნით და შენთან შეინახო. თუ ამ წიგნებს შემინახავ ჯერ-ჯერობით ძალიან დამავალებ. კარგი იქნება პატარა სია შეადგი-ნო მათი და ერთი ცალი მე გამომიგზავნო, რომ ვიცოდე რა აკლია. მე მქონდა მთელი სია ამ წიგნების. მომიტევე რომ ამდენს გაწუხებ, - მაგრამ ძმა მძისთვის - შავი დღისთვისაო.

კვლავ ძმურის სალამით

შენი გიორგი მაჩაბელი


<sup>17</sup> იგულისხმება 1916 წლის დასაწყისში ბერლინში ჩამოყალიბებული გერ-მანულ-ქართული საზოგადოების მდივანი, გერმანელ-ებრაელი პუბლიცისტი დევის ტრიზი (1870-1935). დაწვრილებით ამის შესახებ იხ.: ლ. ბაქრაძე გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს. ქარ-თული ეროვნული კომიტეტის საქმიანობა 1914-1918 წ.წ., გვ. 109-113.

მმაო გიორგი,

შენი წერილი მხოლოდ დღეს მივიღე და ამიტომ ჩემი პასუხი დაგვიანებით მოგივა. გარდა ამისა, სამწუხაროდ, შენი მისამართი თან არა მაქვს და ამიტომ იძულებული ვარ ეს წერილი ბერლინში გავ-გზავნო და იქიდან შენ გადმოგიგზავნიან.

შვეიცარიაში ჩამოველ იმიტომ, რომ იმედი მქონდა აქ შევხვედ-რილიყავ ერთ კაცს, რომლის დაინტერესება მინდოდა ჩვენ საქმეში, რათა მეშოვა ცოტა ოდენი ფულიც. სამწუხაროდ, აგერ 2 კვირაზე მეტია ველი და ჯერ კიდევ ვერ შევხვდი; შეგატყობინებ, თუ რამე გა-მოვიდა.

ვიცი, ჩემო გიორგი, რო საქართველოში საქმე ვერ მიდის რო-გორც ჩვენ გვეურს. ვიცი, რომ ჯგუფ-ჯგუფად გადადის “ას წოდებული ინტელიგენცია” ბოლშევიკების ბანაკში. და ამით ასუსტებენ ქარ-თველი ხალხის ბრძოლის ძალას და აავადებენ მის სახელმწიფოებრივ შეგნებას. ამიტომ, მით უმეტეს, საჭიროა რაც შეიძლება მალე შევუდ-გეთ ჩვენ საქმეს. კიდევ უნდა გაგიმეორო, გიორგი, რომ მე არ ვენ-დობი ჩვენს პარტიებს. მიზეზი უბრალოა: (პიროვნებებს ნუ შევეხე-ბით) საერთოდ პოლიტიკური პარტია, და განსაკუთრებით კი ჩვენი პარტიები, მისდევენ საერთო მსვლელობას და ცდილობენ შეურიგ-დნენ შექმნილ პირობებს, რათა მეტი მიმდევარნი შეიძინონ. პოლიტი-კური პარტია, საერთოთ ინტრიგებით სცხოვრობენ. ეს მოვლენა საერ-თოა ყოველ სახელმწიფოში და ჩვენში ხომ ყოველი პარტია ინტრიგა-ზე და შურზედ არის აღმოცენებული. დემაგოგია და კარიერა, აი მა-მოძრავებელი იმპულსი ჩვენი პარტიების და მათი წევრების. თვით ევროპაშიც კი, უკვე დიდი ხანია პარტიები გადაიქცნენ კარიერის საშ-ვალებათ. ამიტომ მე უკვე არსებული პარტიების არამწამს რა. ხალხს კი, მასას, სადაც ინსტიტიურად კიდევ უნდა არსებობდეს საღი სურ-ვილი ეროვნული არსებობისა, მოვლა უნდა. ამიტომ საჭირო არის ვი-მოქმედოთ. ჩვენ კარიერას არ მივდევთ; ჩვენ თავისუფალი ვართ პარ-ტიული შხამისაგან; ჩვენ ცხადად ვხედავთ რა გვინდა, რისკენ მივდი-ვართ. ჩვენ გვსურს საქართველოს გადარჩენა და არა ჩვენი პარტიისა. სოციალ-დემოკრატია ეძებს შექმნას ისეთი პირობები, სადაც მათი პარტია გამაგრდება, გაიზრდება და ინტერნაციონალში მეტი წონა ექ-ნება. თუ დღეს იგი მომხრეა საქართველოს დამოუკიდებლობისა, ეს



მხოლოდ იმიტომ, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთება ნიშნავს /  
გაბატონებას ბოლშევიკებისას და ბოლშევიკები კი შთანთქავენ მენტე-  
ვიკებს. დაახლოებით ამავე შხამით არის მოწამლული ეროვნულ-დე-  
მოკრატია. ამ პარტიის კორიფეები (რასაკვირველია, მხედველობაში  
მაქვს არა კედია<sup>18</sup>) მომხრე არინ დამოუკიდებლობა ჰქონდეთ პროგ-  
რამაში პირველი იმიტომ, რომ ჯერ კიდევ ეს მოდაა, და მეორე იმ-  
იტომ, რომ რუსეთში გაბატონებული პარტია ვაჭრობის თავისუფლე-  
ბას ზღუდავს. ხოლო თუკი ან ბოლშევიკები, ან სხვა, მომავალში გა-  
ბატონებული პარტია რუსეთში, მისცემს გარანტიას ალებ-მიცემის თა-  
ვისუფლებისას, ეროვნულ დემოკრატია, სცნობს რა შეუძლებლობას  
ბრძოლისას, გადაიქცევა ლოიალურ პარტიათ (საჭიროა ქართველი  
ხალხის გამდიდრება; საჭიროა უცხო ელემენტის განდევნა; საჭიროა  
ეკონომიურად გამაგრება ქართველი ხალხისა; საჭიროა კულტურული  
ავტონომია და სხვა ამის მსგავსი პატრიოტული ახსნა ღალატისა ად-  
ვილათ მოიპოვება პარტიის ტაქტიკის შეცვლისათვის. ლეოც, მიხაც  
და მეც ღრმად დარწმუნებულები ვართ, რომ შენ ჯერ იმდენად გა-  
მოცდილი ხარ, და მერე იმდენი მიუდგომელი სიყვარულია შენში  
ქართველი ხალხისადმი და მისი მომავლისადმი, რომ არ მოტკუდე-  
ბი და მოიქცევი ისე, როგორც ამას მოითხოვს ჩვენი ქვეყნის ბედი.  
ამიტომ იყო, რომ მე პირადათ დროებით უარყვავ ჩემს ტაქტიკას და  
ამიტომ იყო, რომ ჩვენ გვსურდა რაც შეიძლება მალე ჩახვიდე პარიზ-  
ში.

ლეოს უარი უთხრეს საფრანგეთში შესვლის უფლებაზე, და  
ვგონებ გაკვრით აგრძნობინეს, რომ ჩვენ მთავრობას არა სურს მისი  
პარიზში ყოფნა. ამ რიგად ლეო, როგორც სჩანს პარიზში ვერ წავა.  
ეხლა ბერლინშია, არ ვიცი სად იცხოვრებს. ბერლინში ცხოვრება ძა-  
ლიან გაძვირდა.

Pour te tenir au courant de la vie géorgienne de Berlin<sup>19</sup> რა მოგწერო?  
იგივე სიმყრალეა; იგივე ჯაშუშობა და უნდობლობა ერთი პარტიისა  
მეორესადმი. რაც შეეხება ეროვნულ-დემოკრატიას, – შენ საღი წარ-  
მოდგენა გექნება, რადგან შენ თვითონ იყავ მოწამე შენი მოხსენებისა.

<sup>18</sup> იგულისხმება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი  
ხელმძღვანელი სპირიდონ კედია (1884-1948).

<sup>19</sup> რათა შენ საქმის კურსში იყო ბერლინის ქართული ცხოვრებისა (ფრანგ.).



იმ კრებას დაესწრო 2 ნაციონალ-დემოკრატი: ინგილო<sup>20</sup> და მარგვე-ლაშვილი<sup>21</sup>, – დანარჩენები იყვნენ “თანამგრძნობნი”. შენ შემდგენ მოხა-სენება წაიკითხა საელჩოში სამსონ ფირცხალავამ<sup>22</sup>. უმეტესობა, რასაკ-ვირველია სოციალ-დემოკრატია დაესწრო. შენ თავად იცი, რა ფაქიზი, პატიოსანი და პატრიოტი პიროვნება არის სამსონი. ხოლო უმთავრე-სად თავის მოხსენებაში იგი სოციალიზმს და სოციალისტთა ტაქტი-კას იცავდა. ჩემს შეკითხვაზე: 1) “გადასწყვიტოს თუ არა ჩვენმა პარ-ტიებმა, რომ განდევნონ პარტიიდან ყოველი ის წევრი, ვინც რუსის ორიენტაციას ადგია?”, – პასუხი ვერ გამცა. 2) “აპირებს თუ არა სო-ციალისტ-ფედერალისტთა პარტია საქვეყნოდ განაცხადოს, რომ იგი წინააღმდეგია საქართველოს რუსეთთან ფედერაციისა”, – პირდაპირი და ნათელი პასუხი ვერ მომცა. ასეა, ჩემო გიორგი. რას უნდა მოვე-ლოდეთ პარტიების სხვა წევრებიდან, თუ თვით სამსონიც კი, მიუხ-ედავად მისი ეროვნული გრძნობებისა, ვერ ბედავს პარტიის წინააღმ-დეგ აზროვნებას!

ჩვენ (ე.ი. მიხას, ლეოს და მე) ჯერ ნამდვილი მუშაობა არ დაგ-ვიწყია, რადგან ჯერ ერთი ველით, შენ, ანუ შენ მომავალ გადაწყვე-ტილებას, რადგან ჩვენის აზრით, ჩვენ ოთხი უნდა შევადგენდეთ, ასე ვთქვათ, ერთს მთლიან პიროვნებას, ერთს განუყოფელ არსს. თუ ერთ-ერთი ჩამოგვშორდა, საქმე ნახევრად წამხდარია. მეორე: – საქმის დასაწყებად საჭიროა რაიმე თანხა, – ვართ თანხის ძებნაში. უმთავრე-სად კი, გიმეორებ, ველით შენს საბოლოო გადაწყვეტილებას.

ა კიდევ ერთი საინტერესო მომენტი: ბერლინში არსებობს მწე-რალთა უპარტიო კავშირი. ამ კავშირმა გადაწყვიტა გაზეთის გამოცე-მა. ამორჩეულ იქნა სარედაქციო კოლეგია სამი პირისაგან: ივანიცკი (ინგილო), ვლადიმირ ბაქრაძე და მე. როდესაც სარედაქციო კოლეგი-ის კრება დაინიშნა, მე ამომირჩიეს კოლეგიის თავმჯდომარედ. უნდა გითხრა, რომ არ მსურდა. საქმე ისეც ბევრი მაქვს. ხოლო აშკარად დავინახე, რომ თუ მე არა ვარ თავმჯდომარე, საქმე ვერ მორიგდება,

<sup>20</sup> იგულისხმება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი აქტივისტი, 1917-1918 წლებში საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი რაფაელ ივანიცკი-ინგილო (1896-1966).

<sup>21</sup> იგულისხმება ემიგრაციაში საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარ-ტიის (ს. კედიას დაჯგუფება) ერთ-ერთი აქტივისტი, 1941-1945 წლებში გერმა-ნიაში ქართული კოლონიის თავმჯდომარე ტიტე მარგელაშვილი (1890-1946).

<sup>22</sup> იგულისხმება საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი სამსონ ფირცხალავა (1872-1952).

რადგან ეს ორი პარტიის წევრები ვერ შეთანხმდებიან, ვერ დაივიწყებიან ვერც ერთ წუთს, რომ უპირველეს ყოვლისა იგინი არიან პარტიის წევრები, და ყოველ წუთს ეშინიათ, რომ ერთმა პარტიაში შეორება არ მოატყოს და არ გადაადგმევინოს ისეთი ნაბიჯი, რომელიც ავნებს მის პარტიის ქალწულობას. იგანიციმ პირველივე სხდომაზე ვრცელი დეკლარაციაც კი შემოიტანა, თუ რათ არ შეუძლიან მას მოღვაწეობა. როგორც იყო, უკან წავალებინე ეს დეკლარაცია და მოვაწყე ისე, რომ შეთანხმებით ვმუშაობთ. ალბათ, იგანიციმ რომ ნახა, რომ მე, სოციალ-დემოკრატიის მტერს, არ მეშინიან ამ პარტიის წარმომადგენელთან მუშაობა, დამშვიდდა. აი აქამდის მიდის პარტიული პარტიკულარიზმი.

რაც შეეხება ჩვენი გაზეთის გამოცემას, მე ვგონებ სჯობია ბერლინში გამოდიოდეს. უფრო თავისუფლები ვიქენებით ჩვენს მოქმედებაში. მარა ეს გადავწყვიტოთ მაშინ, როცა გამოცემის საკითხი მომწიფდება.

სტამბის საქმეს გაგიგებ (ე.ი. ასოების ჩამოსხმის ფასს და სხვას). ხვალვე მივწერ ბერლინში, რომ ყველაფერი დაწვრილებით გაიგონ და უმალ გაცნობება.

აგრეთვე ეხლავე მივწერ ბერლინში, რომ გადიტანონ შენი წიგნები ჩემთან და სიას გაცნობებ. ამის ფიქრი ნუ გექნება. ამ წიგნების უმეტესი ნაწილი რომ შენ გეკუთვნის, პირადად ეს მე უტრიჩოტაც ვიცი. როცა შეიძინე, შენ მაშინვე მითხარი, რომ იყიდე ძვირფასი კოლექცია შენთვის და დროებით გინდა “ქართულ-გერმანულ” საზოგადოებას ათხოვო. დიპლომებსაც გამოვაგზავნინებ ეხლავე ბერლინიდან.

თუ შენი მეუღლე მოახერხებს ჩვენი ჯგუფის სასარგებლოთ ამ-ერიკაში წარმოდგენის მოწყობას, დიდ სამსახურს გაგვიწევს. ხელზე ამბორი და გულითადი მოკითხვა შენს მეუღლეს.

შენ რომ წახველ, – მე გადავწყვიტე მენახა ჩვენი სტუდენტები ნიურნბერგში და ჰაიდელბერგში, რომ მომემზადებინა ნიადაგი ჩვენი ორგანიზაციისა. სამწუხაროდ, უმეტესი ნაწილი სტუდენტობისა წასული იყო სხვაგან, საგაზაფხულოთ. ვნახე მხოლოდ სამი-ოთხი და კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს. შემდეგ წაველ მიუნხენში, – მემარჯვენებთან (გერმანელებთან) მოსალაპარაკებლად. რუსების გავლენა ჯერ კიდევ დიდია, – ხოლო როგორც ვატყობ, – სუსტდება. თუ ჩვენ შევ-

ქმენით მძლავრი ორგანიზაცია, იმედი მაქვს შევძლოთ ჩვენი საკითხ-  
ხის წამოყენება და რუსთა გავლენის ცოტათი მაინც შესუსტება.

რასაკირველია მართალი ხარ, რო საჭიროა, აუცილებელია სა-  
ქართველოსთან კავშირი მოვაწყოთ, უამისოდ ჩვენი მუშაობა უნაყო-  
ფო იქნება. იმედი მაქვს თუ აქ დავიწყეთ ორგანიზაციის მოწყობა, –  
საქართველოსთან კავშირსაც მოვაწყობთ, – ამისთვის კაცებსაც გამოვ-  
ნახავთ. საჭიროა ჩვენ დავრაზმდეთ და გამოვარკვიოთ საბოლოოდ  
თუ რა გზას დავადგეთ.

გიორგი, – თურქებთან და ინგლისელებთან ლაპარაკის დროს,  
ჩემის აზრით, საჭიროა პირდაპირ ელაპარაკო ჩვენს მომავალ ორგანი-  
ზაციაზე. საჭიროა გადაჭრით უთხრა, რომ ჩვენი პროგრამა არის გა-  
დაჭრით დავადგეთ ინგლის-ოსმალებთის ორიენტაციას, – და დაახლო-  
ებით თუ რა კომპრომისებს მივიღებთ მაგათ სასარგებლოთ. ჩვენ  
მთავრობას არც ეგენი ენდობიან, არც ჩვენ, – ეს იმას არ ნიშნავს,  
რომ დღესვე გვსურდეს ჩვენი მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლა და-  
ვიწყოთ. ერთი სიტყვით, საჭიროა ინგლისელებთან და თურქებთან  
ნიადაგი მოვამზადოთ. საჭიროა ეგენი დაგვეხმარონ მუშაობაში და  
გარანტიები მოგვცენ.

მოიწერე ხოლმე. მეც ხშირად და ვრცლად გაცნობებ ხოლმე ყვე-  
ლა საგულისხმო მოვლენებს. მე მალე დავბრუნდები ბერლინში. კაცო,  
ამ მოლოდინში უფულოდ დავრჩი და ვალი ვალზე დამედო. ამას  
ვინ ჩივის, ოღონდ რამე გამოვიდეს ჩვენ სასარგებლოთ. მოიწერე ბერ-  
ლინში.

შენი გ. კერესელიძე

ძვირფასო გიორგი,

შენი უკანასკნელი წერილი (ამ 2 1/2 თვის წინათ, ხომ ხედავ რა  
ხშირი კორესპონდენცია გვაქვს!) შვეიცარიაში მივიღე. მე უმალ გაგეც  
პასუხი. ხოლო რადგან შენი მისამართი არ ვიცოდი, – მიხას გადმო-  
უგზავნე და იმანაც, როგორც ვიცი, დაუყოვნებლივ გამოგიგზავნა.

ყოველი შენი თხოვნა შევასრულე.

სამწუხაროდ ორდენების დიპლომები კარგა ხნის შემდეგ ფოს-  
ტას უკან დაუბრუნებია (აქ ფოსტის მართვის კანონები ყოველ დღე

იცვლებოდნენ) და ეხლა ისევ იქ არიან. მაცნობე სად გამოგიგზავნოდა იმავ დღეს ექსპერსით მოგაწვდი. შენს წიგნებს მოუვლით. სტამბაზე მიხა უკვე გწერდა. სახელმწიფო სტამბა კერძო ხალხისგან არ იღებს დაკვეთას და ამიტომ ფასებსაც არ ამბობს. მე მაინც შევეცდები რაიმე მოვაწყო, თუ მომწერ.

მე სულ 10 დღეა რაც დავბრუნდი გერმანიაში. ვიყავ, სხვათაშორის, იტალიაშიც. დარწმუნებული ვიყავ, რომ შენ უკვე კარგა ხანია რაც დასტოვე იტალია, თოროემ უეჭველად გნახავდი.

გიორგი, სხვათაშორის, შენც რასაკვირველია გეცოდინება იტალიის განზრახვა იცნოს de jure რუსეთი. არ ვიცი, თუ ეს განზრახვანი რეალურ ფორმებში ჩამოყალიბდებიან, – ყოველ შემთხვევაში ჩვენ, – ქართველებმა, ანუ ჩვენმა მთავრობამ, – ზომები უნდა მივიღოთ. ჩემის რწმენით, ჩვენ არას დავვარგავთ თუ ევროპამ, ან ამა თუ იმ სახელმწიფომ იცნოს de jure რუსეთი, – ოღონდ რუსეთის საკითხიდან გამოჰყონ საქართველოს საკითხი. თუ ამას მივაღწიეთ, ეს ჩვენთვის ხელსაყრელიც იქნება და ქართული საკითხი ხელახლა გაცოცხლდება. მე აკავის<sup>23</sup> ვწერ ამის შესახებ წერილს. რასაკვირველია აუცილებელი [და] საჭირო არის ჩვენი წარმომადგენელი იყვეს რომში. თუ ისევ შენ დაბრუნდები უკან (ეს შენი მოვალეობაც არის), ამას არაფერი არ აჯობებს. თუ შენთვის შეუძლებელია რომში წასვლა, მაშინ უნდა ურჩიო შენც აკავის, რომ ისეთი კაცი გაგზავნონ, ვისაც გარდა შინაარსისა, გარეგნული სახეც, მანერაც და სიტყვაც შესაფერი აქვს. შენ ჩემზედ კარგად იცნობ იტალიას და დამეთანხმები, რომ იქ მანერა, ფორმა, უსტი, არ თამაშობენ უკანასკნელ როლს. განსაკუთრებით დღეს, როდესაც პროცესი სახელმწიფოს ავტორიტეტის აღდგენის და განმტკიცებისა, ასეთი მძლავრის ტემპით სწარმოებს იტალიაში.

პომპს, პოზას, დეკორაციას მოითხოვს იტალიის ხალხის ბუნება, – ამასვე მოითხოვს სახელმწიფოს ავტორიტეტის აღდგენა და ამიტომ არის, რომ მუსოლინის ტაქტიკაში ამ მხარეს უჭირავს მეტად დიდი ადგილი (და უნდა გითხრა, მართალიც არის მუსოლინი). ამიტომ, გიორგიჯან, თუ შენ ვერ წახვალ, მიიღე ყოველ[ი] ღონის ძიება, რომ არ

<sup>23</sup> იგულისხმება ქართველ სოციალ-დემოკრატია ერთ-ერთი ხელმძღვანელი აკაკი ჩხენკელი (1874-1959), 1921-1933 წლებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი დესპანი საფრანგეთში, რომელიც, ამ პერიოდში, უაქტომრივად განაგებდა საქართველოს ემიგრაციული მთავრობის საგარეო პოლიტიკას.

დაუშვან შეცდომა და არ გაგზავნონ ისეთი კაცი, qui sera trouver comme un parvenu et qui sera forcé d'entichambrier<sup>24</sup>. თუ იტალიამ მართლად შემოგვიანების რუსეთი და ჩვენი საკითხი გამოჰყო რუსეთის საკითხს, ამით გაუძნელდება სხვა სახელმწიფოებს, რომლებიც აჩქარდებიან მიჰბაძონ იტალიის მაგალითს, საქართველო ჩააკვებონ რუსეთს. საწინააღმდეგო შემთხვევაში კი ჩვენ გაგვიძნელდება სხვა სახელმწიფოებში მაინც შევინარჩუნოთ იურიდიული ფორმა არსებობისა. ეცადე, გიორგი, შენ წახვიდე, თუ არა და ეცადე არ გაგზავნონ ისეთი, ვინც გაკეთების მაგიერ წახდენს საკითხს.

გიორგი, — მეტად სამწუხარო არის, რომ ჩვენ ასეთი სუსტი კონტაქტი გვაქვს. მე იმედი მაქს, რომ ოსმალეთი გადასწყვეტს ჩვენს საკითხს (შეიძლება უკვე ამ გაზაფხულზე) და ამიტომ საჭირო იყო ჩვენი ხშირი აზრთა გაცვლა-გამოცვლა. არ ვიცი, ეს წერილი მიაღწევს თუ არა შენამდის, რადგან მე მხოლოდ გუშინ გავიგე შენი მისამართი სრულიად შემთხვევით და დარწმუნებული არა ვარ, თუ კიდევ პარიზში ხარ.

აქ რომ ჩამოვედი ხმები დამხვდნენ, რომ შენ ვითომ უკვე ამერიკაში ხარ. მართალია ჩვენ ყველას გვეწყინა, რომ შენ ისე წახვედი ევროპიდან, რომ არავითარი ცნობა არ მოგვეც, მაგრამ ეს ცნობა სწორეთ მივიღეთ, ვინაიდგან ვიცოდით, რომ შენი მეუღლე უკვე ამერიკაში იყო.


თუ წერილს მომწერ და მაცნობებ შენს სწორე მისამართს, დაუყოვნებლივ გამოგეხმაურები.

ლეოს კვალიც დავკარგე. არ ვიცი სად არის. უკანასკნელად შენებაში ვნახე ამ 2 1/2 თვის წინათ. ხომ არ იცი სად არის?

გიორგი, მიხა ძალიან ცუდად არის. ისტერიები დაეწყო. მორალურად მეტად დაავადებულია. ამას მიუმატე მატერიალური გაჭირვება. ხომ იცი ეჭვიანი კაცია და მასთან ისიც იცი, შენ როგორ უყვარხარ. გუშინ შემჩიდა, რა დავუშავე იმ კაცსო, ერთი წერილი აღარ მომწერაო და იმის წერილი კი ძალიან გამიხარდება ხოლმეო.

როდესაც მე ბერლინში არა ვარ ხოლმე, უარესად ხდება: — მორალურად სულ ჰკარგავს თავს და ყოველი ნების-ყოფა ეკარგება. მე გავამაგრებ ხოლმე და მორალს აუწევ ხოლმე. გიორგი, მისწერე ხოლმე თვეში ერთი-ორი წერილი მაინც. უნდა მოუაროთ ამ კაცს.

<sup>24</sup> რომელსაც ჩათვლიან პარვენიუდ და დააცდევინებენ მისაღებში (ფრანგ.).



ჩემი აქ არ ყოფნის დროს სულ აურ-დაურევიათ ჩვენი სტამბის საკითხი. ბოლშევიკებს მოუსურვებიათ ხელში ჩაეგდოთ. მე კრისამშე ისე მოვაწყვე, რომ შეგვეძლო ჩვენი გაზეთის გამოცემა (არა „საქართველოს მოამბე”, – არამედ ის გაზეთი, რომელზედაც ჩვენ გვქონდა ლაპარაკი) და ეხლა კი სტამბის საკითხის გამოკეთება მოითხოვს შედარებით დიდ ხარჯს და დროს. მე იმედი მაქვს მაინც გამოვაკეთო ეს საკითხი და გაზეთი (ჩვენი პოლიტიკური) გამოვცეთ. რასაკვირველია „საქართველოს მოამბესაც” არ შეუშლით ხელს და მივცემთ საშვალებას თავისუფლად გამოდიოდეს, მით უმეტეს, რომ თითონ ვარ ამ გაზეთის სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე. თუ ჩვენი გაზეთი გამოვიდა, იმედი მაქვს ცოტა ოდენი ფული კიდევ ვიშოვნო და მიხას პატარა ჯამაგირი მაინც დაუნიშნო. მანამ კი (თუმც ჩემი პირადი მდგომარეობა არ არის საროტშილდო), მაგრამ რაც გვაქვს, გავიყოფთ. ცხოვრება აქ ძალიან ძვირდება და საწყალი მიხას ტერორიც იზრდება. ვამშვიდებ და უვლი რაც შემიძლიან.

ასე ჩემო გიორგი. მაცნობე შენი მისამართი და მომწერე წერილიც.

თამარის გულითადი სალამი. ხელზე ამბორი და პატივისცემა გულითადი შენს მეუღლეს.

შენი გოგია  
მისამართი G. Keresselidse. Brückenallée 30. Berlin NW 23. Allemagne.

9

გიორგი მაჩაბელს

18. V. 1924.

ქ. ბერლინი,

### საყვარელო ძმაო გიორგი

ვსარგებლობ შემთხვევით და გწერ რამდენიმე სიტყვას. დიდი-ხანია მინდოდა შენთვის ვრცელი წერილის მიწერა, ხოლო ველოდი მდგომარეობა გამორკვეულიყო.

ჩვენ, როგორც იცი, გადაწყვეტილი გვაქვს, უმწეოთ სერიოზულ მუშაობას არ შეუდგეთ. ამიტომ ამ დღეებში მოგწერ ფოსტით ვრცელ წერილს. ეხლა კი ვსარგებლობ იმ შემთხვევით, რომ ერთი გაჭირვებული ქართველი სტუდენტი მოდის მანდ, და ვატან ამ ბარათს. გიორგი, არ ვიცი შენი საქმე როგორ არის, მაგრამ თუ ვინიცობაა ამ

სტუდენტს გაუჭირდეს პირველ 2-3 დღეს (რადგან ადგილი უკვე აქვს  
მანდ), იქნებ როგორმე ხელი შეუწყო. იქნებ თვითონ გიამბოს თავისი  
ოდისეა.

ძალიან მინდა, ბიჭო, შენი ნახვა. თითქო ჩვენი კომიტეტი და-  
ირღვაო. თუმც დარწმუნებული ვარ, რომ მალე კიდევ ხელი-ხელ ჩა-  
კიდულ[ი] შევებრძვით მტერს.

მომიკითხე და მოწიწებით ხელზე ეამბორე ჩემს მაგიერ შენს  
მეუღლეს. მეგობრული სალამი ვასოს<sup>25</sup>.

მოიწერე შემდეგ მისამართით: Keresselidse. Kurfürsterdamm 250 II.  
Berlin. W. ჩვენები გიგზავნიან გულითად სალამს.

შენი გიორგი კერესელიძე

10

გიორგი მაჩაბელს

ქ. ბერლინი,

7. VI. 1924.

Mr. G. Matchabelli

50. Central Park

New-York City. USA.

ძმაო გიორგი,

დიდი ხანია ვაპირებდი შენთვის მომეწერა წერილი ჩვენი საქ-  
მის შესახებ. ვაგვიანებდი იმიტომ, რომ ვფიქრობდი დაგროვდება საქ-  
მე და წერილი უფრო შეივსება მეთქი. სამწუხაროდ ჯერ ჯერობით  
კიდევ იმ საფეხურზედ ვართ, დაახლოვებით, რომელზედაც შენს აქ  
ყოფნის დროს ვიყავით. ცოტა ცვლილება ის არის, რომ, როგორც ალ-  
ბათ მიხა და ლეოც გწერდნენ შენ, სტამბოლში დაარსდა პატარა  
ჯგუფი. ამას, რასაკვირველია, დიდი რამ მნიშვნელობა არა აქვს. საჭი-  
როა ფართო მოძრაობათ გადავაქციოთ ჩვენი იდეები. ხოლო ამაზედ  
კვლავ მოგწერ, – საკუთრად ამ საკითხებზე დაწერილ წერილში.

<sup>25</sup> იგულისხმება საქართველოს ემიგრაციული მთვარობის წარმომადგენელი  
ამერიკის შეერთებულ შტატებში ვასილ (ვასო) დუმბაძე. ვ. დუმბაძის ამერი-  
კაში მოღვაწეობის შესახებ იხ.: G. Mamoulia. Les combats indépendantistes des  
Caucasiens entre URSS et puissances occidentales. Le cas de la Géorgie (1921-1945), p.  
121-122.

არ ვიცი, თუ შენ რაიმე ცნობები გაქვს საქართველოს შესახებ. ცნობები მაინც და მაინც ძალიან გასახარებელი არ არიან, რომ გამოიყენები არ გაამდლავრეს, განსაკუთრებით ჩვენში. გუშინ ველაპარაკე ვეზენ-დონგვე<sup>26</sup> (ამ ცოტა ხნის წინათ ჩამოვიდა თბილისიდან; – უკანვე ბრუნდება). მითხრა, რომ თბილისში ბატონობენ ურიები და სომხე-ბიო. მაგალითად თბილისში 48 % ღაა ქართველებისაო. რასაკვირვე-ლია, ჩვენში სომხები არიან ნამდვილი ბოლშევიკები; – ერევანში კი მხოლოდ გარეგნულად არიან ბოლშევიზმის მომხრე. გეცოდინება აგ-რეთვე ჩვენი კათალიკოზის ისტორია. მისი საქციელი გმირული იყო. მან დაამტკიცა, რომ ქართველი ხალხი არ ფიქრობს იარაღი დაჰყა-როს.

თავის საქციელით, სიტყვა-პასუხით, – მან არამარტო ქართული ეკლესიის ავტორიტეტი ასწია კიდევ უფრო მაღლა, არამედ მთელი ქართველი ერის პრესტიჟიც.

ასეთი იყო, ჩემო გიორგი, მუდამ ჩვენი ისტორია. დღესაც იგივე მეორდება. მტერი დაამარცხებდა და მოსპობდა ჩვენს მთავრობას, და-ამარცხებდა და მოსპობდა ჩვენს არმიას; – ხოლო ეკლესიას ვერაფერს აკლებდა. ანგრევდა ეკლესიებს, ულეტდა სამდვდელოებას; – რადგან ადვილია შენობის და პიროვნების მოსპობა, - მხოლოდ ეკლესიას ვე-რაფერს უხერხებდა, რადგან იგი იყო ქართველთა გულში ფარული და ამ ფარულ ეკლესიის გარშემო იკრიბებოდა ახლათ ქართველი ხალხი, მაგრდებოდა სულიერად, დარაზმდებოდა და კვლავ ამარ-ცხებდა მტერს. საკვირველია, თუ რა განუსაზღვრელი ნიჭით იგრძნო სუმბათაშვილმა ჩვენი ისტორია და რა შეუდარებელი მისი სინთეზი მოგვცა თავის “ღალატში”. გახსოვს, თუ როგორ გაანადგურა სულეიმ-ანმა (მას ამაში ოთარიც მიეშველა, რადგან უოთაროდ გაუძნელდებო-და) ქართველი მთავრობა – ჯარი, რა სისასტიკით დევნიდა ეკლესი-ას; – თვით კათალიკოზსაც კი მოაჭრეს თავი, - მხოლოდ საბა-სალას ჩოხის უბეში ფარულად დაჰქონდა ჯვარი და ალოცებდა ხალხს. და ეს ფარულად ჩოხის უბეში დამალული ჯვარი, არის სიმბოლო საქარ-თველის ეკლესიისა. მან, – ამ ჯვარმა, თვით ოთარიც კი დააჩოქა მუხლებზედ და აიძულა შენდომა მოეთხოვა. მერწმუნე, იგივე მეორ-დება. ჩვენი ეკლესია ითამაშებს კიდევ დიდ როლს.

<sup>26</sup> იგულისხმება გერმანელი დიპლომატი და მეცნიერი გიუნტერ ფონ ვეზენ-დონგი (1885-1933), 1923 წლიდან გერმანიის გენერალური კონსული თბილისში.


გიორგი, ამ წერილთან ერთად გიგზავნი ორ დოკუმენტს: მიმართვას ჩვენი კათალიკოზისას გენუის კონფერენციისადმი<sup>27</sup> (შენ კარგად გეცოდინება) და მეორეს, – წერილს პაპისადმი ჩვენი ეკლესის წარმომადგენლისას, რომელიც მე გადაუთარგმნე და გაუგზავნე პაპს, – იქნებ შენ მოახერხო მანდ რამდენიმე გაზეთში მოათავსო. თუ მოახერხებ, – ნუ დაიზარებ და ორ-ორი ან სამ-სამი ეგზემპლიარი გამომიგზავნე.

დაუბრუნდეთ ისევ ჩვენს კომიტეტს. ჩემის ცნობების მიხედვით, რუმინია დაინტერესებული არის საქართველოთი. მე ეს მივწერე სტამბოლში მიხას და ლეოს და ურჩიე დაიჭირონ კავშირი რუმინიის წარმომადგენელთან. მათ პასუხად მომწერეს განკარგულება; – მე დამეწყო აქ მათთან მოლაპარაკება. მეც ავასრულე ხანგრძლივ ველაპარაკე რუმინიის სამხედრო ატაშეს. ძალიან დაინტერსდა. პრაქტიკული შედეგი ჯერ არა იყო რა, გარდა იმ გადაწყვეტილებისა, რომ მე და ის ხშირად ვინახულებთ ერთმანეთს და ვიბაასებთ ხოლმე. ჩემის რწმენით (სამწუხაროთ), რუსეთი მხოლოდ ტრაბახობს და ყვირის, ნამდვილად კი მას ომისა ეშინიან. ომს ვერ გაბედავს. თუმც შეიძლება, მიუხედავათ მათი შიშისა, ომი მაინც დაიწყოს თავის თავად.

სამწუხარო ის არის, რომ მთელს დედამიწის ზურგზედ (თუ ოსმალეთს არ მივიღებთ მხედველობაში), ერთად-ერთი არმია არსებობს ეხლა, რომელიც მზად არის, მიზეზიანად თუ უმიზეზოდ, შეტევითი ომი დაიწყოს. ეს არის რუსეთის არმია. ვერც ერთ სხვა არმიას (ასეთია თანამედროვე დემოკრატიზმის სული), ვერც ერთი მთავრობა შეტევით ომზე ვერ წაიყვანს. ყოველი მათგანი თავს დაიცავს, დაიცავს თავის ინტერესებს და დაამარცხებს კიდეც რუსეთის არმიას, – ხოლო ომს თითონ არ დაიწყებს. ამიტომ, თუ რუსეთმა არ დაიწყო ომი, ძნელია წარმოვიდგინოთ, რომ სხვა რომელიმე სახელმწიფომ (ამ ახლო მომავალში მაინც) ომი დაიწყოს. რუსეთის, ჩემის რწმენით, – ეშინიან თავს დაეცეს ამ თუ იმ ევროპულად მოწყობილ არმიას.

ჩემის რწმენით, ჩვენი საკითხი გადაწყდება რუსეთის და ოსმალეთის შუა შეტაკებით. ეს იქნება, – მხოლოდ როდის, – ამის წინას-

<sup>27</sup> იგულისხმება საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას (1861-1927) მიმართვა გენუის სამშვიდობო კონფერენციის სახელზე (1922 წლის აპრილი-მაისი), სადაც ქართული ეკლესის მამამთავარი სოხოვდა ციკილიზებული მსოფლიოს წარმომადგენლებს დაეცავთ საქართველოს ეკლესია და ქართველი ხალხი ბოლშევიკთა ბარბაროსული ქმედებებისაგან.



წარმეტყველება ძნელია. ჩვენ უნდა ვემზადოთ ამ მომენტისათვის, — მაგრამ, რასაკვირველია, სხვა მოვლენებსაც უნდა უწიოთ ანგარიში. მაგალითად, — თუ ღმერთმა ქმნა და მოხდა რუსეთ-რუმინეთის ომი, — ვინ იცის, რა შედეგები მოჰყვებიან. შეიძლება ამ კონფლიქტმა გა-მოიწვიოს სხვა და სხვა კომბინაციები და მასთან სწორეთ რუსეთ-ოს-მალეთის კონფლიქტიც. ამიტომ ჩემის რწმენით, ჩვენ რუმინიასთან უნდა დავიჭიროთ კავშირი. ამ მხრივ მე ვიმუშავებ აქ. ხოლო ძნელია უფულოდ მუშაობა. ვერასგზით ვერ მოვახერხე აქ ფული მეშვნა. გე-ცოდინება, რა საშინელი კრიზისია აქ. ამასთან ცხოვრება აუტანელად გაძვირდა და გაძნელდა. გარდა იმისა რომ, პირადად მე, მთელი ოჯ-ახი მაწევს კისერზე, აუარებელ, წარმოუდგენელ გაჭირვებას ქარ-თველთა შორისაც უნდა გაუწიო ანგარიში, — და აღარ იცი რა ქნა. ბევრი გაჭირვებული ქართველი მანდეთკენ მოდის.

ასეა, ჩემო გიორგი, დაახლოებით საქმეები. არ ვიცი, თუ ამ წე-რილიდან ბევრ რამეს გაიგებ, რადგან მეტად ვჩქარობ; — აუარებელი წერილი და ზოგი მსხვილი საქმე ჰყლაპავს მთელ ჩემ დროს.

შენი წიგნები, რაც კი გადარჩენილა შემთხვევით ალბათ საელ-ჩოში, — ჩემთან არიან. მე კი კარგად მოუვლი, მაგრამ, სამწუხაროდ, მეტად ცოტა ღაა. მაგალითად, სხვათაშორის შენი ალბომი ტანისამო-სებისა აღარ არის. ვერ გავიგე სად გაქრა. ლადომაც ვერ მითხრა ან ვის ათხოვა, ან ვინ წაიღო. არ ვიცი სად მოვძებნო.

თამარი უკეთ არის, ვიდრე შენ რომ ნახე მაშინ იყო. მათე<sup>28</sup> ამ მომავალ წელს გაათავებს გიმნაზიას. მეორეც<sup>29</sup> ყოჩაღად სწავლობს და უნდა შენი კოლეგა იყოს (ინჟინრობა).

გულითადი მეგობრული სალამი შენ მეუღლეს.

მოიწერე ხშირად.

შენი გიორგი კერესელიძე

ჩემი მისამართია: G. Keresselidse. Kurfürstendamm 250. Berlin W.B

<sup>28</sup> იგულისხმება გიორგი კერესელიძის უფროსი ვაჟი მათე კერესელიძე.

<sup>29</sup> იგულისხმება გიორგი კერესელიძის უმცროსი ვაჟი ლულუ კერესელიძე.

New-York (City). Fifth Ave, 501 USA  
 C/O Peaslee da me  
 ნიუ-იორკი. 24. VII. 1924.

ძვირფასო გოგია,

მივიღე შენი ორი წერილი, ერთი გიორგიძეს ხელით (მგონი სადღაც მოეწყო ეს ყმაწვილი, აღარ მინახავს) და მეორე ფოსტით. რაც ამერიკაში ჩამოვედი, პოლიტიკას, ჩემდა საუბედუროდ, თუ საბედნი-ეროთ, არც კი მივკარებივარ. პარიზიდგან ცუდი შთაბეჭდილებით მოვშორდი როგორც ჩემს სამშობლოს, ისე ჩვენ საქმეებს. საქართველოზე დ მხოლოდ ოცნების უნარი არ მომკლებია; რაც შეეხება რაიმე აქტიურ მუშაობას, აქ არც შესაძლებელია და არც ნაყოფიერი შედეგის მომტანი. არამც თუ აქ, თვით ევროპაშიც კი ვერას გავხდებით. ისე – პლატონიური ანუ აკადემიური მუშაობა თუ შეიძლება, თორემ რამე გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმა ყოვლად მოუხერხებელია. ან ვინ უნდა იმუშაოს? ჩემი ბოლო ცდების შემდეგ დავრწმუნდი, რომ თვით ჩვენშიც ნიადაგი ძალიან სუსტი იყო, გაგვეკეთებინა რაიმე სახეირო. სოციალ-დემოკრატებმა საქართველოს დამოუკიდებლობას ვერ მოუარეს, გამოდგნენ ყოვლად უხეირონი და არამც თუ მარტო თავის სისუსტით დამარხეს საქართველო რამდენიმე ათი წლით მაინც, არამედ თავიანთი მოშხამული და გათახსირებული არსებით წაახდინეს ერთი თაობა მაინც. მის მაგივრად, რომ ისინი დაგვექვავებინა, დღესაც რაღაც საერთო მუშაობაზე დ მათთან გვაქვს ბაასი. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ, – საღ ეროვნულ-ელემენტს, – არ გვაქვს (და მართლაც არა გვაქვს) ძალა და ვეძებთ კომპრომისებს მათთან, ვინც საქართველოს თავისი საკუთარი ხელით გამოსჭრეს ყელი. ვიდრე საქართველოს ეროვნული ძალები ისე არ გამაგრდებიან და არ გაძლიერდებიან, რომ მოღალატე ნოე ჟორდანიის დამქაშებთან მოსპობენ ყოველივე კავშირს და მარტო გაუძღვებიან სამშობლოს საქმეს, მანამდის ჩვენს ქვეყანას ვერაფერი ვერა უშველის რა. მივიღე წერილები ლეოსაგან, მიხოსაგან და დავით ვაჩნაძესაგან<sup>30</sup> სტამბოლიდგან. ყველანი მწერენ, რომ შეადგინეს კომიტეტი და რაღაც იმედებით იყო გამსჭვალული მათი წერილები. გაიარა რამდენიმე კვირამ და მივიღე

<sup>30</sup> იგულისხმება საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ხელმძღვანელი დავით (დათა) ვაჩნაძე (1884-1962).

მეორე წერილი ლეოსაგან, სადაც მთხოვს როგორმე მოვუხერხო აქ ჩა-  
მოსვლა, რადგან მას სტამბოლში პირდაპირ შიმშილი მოელის შე-  
მათვის დღევანდლამდის არ მიმიწერია. ლეოსთვის კი ვცდილობ  
ვუშოვნო ნებართვა და გადავუგზავნო. რატომ არაფერი ვუპასუხე,  
მკითხავ შენ. მე თვითონ არ ვიცი. ინსტინქტიურად ვერ მოვკიდე კა-  
ლამს ხელი, რომ არ desillusioner<sup>31</sup> ისინი იმედებში. ადამიანი შორიდ-  
გან უფრო უკეთ თვალს ადევნებს ფაქტებს და უფრო კარგად ანგა-  
რიშს უწევს ყოველივე მოვლენას. შენ მართალი ხარ. რუსეთს დღეს  
ვერავინ გაუბედავს ომს, მეტადრე ეხლა, როდესაც ესე გაიმაგრა ზურ-  
გი ჩინეთ-იაპონიისაგან. ამერიკის ემიგრაციის კანონმა, რომელიც ისე  
მკაცრად ეხება იაპონიას, ააძულებინა ამ უკანასკნელს რუსეთთან კარ-  
გი დამოკიდებულება ჩამოეგდებინა. რუსეთში დღითი-დღე ძლიერდე-  
ბა ეროვნული ძალა და იქნებიან იქ ბოლშევიკები თუ სხვა ვინმე, ეს  
ძალა ჩვენ მოგვსპობს, თუ მთელი ჩვენი ენერგია იმას არ მოვანდო-  
მეთ, შევინარჩუნოთ ეროვნული სახე. ვეცადოთ ახალგაზრდობაში გა-  
ვაძლიეროთ და გავაღრღმავოთ სიყვარული და ერთგულება სამშობ-  
ლოსადმი, ენისადმი, მიწა-წყლისადმი. უნდა აღვზარდოთ მომავალი  
მებრძოლნი საქართველოს თავისუფლებისა, მისი დამოუკიდებლობი-  
სა. ეს მებრძოლი სული მათში უნდა იყვეს შეგნებული, გარკვეული,  
გამოანგარიშებული. ეხლანდელ დროში გრძნობის პატრიოტობა არ  
კმარა, გრძნობა და ცოდნა ე.ი. გული და თავი ერთად უნდა იყვნენ  
განვითარებულნი, მომზადებულნი. ყველა ამ ჩვენი მუშაობისათვის კი  
საჭირო არის ფული, ქონება. ჩვენ კი ყველანი ღარიბი ვართ, არავის  
არაფერი არა აბადია რა. ყველა ჩვენი გეგმები რჩებიან და დარჩებიან  
უბრალო ოცნებებათ, თუ არ დავიწყეთ ზრუნვა ჩვენის ეკონომიკურ  
გაუმჯობესებისათვის. უნდა ვიმუშაოთ ამ ნიადაგზედ, უნდა მოვკი-  
დოთ ხელი ვაჭრობ-მრეწველობას და იმისთანა სახეირო საქმეებს,  
რომ ჩვენი თავიც შევინახოთ და საერთო საქმესაც მოვუაროთ. მე ეხ-  
ლა სხვა აზრი არა მაქვს თავში. მინდა მოვკიდო რაიმე პრაქტიკულ  
მოსაგებ საქმეს, რომ შემეძლოს მატერიალურად დავეხმარო ყველა  
ჩვენ გაჭირვებულს, როგორც საზღვარ გარეთ, ისე საქართველოში. ასე  
რომ გადავწყვიტე პოლიტიკას სრულიათ მოვმორდე, (მით უმეტესად,  
რომ მუშაობის ნიადაგიც არ არის აქ) და ვცდა ამ ახალ დარჩები გა-  
ვაკეთო რამე. ვხსნი დუქანს (ანუ მაღაზიას), სადაც მექნება ყველაფე-  
რი გასაყიდათ (აქ მაინც ამისთანა ტიპი მაღაზიებისა ძალიან გახში-

<sup>31</sup> ილუზიები არ გამექარწყლა (ფრანგ.).

რებულია). მექნება როგორც მთელი ბინის მოწყობილობა (სურათები, ავეჯი, ხალიჩები), ისე ლამაზი სხვა და სხვა პატარა ნივთები (ცხვირი, როზის და სხვა ყუთები (étsi)<sup>32</sup>, ხელზედ ჩამოსაკიდი ქვები, სხვა და სხვა დამამშვენებელი ნივთები: – ვერცხლისა, ოქროსი თუ სხვა რა-მის. ქალების ნესესერები, დუხები და სხვა. გარდა ამისა აგრეთვე პა-რიზის მოდელები (უკვე ერთმა პარიზის სახლმა გამიხსნა კრედიტი) და lingerie<sup>33</sup>. მოდი შენ ჩემი ბერლინის კორესპონდენტი გახდი, გოგი-ჯან, და ერთად ვიმუშავოთ. თუ კარგათ წავიდა საქმე, ბევრ ფულს მოვიგებთ და სამშობლოს საქმეებსაც გამოვადგებით. თუ თანახმა ხარ, რა წამს ამ წერილს მიიღებ, მომწერე შენი თანხმობა. გარდა მაგისა მაშინათვე შეუდექი საქმეს. ოქტომბრისათვის მჭირია ძალიან ბევრი საქონელი, რადგან ჩემი მაღაზიის გარდა მექნება საერთო (en gros)<sup>34</sup> გაყიდვის განყოფილება და უკვე მაქვს სხვა და სხვა მაღაზიებთან კავშირი. ამიტომ როგორც ის საქონელი, რომელიც მაღლა ჩამოგითვა-ლე, ისე ყველა იმ ნივთებისა, რომელიც მანდ იაფად არის და გგონია აქ კარგათ გაიყიდება, გააკეთე სია, ფასები უნდა იყვეს გამოანგარიშე-ბული ნიუ-იორკის პორტამდის (Tarieff New-York). შენი პორცენტებიც საერთო ფასში იანგარიშე. მეტადრე ახალი გამოგონილი ნივთები და ავეჯეულობა თუ არის მანდ. ერთის სიტყვით ყველაფერი, რაც კი შე-იძლება იაფად იყიდოს ადამიანმა, ყველაფერი მომწერე. ძალიან კარ-გი იქნება, თუ ზოგიერთი საგნების ნიმუშებსაც გამოგზავნი. ეს ყვე-ლას სჯობია. ნუ დაგავიწყდება, რომ ბაჟს საგარეო საქონელს ძალიან მაღალს სდებენ, ისე რომ თითქმის აქ ერთი ორად უნდა იანგარიშო, ე.ი. რაც მანდ ერთი მარკა ღირს, აქ ვიდრე მოვა (ბაჟი და ტრანსპორტი) ორი ეღირება. თუ მოახერხე და ნიმუშები გამომიგზავნე რაც შე-იძლება მეტი, მაშინ ხომ პირდაპირ დეპეშით შემიძლია გაცნობო, – ესა და ეს საგანი და ამდენი გამოგზავნო. ფულის გადახდა მიღების-თანავე. მაშასადამე შემდეგი საგნებია საჭირო: 1) ყოველი-ნაირი ახა-ლი მოდის ქალების პორტმანები (ხელში დასაჭერი); – ტყავის თუ აბ-რეშუმის. 2) ყელზედ ჩამოსაკიდი სხვა და სხვა ქვების ძებკვები; – ორიგინალური. ეხლა აქ ძალიან გახშირებულია. 3) სხვა და სხვა ემ-ალის კოლოფები; – პორტსიგარები, წუმწუმის, ბონ-ბონების და სხვა. 4) სხვა და სხვა მაგიდაზე დამამშვენებელი ნივთები. 5) საშობაო სა-

<sup>32</sup> ფუტლიარი (ფრანგ.).

<sup>33</sup> ოქტოებული (ფრანგ.).

<sup>34</sup> ბიოუმად (ფრანგ.).

ჩუქრები: წვრილმანი, ორიგინალური, სახუმრო ნივთები (ნედელუშკი). ეს რაც მე მჭირია. ამას გარდა შენ შეგიძლიან შენი ინიციატივით რაც გინდა იმის ნამუშები თავის ფასებით გამომიგზავნო და თუ გაიყიდა, ხომ და კარგი. კიდევ გიმეორებ, საუკეთესო იქნება ყველა ამ საგნების თითო ან რამდენიმ-რამდენიმე ნიმუში გამოგზავნო, მაშინ გაყიდვა ადვილიც და საჩქაროა. ნიმუშების ფასსაც მე გადავიხდი. გამოგზავნისთვის (როგორც ნიმუშებზე ისე საქონელზე უნდა მოელაპარაკე და გაურიგდე რომელიმე კარგ და პატიოსან ტრანსპორტის აგენტურას. ისინი გეტყვიან დაწვრილებით, გაგზავნა რა საგნისა რა ჯდება. ყოველ საქონელს გამოგზავნი ატანს ფასების სიას. ეს სია შენ ფიქტიური უნდა გამოაყოლო, ე.ი. ფასები გადამეტებით ნაკლები, ვიდრე თვით საქონელი ღირს. ნახევარი, ან მესამედი. ეს იმიტომ, რომ აქ ბაჟის მოხელეები ძალიან ხშირად ბაჟს მის ღირებულებისდაგვარად ადებენ. კერძო წერილში ჩემთან კი გამომიგზავნი ნამდვილ ფასებს. ყველა საგანს უნდა თავისი ნომერი დაუსვა, რომ დაკვეთა დეპეშით ადვილი იყოს. საქონელი გამოგზავნე შემდეგის ადრესით: Amasitic Inc. 501, Fifth Ave. New-York City.

ჩემთან წერილები კი ზემო მოყვანილ ადრესზედ. ერთ და იმავე სახლშია. საქონლის ადრესს ჩემი სახელი არ მიუმატო. მხოლოდ წერილებს. მაშ, აბა შენ იცი, გოგია. სხვასთან მუშაობას შენთან მუშაობა მირჩევნია. თუ შესაფერს და იაფ-ფასებიან საქონელს გამომიგზავნი, იმედია დიდი საქმეები დავატრიალოთ. მეტადრე პირველ დროს გვმართებს დიდი სიფრთხილე და გამჭრიახობა. მაშ ველი საჩქაროდ შენს პასუხს.

ჩემმა ცოლმა მოკითხვა დამაბარა შენთან. თამარს ხელზედ ვაკოცებ. მომიკითხე შენი ვაჟ-კაცები. ძმურად სალამი.

შენი გიორგი მაჩაბელი მოიწერე, რას შვრებიან ჩვენი ქართველები მანდ: ალშიბაია<sup>35</sup>, ახმეტელი, ქართული ბანკი, უურული, დიასამიძე<sup>36</sup> და სხვ. სად არის ივანიცი, მარგველაშვილი. წიგნებისთვის გმადლობ.

<sup>35</sup> იგულისხმება ქართველი ეროვნულ-დემოკრატი, 1919-1921 წლებში საქართველოს ელჩი აზერბაიჯანში გრიგოლ ალშიბაია (1880-XX საუკუნის 50-იანი წლების დასასრული).

<sup>36</sup> იგულისხმება XX საუკუნის 20-იან-40-იან წლებში გერმანიაში მცხოვრები ქართველი უარტიო ემიგრანტი, ურნალისტი გრიგოლ დიასამიძე.

გიორგი მაჩაბელს

ბერლინი, 6. VIII. 1924.

New-York (City) USA

250

Fifth Awe 501,


C/O Peaslee

Kurfürstendamm

ძვირფასო ძმაო გიორგი,

წუხელის შენი წერილი მივიღე. დამასევდიანა და გამახარა კი-  
 დეც. დამასევდიანა იმიტომ, რომ დიდ პესიმიზმს მისცემიხარ. და  
 სწორედ შენ, კაცი ენერგიული და გულწრფელი, პატრიოტი, რაც მე-  
 ტად იშვიათი არის, ბევრში მართალი ხარ სამწუხაროდ, ხოლო იარ-  
 აღის დაყრა არ ვარგა. მართალია, სოციალ-დემოკრატიამ ვერ მოუარა  
 ჩვენ ქვეყანას. ვერ მოუარა იმიტომ, რომ მისთვის, პირველ ხანებში  
 ყოველ შემთხვევაში, საქართველოს დამოუკიდებლობა იყო მხოლოდ  
 და მხოლოდ საშვალება მათი პარტიის გადარჩენისა. ამიტომ ისინი  
 ვერც მიხვდნენ, თუ რა იყო საჭირო საქართველოს დაცვისათვის. უფ-  
 რო სავალალო კიდევ ის არის, რომ მარტო სოციალ-დემოკრატია, ის  
 პარტია, რომელიც 25 წლის განმავლობაში ებრძოდა ქართულ იდეას  
 და დაუნდობლივ სდევნიდა თვით ილია ჭავჭავაძეს, – ამ განხორცი-  
 ელებას საქართველოს იდეისას, – არ არის დამაშავე ჩვენს დალუკვა-  
 ში. მას, სოციალ-დემოკრატიას, ამაში ხელი შეუწყეს სხვა პარტიებმაც.  
 შეუგნებლად თუ შეგნებულად, – ეგ სულ ერთია. და როდესაც მტერ-  
 მა დაიპყრო ჩვენი ქვეყანა, ეგრეთ წოდებული ეროვნული ელემენტი  
 უფრო მაღე მოიხარა მტრის წინაშე, მის შორის უფრო მეტი (შედარე-  
 ბით) კარიერისტი, მოღალატე და ავანტიურისტი გამოდგა. მართალი  
 ხარ იმაშიც, რომ იმ სოციალ-დემოკრატიას, რომელიც 25 წლის გან-  
 მავლობაში ანგრევდა ჩვენს ქვეყანას, არ შეუძლიან გაიხადოს ერთად-  
 ერთ მიზნათ საქართველოს დამოუკიდებლობა.

ხოლო ფაქტი მოხდა. საქართველო აღსდგა, როგორც დამოუკ-  
 იდებელი სახელმწიფო, მიუხედავად სოციალ-დემოკრატიის სურვი-  
 ლისა. სოციალ-დემოკრატია იძულებული იყო სათავეში ჩასდგომიდა  
 (შეიძლება არა გულწრფელად) ამ სახელმწიფოს. ამან კი პარტიის ბევ-  
 რი წევრებისათვის ცხადჰყო, რომ სოციალ-დემოკრატიის ძველი გზა  
 შემცდარი იყო. ცხადი შეიქმნა ეს, განსაკუთრებით ისეთი ელემენტე-



ბისათვის, რომელიც პასუხის მგებელი არ იყო პარტიის ძველი გზებისა. ეს ელემენტი არის ახალგაზრდა და მაშასადამე უფრო ექნერგიული. მერწმუნე გიორგი, რომ თვით ამ პარტიის წიაღში ნახავ ისეთ ელემენტებს, რომელიც იმედებს გაგიმაგრებს. შენ, სამწუხაროთ საქმე გუნდა ძველებთან; – ელემენტებთან გადახარშულ სიციალ-დემოკრატიის ძველ წვენში. მე კი, ჩემი მდგომარეობითაც (შარშან ამირჩიეს სტუდენტთა დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარედ და წლეულს ამას დაუმატეს ის, რომ მაიძულეს გერმანიაში მყოფ ქართველთა კოლონიის თავმჯდომარეობა მიმეღო), მიხდება სხვა და სხვა ელემენტებთან მუშაობა. განსაკუთრებით ახალგაზრდებთან. რომ იცოდე, გიორგი, რა სიძულვილია მათში რუსებისადმი! რომ იცოდე, რა აშკარად ხედავენ ეს ელემენტები ქორდანიას და მისი ვეზირების სიბრძავეს! რომ იცოდე, როგორ ჰგმობენ მათ გზებს! დღეს ამაზე აშკარად ლაპარაკს ვერ ჰქედავენ, რადგან მდგომარეობა საქართველოს საკითხისა მათ არ აძლევთ ამის საშვალებას. როდესაც მე ვოცნებობდი რომ ჩვენ დაგვეწყო მუშაობა, იმედი მქონდა ამ ელემენტებისა.

გიორგი, ახალგაზრდობა იზრდება რუსეთისადმი სიძულვილში, – ეს კი დიდი ფაქტორია, – დიდი იმედების მომცემი.

აქედან არ უნდა გამოიტანო ის დასკვნა, რომ მე თვალახვეული ოპტიმისტი ვიყო! არა, – მე ვიცი სიძნელე გასავლელი გზისა, მხოლოდ უიმედობამდე არ მივსულვარ. მე ვიცი რომ ისტორიის მსვლელობა აიძულებს თვით ქორდანიას მისი ვიზირებით ან დაემორჩილოს, ან გასრისავს მას.

გარდა ამისა, სურს თუ არ სურს ქართველ ერს დამოუკიდებელი არსებობა, – რუსეთი მაინც დაჲკარგავს საქართველოს. ქართველი ერი აღარ არი გადამწყვეტი თავისი ბედისა. საქართველო გადაიქცა საკითხათ საერთაშორისი ინტერესებისა. მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთს არ დასტოვებენ ამიერკავკასიაში. ღრმად მრწამს, რომ უკრაინა დაიბადა. უკრაინა კი არის ერი 32 მილიონი ქვეშევრდომით. ეს არის ის ძალა, რომელიც რუსეთს კისერს მოსტებს შიგნიდან, და გარედან კი, მისი კისრის მომტეხი ბევრია.

მდგომარეობა ბოლშევიკებისა გამოუვალია. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ დიდი ხანია მათ ბოლო მოედებოდათ, ევროპა რომ არ უჭერდეს მათ მხარს. ევროპისათვის კი საჭიროა კიდევ მათი არსებობა, ვინაიდან ევროპას ჯერ თავისი საჭირ-ბოროტო საკითხები ჰყოფნის თავსამტვრევად. ბოლშევიკები კი მათ უნახავენ ადვილად გასაყოფ რუსეთს.

მართალია, ამერიკის იაპონიის მიმართ საემიგრაციო კანონმა იაპონია დაუქალოვა რუსეთს, ხოლო ეს დროებით ამაგრებს (და ისიც შევიკებს და არა რუსეთს. ხოლო ესევე საკითხი მობრუნდება რუსეთის წინააღმდეგ, როდესაც რუსეთის სფეროებად დაყოფის საკითხი დადგება. იაპონიისათვის აუცილებელია ტერიტორია, სადაც გაპეზავნის თავის იმიგრანტებს. მძლავრი რუსეთი კი მისთვის საშიში იქნება, რადგან ერთ მშვენიერ დღეს იგი გამონახავს საშვალებას (მიუხედავად ხელშეკრულებისა) ან სრულიად აკრძალოს ემიგრაცია, ან ისე შეავიწროვოს, რომ არარაობამდე მიიყვანოს.

ერთხელ დანგრეული დიდი იმპერიის აღდგენას არ მოისურვებს არც ერთი დიდი სახელმწიფო. პოლიტიკური ბედი თანამედროვე კაცობრიობისა კი დიდ სახელმწიფოთა ხელთ არის.

სათქმელი ბევრია ამ საკითხის შესახებ. ამაზე კიდევ კვლავ გაუცვლით შენ დე მე ალბათ აზრებს ერთი მეორეს. გამახარა შენმა წერილმა ჯერ იმიტომ, რომ მივიღე იგი. არ ვიცოდი, რას მიმეწერა შენი სიჩუმე? არ ვიცოდი სად იყავ და როგორ იყავ. მიხარიან ისიც, რომ შენ სერიოზულ საქმეს შესდგომიხარ და მრწამს, მიაღწევ კიდევ შენს მიზანს. მართალი ხარ, ჩემო გიორგი. გამდიდრება არის საჭირო. ჩვენი ტრაგიზმი იმით უფრო ღრმავდება, რომ ღარიბი ვართ. არ გვაქვს საშვალება მოქმედებისა. ხელ-ფეხზე უსაღსრობის ბორკილი გვაქვს გახლართული. ეჰ, გიორგი, ცოტა ფულიც კი რომ გვქონდეს, ჩვენ კიდევ რაღაცის გაკეთება შეგვეძლო. ასე, უკაპიკოთ კი, შეუძლებელია შენს ქვეყანას შენი ენერგია შესწირო, – და ხარ ვითარცა ზედ მეტი გუდა. იმუშავე, გიორგი, გამდიდრდი, დარწმუნებული ვარ, რომ შენ შენს ქვეყანას დიდ სამსახურს გაუწევ. მე მზად ვარ ენერგიულად დაგეხმარო. ამაზედ ქვევით.

ლეო დიდ გაჭირვებაში ჩავარდნილა. თუ მოუხერხე მანდედ წამოსვლა, კარგს იზამ. მიხაც გაჭირვებას განიცდის. სირცხვილი ჩვენი ერისა, სირცხვილი, რომ ადამიანი ემსახურა მთელი თავისი სიცოცხლე თავის ერს, არასოდეს მისგან გროში არ უნახავს და ეხლა, თითქმის მოხუცებულობის დროს, მას პაპიროსის ფულიც კი არ უნდა ჰქონდეს.

ივანიცი აქ არის. გვიხდება ერთათ მუშაობა, რადგან კოლონიის გამგეობაში არის ამორჩეული და არის თავმჯდომარის მოადგილე. მარგველაშვილი აქ არის, მხოლოდ არ ჩნდება. ამბობენ, უკამაყოფილოა, რომ ის არ ამოირჩიეს თავმჯდომარეთ კოლონიისა. საკვირველი

ხალხია ქართველი ინტელიგენცია. მისთვის, როგორც ჩანს, ტიტულს აქვს მნიშვნელობა და ნაკლებ საქმეს. პირადად ჩემთვის კი, კოლონიალისტური ის თავმჯდომარეობა არის მეტად მძიმე ტვირთი და რომ ძალით არ ამოერჩიეთ, არა გზით არ დაფთანხმდებოდი. ყოველ წინასწარ შეკითხვაზე უარი განვაცხადე, ხოლო ამორჩევნების დროს ისეთს პირობებში ჩამაყენეს, რომ ყოვლად შეუძლებელი იყო უარი. მართლა, ივანიცის უჭირს. ეხმარება პაპავა აკაკი. მეც ვებმარები, რითაც შემიძლიან. ეჰ, გიორგი, გაჭირვება უსაზღვროა და ჩემი ავლა-დიდების ამბავი შენც კარგად იცი. ხშირად უნდა დაეხმარო, შეუძლებელია სხვანაირად, რადგან შიმშილით იხოცება ხალხი და შენ კი იძულებული ხარ უკანასკნელი ნივთი დააგირავო, რომ ბავშვებს აჭარო.

ალშიბაიაც აქ არის. ვგონებ საქმეები კარგად ვერ წაუვიდნენ, საქმისა არა გაეგება რა და სულ კი იმის ცდაში არის, რომ საქმეები აკეთოს. შედეგი: – გაფლანგა აუარებელი ფული. გულით კარგი კაცია, ხოლო ხასიათის სიმტკიცე და საქმის უნარი აკლია.

ახმეტელი აქ არის. დიდ გაჭირვებას განიცდის ისიც. ასეთ წოდებულმა ქართულმა ბანკმა შენი ჭირი და ბევრი ხალხის ფული თან წაიღო. მას აქეთ რაც სტაბილიზაცია მოხდა, ყველა ამ მუწუკებმა იფეთქეს და გასკდნენ. აუარებელი ხალხი, განსაკუთრებით ისინი, ვინც თავიანთ გამდიდრებას ამყარებდნენ გერმანიის ავადმყოფობაზედ, გაკოტრდნენ.

ეხლა გადავიდეთ შენს საქმეებზედ. გიორგი, მე ხვალვე მივიღებ ზომებს, რომ საქმის მოწყობას შეუდგე. ვეცდები რაც შეიძლება მალე მოგაწოდო ნიმუშები მაინც. ხოლო ერთი საკითხი არის გამოსარკვევი. ძნელია აქედან საქონლის გაგზავნა, თუ ვაჭარს გარანტია არა აქვს, რომ იგი ფულს მიიღებს საქონლის მიღებისთანავე. ვგონებ, ისე უნდა იყოს მოწყობილი, რომ ვაჭარს უნდა ჰქონდეს ბანკის გარანტია, რომ როდესაც საქონელი მიღებულ იქნება, ის ფულს მიიღებს. თვით საქონელს, ყოველთვის მე თითონ ამოვარჩევ და საერთოდ გადავსინჯავ ხოლმე. დანარჩენს ყველას ისე მოვაწყობ, როგორც შენ იწერები. მე დიდის სიამოვნებით (ამაზე ლაპარალიც ზედმეტია) ვიმუშავებ შენთან. ვეცდები რაც შეიძლება იაფად დაგვიჯდეს. ჩემს გასამჯელოს (დასაწყისში ყოველ შემთხვევაში) მინიმუმამდე დავიყვან. კარგი იქნება, თუ მომაწვდი 1) შენგან რწმუნებულ ქაღალდს, რომ შენი ოფიციალური და ერთად ერთი კორესპონდენტი ვარ (ეს საჭიროა, რომ ფირმებმა ნდობით იმუშაონ ჩემთან) 2) კატალოგს მანდაური საქონ-

ლის ფასებისას (რომ ვიცოდე, რა არის ხელსაყრელი და რა არის წამ-  
გები).

ვიმეორებ, მე მივიღებ ყველა ზომებს. კარგი იქნება ცოტა ფული  
გვქონდეს ხელთ, რომ ბევრი საქონელი შემთხვევით ვიყიდოთ ხოლმე  
(აյ დიდი კრიზისია და ამიტომ ხშირად გაკოტრებული ქარხნის სა-  
ქონელი საჯაროდ იყიდება).

ვიმუშაოთ, გიორგი, იქნება მართლა რამეს მივაღწიოთ. მე არ  
დავაკლებ ენერგიას. შენი იმედი ხომ მაქვს და მაქვს. ამ რიგად მე და  
შენ ხშირ მიწერ მოწერაში ვიქნებით. სამწუხაროთ წერილი გვიან მი-  
დის. ვიკითხავ, და თუ ჰაერით უფრო მაღე მოდის, ჰაერით გამოგიგ-  
ზავნი ხოლმე.

თამარი ცოტა უკეთ არის. მათე მაღე გიმნაზიას გაათავებს.  
ლულუც ყოჩაღად არის. მოგიკითხეს სიყვარულით.

ხელზედ ამბორი და გულითადი სალამი შენს მეუღლეს. ჩემ-  
თვის საჭირო იყო “ღალატი” გადამეთარგმნა ფრანგულათ (რამდენიმე  
პირს წაუკითხე). რასაკვირველია თარგმანი ვერ არის საკმარისად კარ-  
გი (ჯერ ერთი, ფრანგული ენის დიდი ავტორიტეტი არა ვარ, მეორ-  
ეც, გადავთარგმნე რამდენიმე დღეში და ისიც თან ვთარგმნიდი და  
თან იმავე დროს მაშინაზედ ვწერდი). სამწუხაროთ, სულ ორი ეგზემ-  
პლარი დავწერე მაშინაზედ. ერთი მე მაქვს, ერთი სხვას მივეცი. რო-  
დესაც დროს ჩავიგდებ, კიდევ გადავწერ და შენ გამოგიგზავნი. შენი  
მეუღლე წაიკითხავს ალბათ. დარწმუნებული ვარ მოეწონება, რადგან  
ჯერ ერთი მართლა გენიალური ნაწარმოები არის და მეორე, – იგი  
არის კვიტესენცია ჩვენი ისტორიისა.

მაცნობე დუმბაძის მისამართი. აյ რომ იყო, ჩვენს სტუდენტებს  
დაპირდა დიდ ფულს. მინდა მოვაგონო.

შენი გიორგი კერესელიძე

G. Keresselidse

Kurfürstendamm 250. Berlin W.

New-York (City)

20. IX. 1924.

Park Ave. 471.

ძვირფასო გოგია,

დამიგვიანე დაპირებული წერილი, რადგან შენი ბარათის მეტი, რომელიც ხუმარაძემ ჩამომიტანა, აღარაფერი შენგან აღარა მომსვლია რა. მაგრამ ეხლა ალბათ ვისდა ახსოვს საქმეებზედ, როდესაც გვანადგურებენ, გვსპობენ, მიწასთან გვასწორებენ. ვერ წარმოიდგენ, როგორ ვიტანჯები, ღამეები არ მძინავს და არ ვიცი რა გავაკეთო, რითი დავეხმარო, რით მივეშველო. საშინელებაა ეს მანძილი, ეს სიშორე! მერე აქაურ გაზეთებითგან ხომ ვერას გაიგებს კაცი. ნეტა რა მოხდა, რა ხდება, რა არის მართალი? გეთაყვა, გოგიჯან, შენ მაინც შემატყობინე, რა მდგომარეობაა ჩვენში და როგორ მოხდა ყველა ეს. მე ლეოსაგან სტამბულიდგან მივიდე მოკლე წერილი. სწორედ რამდენიმე დღის წინად, ვიდრე აჯანყება დაიწყებოდა. პარიზში მიდიოდა. მაშ ალბათ არაფერი იცოდა, თორემ პარიზში რა წაიყვანდა. აქაურ გაზეთებში ას-ახელებენ მეთაურად ვინმე ანდრონიკშვილს<sup>37</sup>. რომელი ანდრონიკაშვილია? სოციალ-დემოკრატი? მაშინ რა ხეირი უნდა ჰქონოდა რამე საქმეს მაგ უვარებისებისაგან დაწყებულს. მოისპონ საქართველოს დამოუკიდებლობა და ეხლა სპობენ თვით ქართველ ერსაც! მერე ვინ არის ამის დამნაშავე და პასუხის მგებელი? რატომ ხალხი არ იკითხავს, რატომ არ მოსთხოვს ანგარიშს ბრალდებულებს! კიდევ რომ მათ უჯერის და მათ ყვება! პირდაპირ გაუგებარია ჩემთვის ჩვენი ერის ფსიქოლოგია. ყველა ეს უნდა მიეწეროს ჩვენს საერთო მოუმზადებლობას პოლიტიკურ დამოუკიდებლობისადმი. ამ 117 წელში ძალიან ცოტა იყო (უკეთ რომ ვთქვათ, არაფერი არა იყო რა) გაკეთებული. არავით-არი ორგანიზაცია, არავითარი მომზადებულობა. თვით იმედიც კი ჰქონდა დაკარგული ქართველ ერს, რომ როდისმე ის კიდევ მოიპოვებდა თვის დამოუკიდებლობას. ხომ გახსოვს ჩვენი მუშაობა სათავეში. არავის არა სჯეროდა და არამცთუ არ სჯეროდა, საქმის ჩაშლასაც

<sup>37</sup> იგულისხმება ქართველი სოციალ-დემოკრატი კონსტანტინე (კოტე) ანდრონიკაშვილი, 1923-1924 წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის თავმჯდომარე.

სცდილობდნენ ბევრნი, ვინც თავიანთ თავს “პატრიოტებად”  
სთვლიდნენ. ველი მოუთმენლად შენს წერილს.

ეხლა საქმის შესახებ. მართალია ხალისი სრულიად დამეკარგა  
რამე საქმის გაკეთებისა, მაგრამ მეორეს მხრივ, ამისთანა გაჭირვება,  
წინ რომ მოგველის, უფრო საჭიროა მუშაობა, რაიმეს გაკეთება, რომ  
მატერიალურად მაინც შეგვეძლოს ვისმეს დავეხმაროთ. მე შენ პირ-  
ველ საქმის წერილში გწერდი, რა საქონელიც მაინტერესებდა. გაგიმე-  
ორებ, რომ უფრო კარგათ გქონდეს წარმოდგენილი, თუ რა გვარის  
საქონელი მჭირია, აგიწერ თვით დუქანს (მაღაზიას). ავიღე პატარა  
ოთახი ძალიან კარგ ქუჩაზედ (Madison Ave, 545) საუკეთესო ალაგას,  
სადაც ირგვლივ მშვენიერი მაღაზიებია. დუქანს დავარქვი დიდი ასო-  
ებით Rouge et Noir<sup>38</sup> და ძირს პატარა ასოებით: Antiquités, objets d'art,  
cigarettes, parfumes<sup>39</sup>. მასასადამე ძველი ნივთები, ახალი ნივთები  
(მხატვრული ნამუშევარი), პაპიროსები და პარფიუმი. უმთავრესი ყუ-  
რადღება ექნება მიქცეული, რასაკვირველია, ორ პირველ საგანს. პაპი-  
როსები არის მიმზიდველი მასალა. მთელი ოთახი იქნება გამართუ-  
ლი როგორც ლამაზი პატარა სალონი, კოხტა მაგიდებით და „კომ-  
ფორტაბილი“ სკამებით და საჯდომებით, სადაც ყველა სტუმარს შე-  
ეთავაზება პაპიროსი მოსაწევად (უფულოდ). ყველა ჩემ ნაცნობებს და  
არა ნაცნობებს გაეგზავნებათ ამ გვარი დაპატიუების ბარათები, რომ  
მათ სეირნობის Shopping-ის (ე.ი. როდესაც დადიან საყიდლად) დროს  
შეეძლებათ დაისვენონ ჩემს დუქანში და მოსწიონ პაპიროსი. ეს აქ სა-  
შინლად უყვართ, ე.ი. მოწევა და ამ გვარი ალაგი კი ჯერ მთელ ნიუ-  
იორკში არ არის. მერე ამორჩეული ალაგიც სწორედ შუა გულშია იმ  
მაღაზიების, სადაც მდიდარი ამერიკელები, მეტადრე მანდილოსნები  
დადიან ერთი მაღაზიდან მეორეში. ასე რომ თუ ღმერთი დამეხმარა,  
საქმე არ უნდა წავიდეს ცუდად. მთელი დუქანი მზადდება ამ ორ  
ფერში, qui seront predominantes<sup>40</sup>. დაკვეთილი პაპიროსები და ყუთები  
ამ გვარივე სტილით. 15-ში ან 16-ში იმ თვისას (ოქტომბერში) იქნება  
დუქნის გაღება. – ეხლა შენი თხოვნის შესახებ, – გამოგიგზავნო ოფ-  
იციალური ქაღალდი. ამ ქაღალდს მე შენ გამოგიგზავნი ამ მოკლე  
ხანში, როდესაც გავათავებ ფორმალურ საკითხებს მივცე ჩემს საქმეს

<sup>38</sup> წითელი და შავი (ფრანგ.).

<sup>39</sup> ანტიკვარი, ხელოვნების საგნები, სიგარეტები, პარფიუმერია (ფრანგ.).

<sup>40</sup> რომლებიც იბატონებენ (ფრანგ.).

აქციონერული ხასიათი. რაკი მე არ მაქვს იმდენი ფული (ისიც სხვა-  
 გან ვისესხე, როდესაც საქმეს ვიწყებდი), რომ ამ საქმეს მარტო გავუძ-  
 ღვე, ამიტომ მინდა 1/3 აქციებისა ჩემს ნაცნობ-მეგობრებს უმიზუიდოს<sup>41</sup>  
 რომ ამით ცოტა დასატრიალებელი ფული მქონდეს. საქმეს ვაფასებ  
 5.000 დოლარად, ე.ი. ეს იქნება აქციონური თანხა, აქედან 3.000 დო-  
 ლარის აქციები ჩემს ხელში იქნება, ორი ათასი სხვისას (რასაკირვე-  
 ლია, ყველა ამას გწერ მხოლოდ შენ, საკუთარი ინფორმაციისათვის,  
 და არავისთვის-სხვისთვის). მანდედგან მჭირია იმ ტიპის საქონელი  
 (surtout original)<sup>42</sup>, რომელიც ჰქონდა ერთ დროს Van Fanten-ს ბერლინ-  
 ში, Unter den Linden-ზედ, ბრისტოლის სასტუმროს და ფრიდრიხშტა-  
 სეს შუა, პასაუთან ახლოს. ალბათ შენც იცოდი ეს მაღაზია. მგონი ახ-  
 ლაც არსებობს. საჩუქრები: პორტსიგარები, ყუთები (პაპიროსისთვის,  
 ან სხვა რაიმე ნივთებისათვის, როგორც პუდრის, ტკბილეულობის და  
 სხვა. ეს sendriers originales, les bibelots amusants de toutes espèces<sup>43</sup>. აგრეთ-  
 ვე ლამაზი ქალების ხელში დასაჭერი პატარა პარკები, როგორც ტყა-  
 ვისა, ისე აბრეშუმისა. აგრეთვე ტყავის ნივთები, მაგრამ ყველა ეს ახ-  
 ალი ტიპის და ახალი ფორმის. გადაიკითხე ჩემი პირველი წერილი,  
 რომელშიც დაწვრილებით გწერდი გამოგზავნის პროცესს. შენ მკით-  
 ხავ, – აქ რა ფასებია; – ამის პასუხი ძალიან ძნელია, რადგან ეს საქო-  
 ნელზედ არის დამოკიდებული და მის ნამუშევარზედ. აი, მაგალი-  
 თად, საშინლად კარგად წავა აქ პატარა ქალების პორტსიგარები, სხვა  
 და სხვა ფერის ემალით მოჭედილი. ომის წინ პეტროგრადში იყო გა-  
 მოჩენილი ამ ნივთებით Tabergé. ამას ძალიან კარგად აკეთებენ ჩეხო-  
 სლოვაკიაში. მომეტებულად, ეს ემალით მოჭედილი პორტსიგარები  
 არის ვერცხლის, რადგან ოქროზედ ემალის მოჭედვა ძალიან ძნელია  
 და ამიტომ ძვირი. მაგრამ ვერცხლს მერე დაქრამენ, და როგორც ოქ-  
 რო ისე გამოიყურება. ამისთანა პორტსიგარები გაიყიდება აქ დაახ-  
 ლოვებით 20-25 დოლარად. მაშასადამე, მანდ არ უნდა ღირდეს 7-8  
 დოლარზედ მეტი, რომ კაცმა მოიგოს რამე, რადგან 100 % უნდა იან-  
 გარიშო ბაჟი და ტრანსპორტი. თუ ძალიან ლამაზი და ორიგინალურ-  
 ია, მაშინ შეიძლება 10 დოლარამდის მისცე, მაგრამ არა ამაზედ მეტი.  
 მე, ამნაირი მეტად კოხტა პორტსიგარი, ამ ორი წლის წინად იტალია-

<sup>41</sup> მთავარია, - ორიგინალური (ფრანგ.).


<sup>42</sup> ორიგინალური საოუთუნეები, სხვადასხვანაირი გასართობი ნივთები (ფრანგ.).

ში 200 ლირად მაღაზიაში ვიყიდე. თუ ბევრს ვიყიდით, მაშინ ხომ ნაკლები უნდა გადავიხადოთ. თუ ოქროსი იქნება, მაშინ დამოვიდებულია თუ რამდენია შიგ ოქრო, მაგრამ ჯერ ეს საჭირო პრ არის. როგორც ზემოთ გითხარი, ჩეხო-სლოვაკიაში აკეთებენ ძალიან კარგი ამისთანა ემალით მოჭედილ საგნებს. მანდ ალბათ ეყოლებათ წარმო-მადგენელი, ან მაღაზია. გამიგე და დაუკვეთე 25 ცალი, სხვა და სხვა ფერისა. შენთვის მიმინდვია არჩევანი. თუ ფასები ძალიან განირჩევა ჩემგან მოცემული ფასებისაგან, მაშინ, რასაკვირველია, მხოლოდ 5 ცა-ლი გამოგზავნე. ვცადოთ, როგორ გაიყიდება. მოდი, ჩვენ საცდელად ასე მოვიქცეთ: ჯერ ჯერობით გამომიგზავნე 500 დოლარის საქონელი იმ საგნებისა, რომელიც ზემოთ და ჩემ პირველ წერილში ჩამოვთვა-ლე. ყველას კი ამ პორტსიგარებს ვამჯობინებ. ფულის გადახდას თუ შემდეგ პირობებზედ მომიხერხებ, მაშინ ხომ ერთბაშათ რამდენიმე დღეში შეგიძლიან მიყიდო ყველაფერი და გამომიგზავნო. პირობები ეს შემდეგია. ნახევარს, ესე იგი 250 დოლარს, გადვიხდი ან დაკვეთის დროს, ან, თუ შეგიძლიან მოახერხო, საქონლის ჩამოსვლის და მიღე-ბისას. მეორე ნახევარი ორი თვის შემდეგ საქონლის მიღების შემდეგ. მაშასადამე, თუ არ მოხერხდა, რომ პირველი ნახევარი გადვიხადო საქონლის ჩამოსვლისას, და საჭიროა დაკვეთის დროს, მაშინ მაცნობე დეპეშით და მაშინათვე გადმოგიგზავნი ამ 250 დოლარს, მეორე ნახე-ვარი კი უნდა გადვიხადო ორი თვის შემდეგ საქონლის მიღების შემ-დეგ. ჩემი ბანკია: Bankers Trust C°. Madison Ave. and 57 street. ასე რომ ამ ბანკისაგან შეუძლიათ გაიგონ ჩემი საქმის ვითარება, ვინც მოისურ-ვებს. გარდა მაგისა, ამ ბანკის სახელზედ შეუძლიან გამოგზავნონ სა-ქონელი, თუ პირველი ნაწილი აქ ჩამოსვლისას უნდა გადავიხადო. მე მგონი, რომ ყველაფერი ეხლა გასაგებია, მით უმეტესად, რომ პირველ წერილშიაც ყველაფერს დაწვრილებით გწერდი. მე იმედი მაქვს, რომ ამ პირველ საცდელ დაკვეთას მოყვება მეორე, გაცილებით უფრო დი-დი თანხისა, და ჩვენ შორის გაიმართება ნამდვილი საქმიანი კავშირი. შენს გასარჯელად ამ პირველი გამოგზავნისთვის გადაგიხდი 25 დო-ლარს ე.ი. 5 % დაკვეთილი თანხიდან და თუ კარგი შედეგი მოყვა, ნაწილს დაგიდებ აგრეთვე მოგებაშიაც, ეს იმაზედ არის დამოკიდე-ბული, თუ საქონელი კარგ მოგებით აქ გაიყიდა. ამიტომ შენი ინტე-რესი იქნება, ეცადო რაც შეიძლება უფრო იაფად იყიდო მანდ საქო-ნელი. ამ შემთხვევაში, თუ ჩემგან მიიღებ სასყიდელს, ის პირობა, რომ შენ გეანგარიშნა შენი % გასაყიდ ფასში, როგორც ჩვენ წინად გა-

ვიფიქრეთ, ისპობა. შენ მიგზავნი საქონელს ნაყიდ ფასებში და გექნება ჩემგან %, როგორც ნაყიდ საქონლის თანხიდგან, ისე მოვებიდგან. ასე რომ, შენ იქნები ჩემი ბერლინის კორესპონდენტი. საქონლის განმოგზავნა კი თუ ისევე დამიგვიანე, როგორც წერილები, მაშინ, რასაკვირველია, არაფერი არა გამოგვივა რა. არ დაგავიწყდეს საქონლის ფიქტიური (დაბალ-ფასებიანი) ანგარიში გამოატანებინო, და მე, კერძო წერილით, ნამდვილი ფასები, ე.ი. კონოსამენტებს უნდა გამოაყოლო ეს ფიქტიური ანგარიშები. ჩემ კერძო ბინაზედ კი, – Park Ave 471, – გამოგზავნო ნამდვილი ანგარიშები. მაშ ეგრე გოგიჯან, ველი შენგან საჩქარო პასუხს და საქონელს. დეპეშა ორი სიტყვით: Matchabelli Park Ave 471, New-York, გამოგზავნე. მაშასადამე მეცოდინება, რომ გაქვს საქონელი მზად და ელი ჩემგან 250 დოლარს. თუ მოახერხე გამოგზავნა აქ გადაგიხდით. მაშინ გამოაგზავნეს მაგივრად მომწერ გიგზავნი. თუ ვერაფერი ვერა მოახერხე რა, მაშინ გზერ. ასე რომ მეცოდინება, მივიღებ შენგან რაიმე საქონელს, ან რა პირობებით, თუ არა. ყველა დეპეშის ხარჯებს მე გადვიხდი, შენ მხოლოდ ცალკე წიგნში აწარმოვე ეს ანგარიშები. რა კარგი იქნება, თუ ეს პირველი გამოგზავნა ოქტომბრის გასულს ან ნოემბრის პირველ რიცხვებში მივიღე. თუ ხელ-საყრელი გამოდგა, მაშინ საშობაოთ უფრო დიდ დაკვეთას დეპეშით გაცნობებ. ეხლა ყველაფერი შენზედ არის დამოკიდებული, მანდ როგორ დატრიალდები და საჩქაროდ ყველაფერს მოაწყობ. საქონლის გამოგზავნისთვის უნდა ძალიან კარგ ფირმას მიმართო. მაშ, გავათავებ ამ წერილს. დამილოცნიხარ ძმაო, იქნებ მართლაც რამე გამოვიდეს. ჩემმა ცოლმა თქვენ ორივეს გულწრფელი სალამი მთხოვა გადმომეცა, მეც თამარას ხელზედ ვაკოცებ და შენ ლოყაზედ.

შენი ერთგული  
გიორგი მაჩაბელი  
ძალიან მიამა, რომ შენი ბიჭიკოები (უკეთ ვაჟკაცები) კარგათ სწავლობენ და ეგრე წინ მიდიან. შენ რა გიჭირს, ორ-ორი ვაჟკაცი გეზრდება, ჩვენ, ოთხი ძმებიდგან, ორნი ღა დავრჩით და ისიც უშვილონი. მახლას! ვერ გამოვდექით კარგი მაჩაბლები. ხომ იცი ერთი ანდაზა მაჩაბლებზედ? – სამწუხაროდ ხუმრობის გუნებაზედ არ ვართ!

დღეს გადავწყვიტე 5 % მოგების ჩემი საქმიდგან ოფიციალურად საქართველოს თავისუფლებისთვის მებრძოლთა ოჯახებისათვის გადავწევ დო<sup>43</sup>.



## Georges Mamoulia

### Genesis of the ideology of the Georgian émigré organization “Thethri Giorgi” Recently discovered correspondence of Giorgi Matchabelli and Giorgi Keresselidze (1923-1924)

#### Summary

The present publication includes the correspondence of Giorgi Matchabelli (1885-1935) and Giorgi Keresselidze (1885-1960), well-known political figures of the Georgian emigration and former members of the Comity for the Liberation of Georgia during the First World War (1914-1918). Covering the years of 1923-1924, one of the crucial period of the History of the recently occupied Georgia, this correspondence sheds new and additional light on the numerous aspects of the history of the Georgian antibolshevik political organizations and parties in exile, containing valuable information on the genesis of the ideology of the Georgian right-wing émigré organization “Thethri Guiorgui”.

<sup>43</sup> გიორგი მაჩაბლის აზ წერილს თან ერთვის გიორგი კერესელიძის შემდეგი კომენტარი: “გიორგის ეს აჯანყება (იგულისხმება საქართველოში მომხდარი 1924 წლის აგვისტო-სექტემბრის ეროვნული ანტიბოლშევეკიური აჯანყება, - გ. მ.) მისწნდა ეროვნულ კატასტროფად და მის მოწყობას სოცლის სოციალ-დემოკრატიის დანაშაულობად”.

## ირინა ასათიანი

# გიორგი მაჩაბელი – პარფიუმერული წარმოების პიონერი ამერიკის შეერთებულ შტატებში

გიორგი მაჩაბელი საქართველოში უფრო ცნობილია, როგორც 1914 წელს ევროპაში შექმნილი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის წევრი და სამშობლოს თავისუფლებისათვის ენერგიულ მებრძოლი, საზღვარგარეთ კი მისი სახელი ძირითადად პარფიუმერიის წარმოებას უკავშირდება.

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, როდესაც ამერიკის შეერთებული შტატების არმიებმა ევროპა დატოვეს და სამშობლოში ბრუნდებოდნენ, ჯარისკაცებმა საჩუქრებად და სუვენირებად თან წაიღეს სხვადასხვა ფუფუნების ნივთები, რაც ჯერ კიდევ უცხოიყო ამერიკისათვის. ეს იყო, პირველ რიგში, საფრანგეთში ასე ტრადიციული სუნამოები და პარფიუმერიის საგნები. ამის შედეგად ფრანგული ლუქსი შეიჭრა ამერიკელთა ყოფაში, განსაკუთრებით ძვირფასი ფრანგული პარფიუმერია, რომელსაც ყოველთვის გამორჩეული ადგილი ეჭირა ფრანგულ კულტურაში. ასე აღმოჩნდა ფრანგული სიმბოლოები ამერიკულ ბაზარზე, რაც ადგილობრივი კომერციის-ათვის სრულიად ახალი და ძალზე პერსექტული დარგი გამოდგა.

20-იანი წლების ამერიკის ეკონომიკაში საოცარი ინტენსიურობით ვითარდება სამანქანო და სამშენებლო ინდუსტრია, რომელთა გვერდით ყვავის და ახალ ეკონომიკურ ძალას იკრებს კოსმეტიკური წარმოება.

ევროპაში და კერძოდ საფრანგეთში, ომის შემდგომ პერიოდში, ფრანგულ ინდუსტრიაში იშვიათი ძალისხმევით იწყო ადგილის დამკვიდრება პარფიუმერიამ. მისმა ასეთმა სწრაფმა განვითარებამ დაბადა სურვილი, გასულიყვნენ ამერიკის ბაზარზე და იქ, ამერიკისთვის ასეთ ოპტიმისტურ პერიოდში, უფრო მყარად დაემკვიდრებინათ საკუთარი მარკები. ისე როგორც ხელოვნება, პარფიუმერიაც ამ წლებში გამოირჩევა თავისი ექსტრავაგანტური ხასიათით, სიახლის ძიებით, მრავალფეროვანი სტილური მიმართულებით. პარიზი იყო ცენტრი, სადაც ყალიბდებოდა და ვითარდებოდა ავანგარდისტული იდეები.

ასეთ ფონზე ქართველი ემიგრანტი გიორგი მაჩაბელი ეპროპი-დან მიემზავრება ამერიკაში თავის მეუღლე, იტალიელ მსახიობს „*ნიუი დი სინა*“ ჯილისთან ერთად. ნორინა ჯილი მიწვეულია ბროდვეის თე-ატრში და მთელ დროს ბროდვეიზე ატარებს. რეპეტიციებსა და წარ-მოდგენებს შორის ბროდვეის ბოჰემურ ცხოვრებას ეცნობა. ამ პროპი-ბიციის პერიოდში, ამ უბნის „ორგანიზაცია“, მისი ალკოჰოლით მომა-რაგება, კაბარების კონტროლი, სიმშვიდის შენარჩუნება, მთლიანად ბოოტლეგერების ხელშია და ისინიც ელეგანტური, განგსტერული მა-ნერებით ამყარებენ წესრიგს. ხსნიან და აკონტროლებენ კლუბებს, პატრონობენ ახალგაზრდა მსახიობებს, ფლო ზიგფელდის ულამაზეს ქალიშვილებს. მუშაობის სიმშვიდე გარანტირებულია საუკეთესო საყ-ვარლებისთვის.

ბოოტლეგერების კაბარე-კლუბები ხშირად ახალგაზრდა, მდიდა-რი ქალების გემოვნებით კეთდება. ამ პერიოდში ნიუ-იორკის ქალი გამოირჩევა თავის დამოუკიდებლობით. ყოფილი მეუღლისაგან ან მა-მისაგან მიღებული სიმდიდრე ხელს უწყობს მისი პიროვნების სუვე-რენულ განვითარებას. გასართობად კლუბებში უყვარს სიარული, სა-დაც იკრიბება ხელოვნების, თეატრისა და კინოს ნაღები. მათ ხელშე-უხებლობას ბოოტლეგერები გარანტირებენ, ეს მშვენიერი ქალები კი თავიანთ მფარველებს დახვეწილი გემოვნებით კლუბებს უფორმებენ.

ამერკაში ჩასული გიორგი მაჩაბელი 1924 წელს, ნიუ-იორკში, 545-ე მედისონის ავენიუზე ხსნის პატარა ანტიკვარულ მაღაზიას სა-ხელწოდებით „Rouge et Noir“, როგორც ჰქვია მისი საყვარელი მწერ-ლის სტენდალის რომანს.

გადის დრო, მუშტარი არც ისე ბევრია და გიორგი მაჩაბელიც მაღაზიაში თავს მოწყენილად გრძნობს. ნორინამ ეს შეამჩნია, მოეთ-ათბირა თავის მეგობრებს, ნიუ-იორკის ელიტის წარმომადგენლებს (მათ შორის იყო მერსედეს დე აკოსტა – მწერალი და ცნობილი თა-ვისი მეგობრობით გრეტა გარბოსთან, მარლენ დიტრიხთან, სესილ ბეატონთან). ეს მეგობრობა დროთა განმავლობაში კიდევ უფრო გაღრ-მავდება. ქალები ერთგულნი იქნებიან მაჩაბლის სუნამოსი, ხოლო სე-სილ ბეატონი შეასრულებს თანამედროვე, ლეგენდარულ დიზაინს გი-ორგი მაჩაბლის საპარფიუმერიო ბუტიკ-სალონში) და შეთანხმდნენ, რომ შეივლიან გიორგისთან მაღაზიაში, ვითომ შემთხვევით, დაათვა-ლიერებენ, იქნებ შეიძინონ კიდევ ნივთები და გიორგიც უფრო ადვი-ლად შეეგუება თავის ახალ ცხოვრებას.

გიორგის შარმი გაუთვალისწინებლად ძლიერი აღმოჩნდა. მე-  
გობარი ქალები უკვე საკუთარი სურვილით და ხშირად დაიკარებიან  
მასთან. გიორგის ედიმება ამ ლამაზი, თამამი ნიუ-იორკელების მანე-  
რებზე, გარეგნობაზე და სწორედ ამ დროს შეამჩნია, რომ მათ გულზე  
დაბნეული აქვთ ცოცხალი ყვავილების პატარა თაიგული, როგორც  
გულსაბნევი. ჯერ დეკორატიული ელემენტი ეგონა, იგრძნო თუ არა  
ძლიერი სუნი, მიხვდა რომ, ამ ქალებს სუნამო სჭირდებათ ისევე,  
როგორც „პომადა“, როგორც „პუდრი“, როგორც ჩარლსტონი. „სუნა-  
მოს შეშხაპუნება, საკუთარი კვალის დატოვება – აი, რა აკლიათ და  
რა უნდათ ამ ქალებს“.

გიორგი პარიზში ცხოვრების პერიოდში მუშაობდა ცნობილი  
ფრანგი პარფიუმერის ფრანსუა კოტის ლაბორატორიაში. მას შეეძლო  
სწრაფად ეშოვა ფული, ემუშავა კოტისთან სუნამოების სუნის დასახ-  
ვეწად. ახლა კი ნიუ-იორკში, თავისი ანტიკვარული მაღაზიის სამზა-  
რეულობში, ახლად შეძნილ ზეთებს სინჯავს და თავს იმტვრევს სა-  
კუთარი სუნამოს ფორმულის შესაქმნელად. როგორც წესი, ყოველ  
დღე მისი ქალები მოდიან ბუტიკში კეკლუცი სიცილით. ერთ დღეს  
კი გიორგი მათ დახვდა მოულოდნელი სიურპრიზით. ხელში უჭირ-  
ავს სააფთიაქო ფორმის ბოთლი. დაინტრიგებულ, ცნობისმოყვარე მან-  
დილოსნებს ჯერ ბოთლს უჩვენებს, შემდეგ ნელი მოძრაობით თავსა-  
ხურს მოხსნის და ბოთლს გაუწოდებს. მანამ ქალები ყნოსავდნენ და  
ნეტარებით თვალებს ნაბავდნენ, გიორგი მხატვრული ტონით და თე-  
ატრალური ჟესტით წარმოსთქვამს: „ბერგამოტის და მუხის ხავსი,  
გამთბარი ცისტი – ლაბდანუმით, დამშვენებული ფაჩულით და კას-  
ტორეულმით“. ეს არის ცნობილი პირველი სინთეზური სუნამოს კომ-  
ბინაცია, რომელიც შეიმუშავა ფრანსუა კოტიმ XX საუკუნის 20-იან  
წლებში. 1921 წელს ერნესტბო ქმნის „Chanel N5“. კოკო შანელის ეშ-  
ხით მოხიბლულმა, „ჩაიჭირა“ და პატარა ბოთლში „დაამწყვდია“ სა-  
უკეთესო და უჩვეულო ელემენტები. ბუნებრივი ყვავილების და ქი-  
მიური ალდეპიდის სინთეზი, რომელმაც თავისუფალი აფროდიზიაკ-  
ული ხასიათით ამერიკაც დაიპყრო.

ამ დღეს გიორგის თვალწინ დაუდგა მისი არაჩვეულებრივი პა-  
რიზული გამოცდილება. თავისდაუნებურად მისი „ცხვირი“ თავის  
ოლფაქტურ მეხსიერებას დაეკითხა და ადრე „დაჭერილი“ ახლა გაიხ-  
სენა. საჭირო ნივთიერებები აფთიაქში შეიძინა და ამ სხვადასხვა ელ-

ემენტიდან შექმნა ერთი „ალქიმიური“ ნაყენი, რომელიც სუნამოდ გადაიქცა რამდენიმე დღეში.

როგორც კი ქალებმა მიიღეს და შეიყვარეს ეს უჩვეულო სუნამო, დაიწყო გიორგის აღიარებაც და ქართველი თავადი ჩამოყალიბდა პარფიუმერად. გიორგის აღმოაჩნდა იშვიათი პარფიუმერული ნიჭი. მისი „ცხვირი“ არის მგრძნობიარე, აქვს უნარი შეიგრძნოს ის, რაც გავლენას იქონიებს ადამიანის გემოვნებაზე. მისი უნიკალური ოლფაქტური ანუ ყნოსვითი მახსოვრობა უსწრებს მოდის ტენდენციას. გიორგის მთავარი მისწრაფებაა, შეძლოს სურნელით გამოხატოს ემოცია. მუშაობის პროცესში გიორგის „ცხვირი“ დიდდება ყოველდღიურად. იგი გრძნობს, რომ ყველაფერი შეიძლება ითარგმნოს ოლფაქტურ ენაზე. ამასთან, ფრთხილობს, არ დარჩეს ერთი და იგივე ჩვევების ტყვეობაში, თუმცა გამუდმებით სიახლის ძებნაც სარისკო საქმეა და შეიძლება ფატალურიც კი აღმოჩნდეს, რადგან ფანტაზიას საზღვარი არა აქვს, ხოლო ადამიანური შესაძლებლობები ზღვარდადებულია.

გიორგიმ თავისი ანტიკვარული მაღაზია „Rouge et Noir“ გადააკეთა სუნამოს მაღაზიად, სადაც ერთ ნაწილში ამზადებს კონცენტრატს, მეორე ნაწილში კი კლიენტებს იღებს, როგორც მაღაზია-სალონში.

1927 წელს გიორგი მაჩაბელი ქმნის თავის პირველ მხატვრულ სუნამოს „Princess Noriva“ – მეუღლის, ნორინას პატივსაცემად. აქედან იწყება ვნებით და სიყვარულით სავსე პარფიუმერიის საგა. მისი სუნამო გამოირჩევა განუმეორებელი თვისებებით, რადგან მუზა, მისი ნორინა, უჩვეულო ვნების გამოხატულებას პოულობს ამა ჯადოსნურ პროდუქტში.

ბროდვეის ბოჰემური ჰაერი სამშობლოსაგან დაშორებულ თავადს ძალას აძლევს, გამოხატოს საკუთარი გულისტკივილი, ამავე დროს პატივი სცეს თავის სათაყვანებელ ქვეყანას და მსფლიოსთვის ცნობილი გახადოს მისი სახელი – ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო. ამიტომაც გიორგი მაჩაბელის სუნამოების სახელები „Queen of Georgia“, „Abano“ სამშობლოსადმი მის დიდ სიყვარულს გამოხატავს. მიგნებული ფორმები, გვირგვინები კი ნატიფი გემოვნებით არის შესრულებული და ხელოვნების ნიმუშს განეკუთვნებიან. სწორედ ამ გვირგვინებშია ეკონომიკური და არტისტული წარმატების საიდუმლო. ეს გვირგვინები გახდიან ცნობილს გიორგი მაჩაბელის სუნამოს ჯერ ნიუ-იორკში, შემდეგ პარიზსა და ტოკიოში. მისი ბრენდი მოინათლა „Prince

**Machabelli** “ის სახელით. იშვიათი არტისტული ინტუიციით გიორგის ქმნილება განსხვავდება ეწ. მოდერნული, მრავალსახოვანი სტილისათვის გან, როდესაც ყველა პარფიუმერი ცდილობს შექმნას უფრო და უფრო ექსტრავაგანტული გარეგნობის სუნამო. გიორგი მაჩაბელმა სრულიად განსხვავებული ხაზი აირჩია. არ შეუშინდა და დინების საწინააღმდეგოდ წავიდა, რასაკვირველია, მთავარი კოდების შენარჩუნებით. მისი არჩევანია ერთი ფორმის გვირგვინი, იშვიათი იუველირული შესრულებით, რომელიც თამამად ეპაექრება ელზას სკაპარელის და სალვადორ დალის ცნობილ „Roi Soleil“. „სამეფო გვირგვინი“, როგორც ფლაკონი, დამზადებულია ნახევრადინდუსტრიული მეთოდით, რომ მისი ღირსება უფრო მაღალი ყოფილიყო და მართლაც, იგი ხელოვნების საგანთან უფრო ახლოს არის, ვიდრე ჩვეულებრივ ბოთლითან. თავისი ესთეტიკით ეს ფორმა „Art Deco“-ს ერთ-ერთი ყველაზე არტისტული ქმნილებაა. საოცრად დახვეწილი და ტექნიკურად ურთულესი ფორმის გვირგვინი მოოქროვილია, ხან მომინანქრებულია. ყველა ფლაკონი თავის სახელს ატარებს და განსხვავებულ სუნამოს შეიცავს. მისი გენი სწორედ აქ, ამ კონფლიქტში აღმოჩნდა ყველაზე ავანგარდული, რადგან დღეს, XXI საუკუნეში, პარფიუმერიის მიმართულებაში დომინირებს ერთიანი დიზაინი, ერთი ფორმის ბოთლის გამოყენება სხვადასხვა ხასიათის სუნამოებისათვის. ეს იყო დრო გაუღენთილი შემოქმედებით და გიორგი მაჩაბელი არის ერთ-ერთი პიონერი, რომელმაც გააოცა და შეაყვარა ამერიკელ ქალებს ფრანგული სუნამო.

1928 წელს გიორგი მაჩაბელს უჩნდება გენიალური და უნიკალური იდეა - სააბაზანო ზეთი - სახელად „Abano“, და პირველმა შესთავაზა ქალს ახალი სიამოვნების მიღება. ასე ჩნდება პირველად პარფიუმერული ზეთი აბაზანისათვის. მომდევნო წელს მას უერთდება სუნამო იგივე სახელით. ეს არის მაჩაბლის პირველი შედევრი, რომელიც აბაზანის პროცესს გარდაქმნის მშენებელი ლუქსისა და ნებივრობის მომენტად. სუნამოს ნოტები აღმოსავლურია და გამთბარია ეგზოტიკური სუნელებით. ეს არის ახალი კონცეპცია.

გიორგი მაჩაბელის გარდაცვალებიდან ორი წლის შემდეგ, 1937 წელს პარიზული ჟურნალი „Vogue“ აქვეყნებს სპეციალურ სტატიას, მიძღვნილს ახალი ამერიკული ტენდენციისადმი პარფიუმერიში, როგორიც იყო სააბაზანო ზეთი.


ნორინამ კომპანია „Prence Matchabelli“ გაყიდა 1936 წელს 250000 ამერიკულ დოლარად. ახალმა მფლობელმა საუნ განზმა 1940

წელს კომპანია გადაყიდა ცნობილ ქიმიურ ფირმაზე „Vicks Chemical Company“. წლების განმავლობაში გიორგი მაჩაბლის ფირმაში რამდენჯერებჯე გამოიცვალა მფლობელი, დღეს კი იგი ეკუთვნის ამ ერთული პარფიუმერიის ჯგუფს „Parfum du Coeur“.

გიორგი მაჩაბლის შექმნილი სუნამოებიდან განსაკუთებით აღსანიშნავია: „Violetta de la Reine“ (1924), „Ambre Royal“ (1927), „Imperial Violet“ (1927), „Princess Norina“ (1927), „Queen of Georgia“ (1927), „Queen of Nile“ (1928), „Queen of Egypt“ (1928), „Queen of Babilon“ (1928), „Abano“ (1928), „Ave Maria“ (1928), „Princess Maria“ (1928), „Duchess of York“ (1934), „Stravidari“ (1935), „Wing song“ (1935), „Muguet“ (1935), „Lilac“ (1935), „Honeysuchky“ (1935), „Caznation“ (1935), „Beloved“ (1935), „Opaline Noir“ (1935), „Opaline Blanche“ (1935), „Opaline Reuge“ (1935), „Cidden Autumn“ (1935), „Injanta“ (1935), „Added Attraction“ (1935).

1993 წელს, პარიზის მერვე უბანში, ცნობილ ფრანგ დიზაინერთან ერთად დავაარსეთ პარფიუმერულ კომპანია სახელწოდებით „Creative Parfum“. ჩვენ ვქმნით, ვაწარმოებთ და დისტრიბუციას ვუკეთებთ საკუთარ ბრენდებს მსოფლიო მასშტაბით. მუშაობის დაწყების პირველივე წელს, როდესაც პარფიუმერიის კლასიკას ვეცნობოდი, შევჩერდი უჩვეულო სილამაზის მქონე სუნამოზე. სახელი რამდენჯერმე წავიკითხე, რადგან ქართულს გავდა და მეგონა მომეჩვენა. არ ყოფილა არც მოჩვენება, არც ნოსტალგიის შედეგი, ეს იყო „Prince Machabelli“ და მისი სუნამოს სახელწოდება „Queen of Georgia“. ამ წუთიდან ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან, უნდა შევხებოდი ამ სუნამოს, მაგრამ იმ დროს ეს წარმოუდგენელი იყო: ერთი რომ, „Prince Machabelli“ აღმოჩნდა უძლიერესი ამერიკული ფირმის საკუთრებაში და მეორე, ამ ამბავმა საქართველოში არანაირი ინტერესი არ გამოიწვია. მაგრამ მე მაინც მასზე ფიქრი არ მშორდებოდა. ერთ დღეს საქართველოდან ვიღებ პროფესორ ოთარ ჯანელიძის წიგნს „სპირიდონ კედია. მასალები პირადი არქივიდან“, რომელიც უნდა მივაწოდო პარიზში სპირიდონის ქალიშვილს, ქალბატონ თეო კედიას. ქალბატონი თეო, ჩემი პირველი მეუღლის ნათესავია და მე მხვდა მასთან შეხვედრის მისია.

პარიზული ცხელი ცხოვრება მუშაობით დატვირთულია, ვერ ვპოულობ დროს, რომ მივაღწიო ქალბატონ თეომდე. ინტერესმა მძლია და თვალი გადავავლე წიგნს. 15 წლის შემდეგ იგივე სცენა



დატრიალდა, ვკითხულობ და მგონია მეჩვენება. ჰოი საოცრებავ, ხელთ მაქს ყველაზე ძვირფასი, წარმოუდგენელი, არარეალური მასა მარტინ წერილები გიორგი მაჩაბლისა სპირიდონ კედიასადმი. მთავარზე მთავარი არის შემდეგ, როდესაც დაინტერესებული ვუკავშირდები ავტორს, ჩავდივარ სპეციალურად თბილისში მასთან შესახვედრად და მისგან ვიღებ იმ ხელნაწერებს, სადაც გიორგი მაჩაბელი წერს სპირიდონ კედიას თუ როგორ ქმნის საყოვეთაოდ ცნობილი და პოპულარული სუნამოების ფორმულებს. ახალი განუბორციელებელი აზრებიც, მისი ხელით ნაწერი, მოხვდა ჩემთან. ეს ბედნიერი დამთხვევა არ არის შემთხვევითი, იგი უნდა მომხდარიყო, რომ ამდენი წნის შემდეგ გიორგი მაჩაბელი გამხდარიყო ცნობილი საქართველოს-თვის, როგორც მსოფლიო პარფიუმერიის გიგანტიც და მსოფლიომაც გაიგოს, რომ ეს გიგანტიც დაიბადა და გაიზარდა მდ. ლიახვის პირას, სოფელ თამარაშენში და რომ მისი თანამემამულები დღეს მზადა ვართ გავიცნოთ, შევინარჩუნოთ, პატივი ვცეთ მის მემკვიდრეობას, და აღვადგინოთ მის მიერ დაწყებული საქმე.

აღსანიშნავია, რომ თბილისში დაარსდა გიორგი მაჩაბლის ფონდი. მისი საშუალებით გვინდა გადავარჩინოთ დაკარგვას ორიგინალური ბოთლები, რომლებიც გაფანტულია კერძო კოლექციებში და ვეცადოთ თავი მოვუყაროთ მათ საქართველოში. ამ ფონდის ბაზა და საწყისი არის ჩვენს მიერ მოძიებული პირველი 5 გვირგვინის კოლექცია და 10 სხვადასხვა სუნამო, რომლებიც ხელნაწერში დაცული ფორმულებიდან აღვადგინეთ საფრანგეთის ლაბორატორიაში. აღვადგინეთ ასევე პარფიუმერული „Abano“. ვესწრაფვით განვახლოთ ბოთლის დამუშავების უნიკალური ტექნიკაც. მზადდება პროექტი საქართველოში პარფიუმერიის წარმოების შესაქმნელად, რომლის მფარველიც იქნება გიორგი მაჩაბლის გენია.

“მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი საქმე არ მოკვდება, რომ გავუძლებთ ამ მეტად გაჭირვებულ დროს და მთელ დედამიწის ზურგზედ მოვფენთ ჩვენს გვირგვინებს” – წერდა ნიუ-იორკიდან პარიზში 1931 წლის 28 აგვისტოს გიორგი მაჩაბელი სპირიდონ კედიას. თავისი ჩანაფიქრის ხორცშესხმას გიორგი მაჩაბელმა ნაწილობრივ მიაღწია, მაგრამ იდეის ბოლომდე მიყვანა ვერ შეძლო – იგი 1935 წელს სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა. იმედია, გიორგი მაჩაბლის ოცნება ჩვენს დროში მაინც სინამდვილედ იქცევა.

Irina asatiani

## George Matchabelli – The Founder of Perfume Industry in the United States of America

### Summary

Artist, creator, almost-autodidact, statesman, visionary, businessman, it is for him a personal revelation. He fell into the "magical potion" and he shall be a perfume-maker.

In his antiques store "Rouge et Noir", he feels lonely and starts to imagine new fragrance creations, in order to satisfy his store's clients' requests. Those very same American clients who wear a small flower bouquet as if it were a brooch, used to spread and smell a floral perfume. Such a nuance amuses him and a little voice somewhere tells him that the public is now ready for a new "attraction". He causes suspense, even for himself, and ends up with a surprise for his clients. He has created his first floral fragrance and proposes it to his clients.

From there on, he establishes himself in a room in the back of his store and composes and makes perfumes, using different combinations. He fills ordinary bottles on which he puts a tag, the only decorative add to it.

With this audacity, his university-level formation as a chemist helped him. But it is his meeting with French Francois Coty that marked his life forever. During his youth, George Matchabelli spent time in Paris, where he worked for Coty, which he called the "Father of modern perfumery".

He also had the idea of associating natural essences with synthetic products brought in the Industrial Era through progress in chemistry. It is with Coty that George Matchabelli learned to make perfumes.

His primary successes reassure him in his decision to enter into the perfume industry. With the help of his wife, actress Norina, they transform the antiques store into a perfume shop. This place becomes Prince G. Matchabelli and soon grows inescapable.

He had the genius to be in avant-garde and the first to understand the importance of an unforgettable perfume bottle, as well as a perfect conditioning of the products.

Prince Matchabelli's first creation is the Royal Crown, characterizing the new art of that time, with which he pays an honor to the lost kingdom of his country, a kingdom that was the true identity of his nation, Georgia.

Art Deco, which, at the time, reigns in New York, allows him to achieve artistic accomplishments. He dares to give oversized shapes to his art and embellishes his bottles with painted emanels.

The creations in a pure Art Deco style will be for Prince Matchabelli the occasion for a worldwide success.

This new art adopts a fresh, surprising, and modern style. George Matchabelli revolutionizes the creations with resinous lines. The bottles as well adopt this new Art Deco style and they'll become more decorative.

The world of perfumes in the United States bear the elements of the new art. Competition grows strong and powerful among professionals.

The most attractive and creative packages will have the spotlight turned on them. Perfume-makers compete on creativity, proposing packages more and more innovative.

Soon, the perfume brand Prince Matchabelli imposes itself as incontrovertible. George Matchabelli had the genius to be the first to understand the importance of the bottle and the package of the products. His compositions and successes are as an art creation. He throws himself in the big perfume business, which is it the dawn of its expansion in the whole world under the style and movement of Art Deco. Prince Matchabelli's crowns use modern components, such as Bakelite. The

external presentation, the crown-like bottles, the cross-like caps, as well as the boxes become an art on its own, altogether with painting, sculpture, and tapestry and are enlightened by the magic of olfactory creations.

Prince Matchabelli gives birth to a timeless bouquet which keeps on living even today under another presentation but in the American spirit. It is, in fact, recognized as the Americans' favorite perfume.

Its scent becomes as important as the artistic presentation. There is no longer a border between reality and unreality as the synthetic molecule aldhehyde is introduced.

And that is how, during such a beautiful era, as well as during its crisis, the art of perfume-making was born through virtuous and talented perfume makers. Among them, the soprano is George Matchabelli.

ოთარ ჯანელიძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
 პროფესორი.

რუსულან კობახიძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
 სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული  
 ემიგრაციის მუზეუმის ხელმძღვანელი.

გიორგი მამულია – ისტორიის დოქტორი, ექსპერტი.

ირინა ასათიანი – ხელოვნებათმცოდნე, პარფიუმერი.

F 2086  
2011



A standard linear barcode.

9 7 71987 966003 >